

# **შ რ მ ა ი თ ი**

## **დ ა ვ ა ბ ი**

კრეპულშიგამოქვეყნებულიაერთგვაროვანისასამართლოპრაქტიკისჩამოყალიბებისადასამართლისგანვითარებისათვისმნიშვნელოვანიგადაწყვეტილებები.ამდასხვასაქმეთამოძებნაშესაძლებელიასაქართველოსუზენაესისასამართლოსვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2018, №2**

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)  
2018, №2**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)  
2018, №2**

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)  
2018, №2**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები ჯერიც  
დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები ჯერიც**

**ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 299 04 18; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

## 1. შრომითი ურთიერთობა

### დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში

#### განხილვა საქართველოს სახელით

№ას-247-235-2017

29 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-  
დგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაცი-  
ული მოპყრობის განხორციელების ფაქტის დადგენა

#### აღნერილობითი ნაწილი:

##### 1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა- ფუძვლები:

1.1. დ. გ-ამ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი  
ან დასაქმებული) სარჩელი აღმრა სასამართლოში სს „ს-ის“ (შემ-  
დგომში – მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე ან დამსაქმებელი)  
მიმართ და მოითხოვა დამსაქმებლის 2015 წლის 26 ივნისის №21/  
27 დადგენილების, 2015 წლის 16 ივლისის №894 ბრძანების, 2015  
წლის 30 ივლისის №349 ბრძანების დ. გ-ას მიმართ ბათილად  
ცნობა, გათავისუფლებამდე არსებულ ან ტოლფას სამუშაოზე  
აღდგენა, 2015 წლის 31 ივლისიდან სასამართლოს გადაწყვე-  
ტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის სახით ყო-  
ველთვიურად 1 000 ლარის ანაზღაურება (საქართველოს კანონ-  
მდებლობით დადგენილი გადასახადების გარეშე – ხელზე მი-  
საღები), განაცდურის დაყოვნებისათვის ყოველ ვადაგადაცი-  
ლებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.07%-ის დაკისრება და  
მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული  
მოპყრობის ფაქტის დადგენა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:  
მოსარჩელე 1986 წლიდან დასაქმებული იყო მოპასუხე ორგანი-  
ზაციაში სხვადასხვა თანამდებობაზე. მუშაობის განმავლობა-  
ში ერთადერთხელ – 2015 წლის 11 თებერვალს მიიღო გაფრთხი-

ლება სამუშაო საათების არასაპატიოდ გაცდენისა და „რ-თა ახალი პროფესიული კავშირის“ არასამთავრობო ორგანიზაციასთან შეხვედრაზე ყოფნის გამო. უკანასკნელ სამუშაო ადგილზე მოსარჩელის შრომის ანაზღაურება (ხელზე ასაღები) შეადგენდა 1 000 ლარს. 2015 წლის 21 ივლისს მოსარჩელეს ჩაბარდა დამსაქმებლის შეტყობინება სამუშაოდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. შეტყობინების მიხედვით შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან შეწყდებოდა 2015 წლის 31 ივლისს. შეტყობინების მიღებისთანავე მოსარჩელემ მიმართა დამსაქმებელს გათავისუფლების წერილობითი დასაბუთების თაობაზე, რის პასუხადაც დასაქმებულს განემარტა, რომ მოპასუხეორგანიზაციაში მიმდინარეობდა რეორგანიზაცია. მან კვლავ მოითხოვა იმ საკითხის წერილობითი დასაბუთება, თუ კონკრეტულად რა ტექნოლოგიურმა და ორგანიზაციულმა ცვლილებებმა ან ეკონომიკურმა გარემოებებმა გამოიწვია მის მიერ დაკავებული პოზიციის გაუქმება. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი გათავისუფლება ამ საფუძვლით კანონსაწინააღმდეგოა, რადგანაც მის მიმართ რეალურად ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას, რაც განპირობებულია მოსარჩელის სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობებში (მათ შორის პროფესიული ჩართულობით და დამსაქმებლის ხელმძღვანელების საქმიანობის ობიექტური კრიტიკით. მოსარჩელის განმარტებით, მას შემდეგ, რაც დაარსდა პროფესიულ რ-თა კლუბი, მის მიმართ ხორციელდება განსაკუთრებული კონტროლი.

## 2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ დასაქმებულის გათავისუფლება მართლზომიერად განხორციელდა, გათავისუფლების ფაქტობრივ საფუძველს ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები წარმოდგენს და ამას რაიმე კავშირი დისკრიმინაციულ მოპყრობასთან მიმართებაში არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელემ დამსაქმებლის დირექტორთა საბჭოს 2014 წლის 19 ობერვლის დადგენილებისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო დოქტორანტურაში სწავლის დაფინანსება.

## 3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციის ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## 4. პერანგის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა მოსარჩელებ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

##### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო სააგენტოს მიერ გამოყენებული გადაწყვეტილების დარღვევაზე დაგენერირდა დამატებითი გადაწყვეტილება.

## 6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოადგინა აპელანტმა.

## სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-  
საჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივ-  
რის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაე-  
მაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმა-  
ვე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუ-  
ნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკავაციო სასამართლოს შეფასების საგანს დასაქმებულის გათავისუფლების მართლზომიერება წარმოადგენს, ხოლო, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შესამონ-მებელია არსებობს თუ არა პირვანდელი მდგომარეობის (მათ შორის ტოლფასი სამუშაოს შეთავაზების გზით) აღდგენის წინაპირობები. როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, კასატიონთან შრომითი ურთიერთობა შენყდა კანონიერად, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა მიზნეული იქნა წარუმატებლად. კასატიონი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს და მიზნევს, რომ სასამართლომ არასანორად განმარტა კანონი, ასევე, არასაკამარისად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაარღვია მხარეთა შორის მტკიცების ფაირთის განაწილების წესი.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, (1) საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. (2) სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ „გ“ ქვეპუნქტი) სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. (3) საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილი და მიმდევად გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ტილება იქნა გამოტანილი.

1.3. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად დასაშვები და დასაბუთებული შედავება იქნა წარმოდგენილი კასატორის მხრიდან, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე, ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ შემდევ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.3.1. მოსარჩელე მოპასუხე ორგანიზაციაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა 1986 წლიდან. 2013 წლის 27 მარტის №2058 ბრძანებით იგი დანიშნა ინფრასტრუქტურის ფილიალის ოპერატორი მართვის დეპარტამენტში სისტემების განვითარების ცენტრის წამყვან სპეციალისტად და შრომის ანაზღაურება განესაზღვრა 1 000 ლარით (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გარეშე – ხელზე მისაღები);

1.3.2. მოპასუხისა და „ს-ის“ ერთობლივი მუშაობით, ჩამოყალიბდა დამსაქმებლის განვითარების ახლებური ხედვა. მოპასუხის დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 26 ივნისის №21/27 დადგენილებით, დანესებულებაში მიმდინარე ორგანიზაციულ ცვლილებებთან (რეორგანიზაციასთან) დაკავშირებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული და დამტკიცდა სს „ს-ის“ ფილიალ „ს-ის ინფრასტრუქტურის ფილიალის“ სტრუქტურა (წარმოდგენილი დანართი №1-ის შესაბამისად), ასევე, სს „ს-ის“ ფილიალ „ს-ის ინფრასტრუქტურის ფილიალის“ საშტატო განრიგი (წარმოდგენილი დანართი №2-ის შესაბამისად);

1.3.3. დადგენილების №1 დანართის შესაბამისად, „ს-ის“ ინფრასტრუქტურის ფილიალის ახლებულად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, ოპერატორი მართვის დეპარტამენტს, მით უფრო, სისტემების განვითარების ცენტრს, არ მოიცავს. სტრუქტურით დგინდება, რომ არსებობს მართვისა და განვითარების სამსახური, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს:

- ა) დისპეჩერიზაციის სამსახურს;
- ბ) მოძრაობის სადისპეჩერო ცენტრს;
- გ) ინფრასტრუქტურის სადისპეჩერო ცენტრს.

1.3.4. დადგენილების №2 დანართის თანახმად, ინფრასტრუქტურის ფილიალში გაუქმდა 88 საშტატო ერთეული, ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის სისტემების განვითარების ცენტრი და შესაბამისად, 5 საშტატო ერთეული, მათ შორის ის შტატი, სადაც დასაქმებული იყო მოსარჩელე, შესაბამისად, ახალი საშტატო ნუსხით აღარ არის გათვალისწინებული აპელანტის მიერ დაკავებული საშტატო ერთეული;

1.3.5. 2015 წლის 26 ივნისის №21/27 დადგენილების საფუძველზე გამოიცა სს „ს-ის“ დირექტორის 2015 წლის 16 ივლისის

№894 ბრძანება;

1.3.6. 2015 წლის 16 ივლისს სს „ს-ის“ ინფრასტრუქტურის დირექტორმა წერილობით გააფრთხილა დასაქმებული მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ (31 ივლისიდან), ხოლო 2015 წლის 30 ივლისს, დამსაქმებელმა გამოსცა ბრძანება მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე. ბრძანებას საფუძვლად დაედო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი; ცვლილება საშტატო განრიგში; დამსაქმებლის დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 26 ივნისის №21/27 დადგენილება; გენერალური დირექტორის 2015 წლის 16 ივლისის №894 ბრძანება;

1.3.7. დასაქმებულმა მოპასუხის გენერალური დირექტორის სახელზე წარადგინა განცხადება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების წერილობით დასაბუთების მოთხოვნით. 2015 წლის 4 აგვისტოს, დამსაქმებელმა მოსარჩელეს გაუგზავნა წერილობითი დასაბუთება დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების შესახებ;

1.3.8. აპელანტს, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის გამო, მიღებული აქვს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია ორი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

1.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)), სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ზემოხსენებული გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ, რამდენადაც მათ წინააღმდეგ კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, თუმცა, საკასაციო პალატის კვლევის საგანს წარმოადგენს დამსაქმებელ ორგანიზაციაში განხორციელებული რეორგანიზაციის პროცესის შედეგად, სახეზე ხომ არ არის განსხვავებული მოპყრობა მოსარჩელესა და მასთან ერთად დასაქმებულ, არსებითად იმავე მდგრმარებაში მყოფ სხვა დასაქმებულებთან მიმართებით. საკითხის სრულყოფილი შეფასების მიზნით, საკასაციო პალატა რამდენიმე თეორიულ საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას:

1.4.1. შრომით ურთიერთობაში დისკრიმინაციის საკითხის მომწერიგებელ დებულებებს თავად შრომის კოდექსის მე-2 მუხლი ადგენს, რომლის მე-3-მე-5 ნაწილებით განმარტებულია შრომითი დისკრიმინაციის არსი და მისი აკრძალვა როგორც წინასახელ-

შეკრულებო, ისე – შრომით ურთიერთობაში, ასევე, რეგულირებულია შემთხვევა, როდესაც განსხვავებული მოპყრობა არ შეიძლება, განხილულ იქნას გაუმართლებლად (შრომით და წინასახლშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთხითილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან ინვენტორის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ლირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუკრესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი (საშუალება), თუმცა, დადგენილი რეგულაცია არასაკმარისია, რადგან ამავე კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს შრომითი და მისი თანმდევი ურთიერთობების მოწესრიგებას ამ კოდექსით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა, სპეციალური კანონი განსხვავებულ რეგულაციას არ ადგენს. ამ თვალსაზრისით, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩევის მიერ გაცხადებული არათანაბარი მოპყრობის შეფასების მატერიალურსამართლებრივ საფუძვლად გამოყენებულ უნდა იქნას ასევე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-3 მუხლის თანხმად, ამ კანონს მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დანესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს, ხოლო, კანონის მე-10 მუხლი უფლებით აღჭურავს პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, მიმართოს სასამართლოს.

1.4.2. დისკრიმინაციის საკითხის ანალიზისას საკასაციო პალატა შეჩერდება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლზეც,

რომლის თანახმადაც, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. დასახელებული ნორმის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს ის დათქმა, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და თანასწორია კანონის წინაშე, რაც შეეხება ნორმაში ჩამოთვლილ განმასხვავებელ ნიშნებს, ისინი არ არის ამოწმურავი და სადაცონბისას სწორედ ზემოხსენებული დათქმიდან გამომდინარე, ფართო განმარტებას საჭიროებენ, ანუ ნებისმიერი, მათ შორის ნორმით გაუთვალისწინებელი ნიშნით პირისადმი განსხვავებული მოპყრობა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობს ფარგლებში შემოწმებას შეიძლება და ექვემდებაროს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის წევრ ქეყანას, რომლის მიმართ მოქმედებს მათ შორის კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოყენებას. ამ მხრივ, საინტერესოა ევროსასამართლოს პრაქტიკა: საქმეზე „Savez crkava“ Rijee zivot“ and others v. Croatia“ (განაცხადი №7798/08, 2010 ნლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება) სასამართლომ განმარტა, რომ დისკრიმინაცია ფართო განმარტებას ექვემდებარება, კერძოდ, მე-12 ოქმის პირველი მუხლი დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას ითვალისწინებს და მისი დაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ „კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით“, როგორც ამას დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ტექსტი გვთვაზობს. საკასაციო პალატის შეფასებით, სწორედ ამგვარ ფართო განმარტებას ემსახურება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტები, სადაც საუბარია ნებისმიერი სახით დისკრიმინაციის აკრძალვაზე, მიუხედავად იმისა, რომ მადისკრიმინირებელი ნიშნები ჩამოთვლილია ამავე კანონის პირველ მუხლში.

1.4.3. რაც შეეხება უშუალოდ დისკრიმინაციას, მის ცნებას განსაზღვრავს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი და ადგენს „პირდაპირი“ და „ირიბი“ დისკრიმინაციის ლეგალურ დეფინიციას. მითითებულთაგან პირველს მიეკუთვნება დისკრიმინატორის მხრიდან იმგვარი მოპყრობა, რომელიც პირს მადისკრიმინირებელი ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგი-

ურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან, რაც შეეხება ირიბ დისკრიმინაციას, იგი სახეზეა მაშინ, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, თუმცა, როგორც ერთ, ისე – მეორე შემთხვევაში, არ უნდა არსებობდეს განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელი გარემოებები. ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს განმარტებით, პირდაპირი დისკრიმინაციაა არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა განსხვავებული მოპყრობა, თუ ამ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება (იხ. *Willis v. the United Kingdom*, №36042/97), უნდა დადგინდეს, რომ სხვა პირებს, რომლებიც ანალოგიურ ან არსებითად მსგავს მდგომარეობაში იმყოფებიან, უკეთესად ეპყრობიან და ეს განსხვავება დისკრიმინაციულია (იხ. *Konstantin Markin v. Russia*, №30078/06), განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება ნიშნავს იმას, რომ მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს უნდა ისახავდეს და უნდა არსებობდეს გონივრული თანაბარზომიერება ჩარევის ღონისძიებასა და დასახულ მიზანს შორის (იხ. *Petrovic v. Austria*, №20458/92). ირიბი დისკრიმინაცია კი, პრეცედენტული სამართლის მიხედვით, განიმარტება, როგორც განსხვავებული მოპყრობის იმ ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიების მავნე შედეგის სახით არსებობა, რომელიც, მართალია, ნეიტრალურადაა წარმოჩენილი, მაგრამ დისკრიმინაციულია და ერთ გარკვეულ ჯგუფზე მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს, ვიდრე მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებზე (იხ. *D.H. and others v. the Czech Republic*, №13378/05). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონით გათვალისწინებული აბსტრაქტული ელემენტების არსებობა უპირობოდ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის საქმარის ნინაპირობას არ ქმნის. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ანტიდისკრიმინაციული სამართლისა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე აღინიშნოს, რომ განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს კანონმდებლობით აღიარებული რომელიმე უფლებით ან სიკეთით სარგებლობასთან მიმართებით, რამეთუ ცალკე აღებული დისკრიმინაციის ინსტიტუტი დამოუკიდებელ დაცვას არ ექვემდებარება. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის უნდა არსებობდეს დაცული სფერო – უფლება, რო-

მელშიც ხდება ჩარევა; კომპარატორი – ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი და ამ ორ პირს შორის მთავარი განსხვავება წარმოადგენს ე.წ „დაცულ სფეროს“. ამ ფაქტების საპირისპიროდ, ჩარევის გამართლება გონივრული და წონადი არგუმენტებით ეკისრება განსხვავებული მოპყრობის ინიციატორს, შესაბამისად, დღის წესრიგში დგება დისკრიმინაციის საქმეზე მტკიცების ტვირთის განაწილების პრობლემა, რის შესახებაც ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო, ამჯერად კი, ყურადღებას გააძლიერებს, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო, ისე – ეკროსასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებულ დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენის მეთოდებზე – ე.წ „შეფასების ტესტებზე“.

1.4.4. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოება აღიარებს „მკაცრი შეფასებისა“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტს“, რომელთაგან პირველს იყენებს ე.წ „კლასიკური“ (კანონით პირდაპირ გათვალისწინებული) ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის კვლევისას, ხოლო მეორეს – ყველა სხვა შემთხვევასთან მიმართებით. საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენერები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კლასიკური, სპეციფიკური ნიშნებით დიფერენციაციისას სასამართლო იყენებს მკაცრი შეფასების ტესტს და ნორმას აფასებს თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, ამასთან, „მკაცრი ტესტის“ ფარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას, საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი“. დანარჩენ შემთხვევებში, მკაცრი ტესტის გამოყენების საჭიროებას სასამართლო ადგენს დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით. ამასთან, დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებული იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან, რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გადამწყვეტი იქნება, არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში მოექცევან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან. თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღლია, სასამართლო გამოიყენებს მკაცრ ტესტს, ხოლო ინტენსი-

ვობის დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში – „რაციონალური დიფერენციაციის ტესტს“ (რაციონალური საფუძვლით შემოწმების ტესტი), რომლის მიხედვითაც:

ა) საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდუვალობა ან საჭიროება;

ბ) რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის.

1.4.5. შეფასების ტესტთან მიმართებაში ევროსასამართლო არ ადგენს დისკრიმინაციის საფუძვლების იერარქიას, არამედ მიმწევს, რომ განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას არ აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება, ნუ, თუ არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, ან თუ არ არსებობს გონივრული თანაბარზომიერება ლეგიტიმურ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებას შორის (იხ. Mizzi v. Malta, №26111/02).

1.4.6. დისკრიმინაციის საქმეზე მტკიცების ტვირთის საპროცესო ანალიზის მიზნით, საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7<sup>3</sup> კარის დებულებებით, კერძოდ: 363<sup>3</sup>-ე მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს შეზღუდვის ინიციატორის ვალდებულებას, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები და მიუთითოს ფაქტებზე, რომელთა ანალიზი იძლევა გარკვეული ნიშნით პირის მიმართ არათანაბარი მოპყრობის ვარაუდის საფუძველს. სწორედ ამ საპროცესო სტანდარტის დაცვის შემთხვევაში წარმოიშობა მოპასუხის ვალდებულება: ა) გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა ობიექტური და გონივრული არგუმენტებით, რომლებიც გადაწყვეტილი განსხვავებულ მოპყრობას და გამართლებული იქნება დემოკრატიული ლირებულებებით; ბ) ამტკიცოს განსხვავებული მოპყრობის არასებობა. ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს განმარტებით, მტკიცების ტვირთი მოცემულ სფეროში შემდეგია: მას შემდეგ, რაც მომჩივანი დაადასტურებს განსხვავებული მოპყრობის არსებობას, უკვე მთავრობის ვალდებულებაა, დაამტკიცოს, რომ იგი გამართლებული გახლდათ (Chassagnou and Others v. France [GC], №25088/

94, №28331/95). რაც შეეხება იმას, თუ რა წარმოადგენს prima facie მტკიცებულებას, რომელიც შეძლებს მტკიცების ტვირთის მოპასუხე სახელმწიფოზე გადაკისრებას, სასამართლომ აღნიშნა (Nachova and Others), რომ მის წინაშე არსებულ სამართალ-წარმოებაში არ არსებობს პროცედურული ბარიერები მტკიცებულების მისაღებობასთან დაკავშირებით ან წინასწარგანსაზღვრული ფორმულა მის შესაფასებლად. სასამართლო იღებს დასკვნებს, რომლებიც, მისი აზრით, არის გამყარებული ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, მათ შორის ისეთი დასკვნებით, რომლებიც შესაძლოა, გამომდინარეობდეს ფაქტებიდან და მხარეთა არგუმენტებიდან. დამკვიდრებული სასამართლო პრატიკის მიხედვით, მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ძლიერი, ნათელი და შესაბამისობაში მყოფი დასკვნების ერთობლიობიდან ან ფაქტის მსგავსად გაუსათილებელი დაშვებებიდან. ამასთანავე, კონკრეტული დასკვნის მისაღებად საჭირო დარწმუნების ხარისხი და ამ მხრივ მტკიცების ტვირთის დაკისრება ურთიერთეკავშირშია ფაქტების კონკრეტიკასთან, ბრალდების ბუნებასა და კონვენციით განსახილველ უფლებასთან. სასამართლომ ასევე აღიარა, რომ კონვენციური სამართალნარმოება ყველა საქმეში მკაცრად არ იყენებს affirmanti incumbit probatio principis (ის ვინც ბრალს დებს ვალდებულია თავად დაამტკიცოს ბრალდება – affirmanti incumbit probatio (ამონარიდები), Aktas v. Turkey no.24351/94, § 272, ECHR 2003 V). რიგ შემთხვევებში, როდესაც საქმის საფუძველში არსებული მოვლენები სრულიად ან დიდნილად არასწორია, რის შესახებაც მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებმა იციან, მტკიცების ტვირთი შესაძლოა ხელისუფლებას დაეკისროს რათა წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამარწმუნებელი განმარტება (Salman v. Turkey [GC], no. 21986/93, § 100, ECHR 2000-VII; da Anguelova v. Bulgaria, no. 38361/97, § 111, ECHR 2002-IV).

1.5. განსახილველ შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები მივიღნენ დასკვნამდე, რომ განსხვავებული მოპყრობის ფაქტი საქმის მასალებით არ მტკიცდებოდა, მოსარჩევე მხოლოდ საქმის მომზადების დასრულების შემდგომ აბსტრაქტულად მიუთითა კომპარატორებთან მიმართებაში განსხვავებული მოპყრობის დამადასტურებელი გარემოებები, რაც მოპასუხებ უარყო, ამასთანავე, დასაქმებულს არ უთხოვია დამსაქმებლისაგან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვა. საკასაციო პალატა ამ განმარტების საპირისპიროდ იზიარებს კასატორის პოზიციას სასამართლოს მხრიდან მოცემული საკითხის არასრულყოფილი გამოკვლევის თაობაზე (სსსკ-ის 393.3 მუხლი) და

ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შენყვეტის ერთ-ერთ ძირითად მოტივს მოსარჩელის საზოგადოებრივი აქტივობები, კერძოდ: მის მიერ პროფესიონალის შექმნა და დამსაქმებლის ხემძღვანელობის კრიტიკა წარმოადგენდა. პალატა განმარტავს, რომ როგორც საქართველოს კონსტიტუცია (მე-19 მუხლი), ისე – „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლი აღიარებს აზრის გამოხატვის თავისუფლების პრინციპს, რაც მოიცავს პირის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდენტი საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...“ ამ უფლების მიმართ არსებობს სახელმწიფოს ნებატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს მის განხორციელებაში, თუ ეს კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული. უფლების შეზღუდვის მიმართ მოქმედებს მიხედულების ზღვრის თეორია და უფლების შეზღუდვა გამართლებული უნდა იყოს „დემოკრატიულ საზოგადოებაში მზავე აუცილებლობით... სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“. უნდა ითქვას ისიც, რომ „აზრის თავისუფლება“, როგორც კონვენციური სამართლოთ დაცული სფერო აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობს და ჩარევა არ აზრით დაცულ სფეროში, არაედ – აზრის გამოხატვის უფლებით დაცულ სფეროშია დასაშვები. შესაბამისად, პირის მიმართ სანქციის გამოყენება მხოლოდ აზრის გამო დაუშვებელია. ამ თვალსაზრისით, საქმეში წარმოდგენილია „პროცესიულ რ-თა კლუბის“ განცხადება და უდავოა, რომ ამ პროცესშირის წევრს წარმოადგენს მოსარჩელე. რამე შეფასება ამ მტკიცებულებასთან მიმართებით არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ გაუკეთებია, უფრო მეტიც, მტკიცებულებაში გამოთქმული კრიტიკა (ერთი წუთით წარმოვიდგინოთ რას დაემსგავსებოდა „ს-ა“ „რ-თა პროფესიული კავშირი“ რომ არ არსებობდეს? უსახური, კორუმპირებული (უმეტესწილად აზროვნების თვალსაზრისით) და მომავლის უქონელი ადამიანების უბრალო წაკები, რომლის ფოკუსში მოქცეულია მხოლოდ პირადი გამორჩენა, მხოლოდ პირადი სარგებელი და ისეთი ცნებები, როგორიცაა ქვეყანა, პატრიოტიზმი, თავდადება, გმირობა, პატიოსნება, საქმის (და თუნდაც ადამიანის) სიყვარული – ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვებია, ისტორიიდან რომ შემოგვრჩა ქართველებს და რომელსაც რეალურ ცხოვრებასთან არანაირი კავშირი არ აქვს!) გაკეთებულია 2015 წლის 7 ივნისს, რომელიც დროში საკმაოდ ახლოსაა რეორგანიზაციის თაობაზე დამსაქმებლის მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან. პალატა ასევე ითვალისწინებს სარჩელზე

დართულ დამსაქმებლის წერილობით განმარტებას, რომლის თანახმადაც, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მთავარი ფაქტობრივი საფუძველი „ს-თან“ მუშაობის შედეგად შემუშავებული მართვის ორგანიზაციული მოდელია, ხოლო, საქმის მომზადების ეტაპზე წარმოდგენილი „ს-ის“ წერილობითი პასუხიდან ირკვევა, რომ: პროექტის ფარგლებში დამუშავებული მოდელი არ ითვალისწინებდა კადრების შემცირებას, ახალ სტრუქტურაში იმ დონის დეტალიზაციისას, რა დონეზეც მათ შეიმუშავეს, არც ერთი ერთეული ან ფუნქცია არ გაუქმებულა, მხოლოდ მოხდა ქვედანაყოფების ნაწილის სხვა სტრუქტურულ ერთეულებად ტრანსფორმაცია და განსხვავებული დასახელებებით ჩამოყალიბება. „ს-ი“ ადასტურებს, რომ მას და მოპასუხეს შორის შეთანხმების საგანს არ წარმოადგენდა საკადრო ბაზის ოპტიმიზაციის სამუშაოები. ეს ამოცანა არ დასმულა მოპასუხის მენეჯმენტისაგან და არც განხილვის საგანი ყოფილა. საკასაციო პალატა რათქმა უნდა სრულად იზიარებს „თავისუფალი მენარმეობის“ იდეას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებადაა მოხსენიებული და იგი თავის თავში საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის თავისუფლებასაც მოიცავს, თუმცა, პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ კანონით გარანტირებული უფლების თუნდაც კანონიერად გამოყენების შესაძლებლობა, ხშირად განსხვავებული მოპყრობის გადაფარების მცდელობას ემსახურება და სწორედ ამ საკითხის კვლევის შედეგად სავალდებულოა, შემოწმდეს უფლების მქონე პირის მხრიდან ამ უფლების განკარგვის მართლზომიერება (სკ-ის 115-ე მუხლი). სწორედ ამ კონტექსტში უნდა შეფასდეს სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელში გამოთქმული შედავება შრომითი ურთიერთობის მართლზომიერად შეწყვეტის თაობაზე, ასევე, „ს-ის“ განმარტება (რეორგანიზაციის შედეგად სტრუქტურული ერთეულებისათვის მხოლოდ სახელწოდების გადარქმევა დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში ჰქოვებს თუ არა რეალურ განხილვისას), ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნათა ფორმალური დაცვა (მრომის კოდექსის 37-ე (1) მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის რეგულაციის ბრძანებაში მითითება), თუკი მას რეალურად სხვა მიზნის მიღწევა (არასასურველი ურთიერთობისაგან თავის დაღწევა) უდევს საფუძვლად, სასამართლომ, როგორც დარღვეული უფლების დაცვის ინსტიტუტმა დისკრიმინაციის გადაფარვად უნდა განიხილოს და მიიჩნიოს იგი მიზანშეუწონელ და სრულიად მიუღებელი ქცევად, რომელიც არღვევს, როგორც საერთაშორისო, ისე – ეროვნული სამართლის ნორმებსა და პი-

რის თანასწორობის საყოველთაო პრინციპს. დისკრიმინაციის უარყოფის საფუძვლად შესაგებელში მოპასუხე ასახელებს ასე-ვე მისი მხრიდან დოქტორანტურაში მოსარჩელის სწავლის და-ფინანსებას, როგორც დამსაქმებლის კეთილ წებას, თუმცა, კვლე-ვის საგანი არ გამხდარა ის გარემოებაც, ამ უფლებაზე ხელმი-საწვდომობა მოსარჩელისათვის ინდივიდუალურად მინიჭებულ სიკეთეს წარმოადგენდა თუ ორგანიზაციაში მომუშავე ყველა პი-რისათვის ხელმისაწვდომ დამკვიდრებულ პრაქტიკას.

1.6. რაც შეეხება ქვემდგომი სასამართლოების მტკიცებას, რომ განსხვავებული მოპყრობის ნიშნებზე მოსარჩელემ საქ-მის მომზადების დასრულების შემდგომ მიუთითა და თავად ეს მითითებაც იყო აბსტრაქტული, საკასაციო პალატა ნაწილობ-რივ იზიარებს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილი ახალ ფაქტებზე მითითებისათ-ვის განსხვავებულ წინაპირობებს ადგენს (მხარეები შეზღუდუ-ლი არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელ-თა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგე-ბელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევი-სა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული), თუმცა, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, სააპელაციო პალატაში დამსაქმებლის მიერ წარდგე-ნილ წერილობით ახსნა-განმარტებაში გამოხატული პოზიცია („სისტემების განვითარების ცენტრმა თავის ფუნქცია ამონუ-რა, ამიტომ მთლიანად მოხდა ოპერაციათა მართვის დეპარტა-მენტის გაუქმება და ოპერაციათა მართვის დეპარტამენტში შე-მავალი სისტემების განვითარების ცენტრის თანამშრომლების გადანაწილება თავითონ სპეციალობების შესაბამის სამსახუ-რებში. რაც შეეხება აპელანტის მიერ 2013 წლის 27 მარტამდე პერიოდში დაკავებულ სადგურის ინჟინირის თანამდებობას, მას მერე რაც დ. გ-ა დაინიშნა სისტემების განვითარების ცენტრის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე (27.03.2013), სადგუ-რის ინჟინირის ვაკანტურ ადგილზე დასაქმდა სხვა პირი და ამ-ჟამად აღნიშნული თანამდებობა ვაკანტური არ არის. სწორედ ამიტომ, მხარეებს შორის დავის დაწყებამდე დ. გ-ას მიმართ შეთავაზებულ იქნა სხვა თანამდებობა, რაზეც კატეგორიული უარი განაცხადა. შემდგომში, ობილისის საქალაქო სასამართლო-ში საქმის განხილვის პირველ ეტაპზე შეხსენებულ იქნა შეთა-ვაზება სალიანდაგო დეპარტამენტში დასაქმების თაობაზე, თუმცა, მოსარჩელის მხრიდან უკერად მკაცრი უარი იქნა ნათ-ქვამი“) ხომ არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ საპროცესო აღიარებას (ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება, საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას). თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განმარტებიდან გამომდინარე, არ გამოუკვლევია და არგუმენტირებულად არ აუსახავს გადაწყვეტილებაში ის გარემოება, მოპასუხის მხრიდან რა სამუშაო შეეთვაზაზა მოსარჩელესთან ერთად გათავისუფლებულ პირებს და რა სამუშაო – მოსარჩელეს, რატომ განაცხადა მან შეთავაზებულ სამუშაოზე კატეგორიული უარი და ამ მხრივ არ დაუდგენია განსხვავებულ მოპყრობას ხომ არ ჰქონდა ადგილი მოსარჩელესა და იმ კომპარატორებს შორის (არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფ იმ დასაქმებულებს შორის), რომლებმაც რეორგანიზაციისას სამუშაო დაკარგეს მოსარჩელესთან ერთად, ხოლო, ამჟამად „დასაქმებული არიან თავიანთი სპეციალობის შესაბამის სამსახურებში“.

1.7. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით ერთობლიობაში არ შეფასებულა დისკრიმინაციის თვალსაზრით მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და მტკიცებულებები, ასევე, სააპელაციო სასამართლოსათვის მოპასუხის მიერ მიცემული განმარტება და სასამართლოს არ გაუკეთებია დასკვნა იმის თაობაზე, ზემოხსენებული ფაქტებისა და არგუმენტების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით (სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში) შეფასება ხომ არ ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის მოსარჩელის მიერ დაძლევას, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა (დამატებით იხ. შე-ის 37-ე (3) მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

1.8. საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად (საქ-

მის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა) აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც მტკიცებულებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და ამის შედეგად განსაზღვროს უფლების საკითხი.

## 2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით დავაზე სამართლნარმოება არ სრულდება, პალატა მიიჩნევს, რომ პროცესის ხარჯების საკითხი როგორც მხარეთა შორის, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ (სსკ-ის 55-ე მუხლი), საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით („სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებულია) უნდა გადაწყვდეს.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. გ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## 2. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

### უვადო შრომითი ხელშეკრულების

#### შრომითი ხელშეკრულების შეცვალა ხელშეკრულების ვალის გასვლის გამო

##### განხილვა საქართველოს სახელით

№ას-20-20-2018

9 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათი-  
ლად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდებულის ანაზღაურება,  
დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრება

##### აღნერილობითი ნაწილი:

1. ვ. ს-იშვილსა (შემდგომში: „მოსარჩელე“ ან „დასაქმებუ-  
ლი“) და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-  
ტოს (შემდგომში: „მოპასუხე“ ან „დამსაქმებელი“) შორის  
19.11.2012წ.-ს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც  
მოსარჩელე ერთი წლით (19.02.2013წ-მდე) მიღებულ იქნა სსიპ  
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბოლნისის  
სამოქალაქო რეესტრის სამსახურში მთავარ სპეციალისტად.  
მხარეთა შორის რამდენჯერმე გაგრძელდა შრომითი ხელშეკ-  
რულების მოქმედების ვადა: 19.02.2013წ-ის №2461/კ ბრძანე-  
ბით – 2014 წლის 19 თებერვლამდე; 14.02.2014წ-ის №1329/კ  
ბრძანებით – 2015 წლის 19 თებერვლამდე; 02.02.2015წ-ის  
№1078/კ ბრძანებით – 2017 წლის 01 თებერვლამდე.

2. დამსაქმებლის 01.02.2017წ-ის №708/კ ბრძანებით (შემ-  
დეგში: სადავონ ბრძანება) დასაქმებულთან შეწყდა შრომითი  
ხელშეკრულება. დასაქმებული 2017 წლის პირველი თებერვლი-  
დან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სადავო-  
ნ ბრძანების სამართლებრივ საფუძვლად დამსაქმებელმა იხელ-  
მდღვანელა საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სტკ-  
ის) 37-ე მუხლის პირველი ნაწილი და დამსაქმებლის წესდების

5.3. პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით.

3. დასაქმებულმა სარჩელი აღძრა დამსაქმებლის მიმართ სა-დავო ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით [სშკ-ის მე-6 და 31.3 მუხლები; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 44-ე, 394-ე და 411-ე მუხლები].

4. სადავო ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივ სა-ფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სშკ-ის 6.13 მუხლზე და აღ-ნიშნა, რომ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებე-ბის შესაბმისად, დამსაქმებელი არაუფლებამოსილი იყო ხელ-შეკრულების ვადის გასვლით საფუძვლით სამუშაოდან დაეთ-ხოვა დასაქმებული, რომელიც უვადო შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა დამსაქმებელთან.

5. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველ შედავებაში უარ-ყო მოსარჩელესთან უვადო შრომითსამართლებრივი ურთიერ-თობის არსებობა და მიუთითა მოსარჩელის მხოლოდ ვადიან საწ-ყისებზე, შტატგარეშე თანამშრომლად მიღების გარემოებაზე.

6. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ბა-თილად იქნა ცნობილი სადავო ბრძანება და მოსარჩელე აღდგე-ნილ იქნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-ტოს ბოლნისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; მოპასუხეს მოსარჩელის სა-სარგებლოდ დაკისრა იძულებითა განაცდურის სახით მიყენე-ბული ზიანის ანაზღაურება 2017 წლის პირველი თებერვლიდან გადაწყვეტილების ალსრულებამდე, თვეში 720 ლარის ოდენო-ბით; უარყოფილი იქნა მოთხოვნა ანგარიშსწორების დაყოვნე-ბის ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის და-კისრებაზე.

7. პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა მოაწესრიგა სშკ-ის მე-6 მუხლის 13 ნაწილით, რომლის შესაბამისად დამსაქმე-ბელსა და დასაქმებულს შორის დადებული შრომითი ხელშეკ-რულება განიხილა უვადო ხელშეკრულებად, რომლის შეწყვე-ტა ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით არამართლზო-მიერად შეფასდა.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სა-აპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ. აპელანტი არ დაეთანხმა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებე-ბის (ამ განჩინების პპ: 1, 2) სამართლებრივ შეფასებას და მხა-რეთა შორის წარმოშობილი შრომითისამართლებრივი ურთიერ-თობის კონკრეტულ და მკაფიოდ განსაზღვრულ ვადაზე მიუ-

თითა, რომლის უფლებამოსილებას, როგორც ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების უფლებას მხარეებს ანიჭებდა სსკ-ის 327-ე და 319-ე მუხლები. შესაბამისად, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა სახელშეკრულებო თავისუფლების საფუძველზე განსაზღვრული ხელშეკრულების ვადის განისაზღვრა 2017 წლის 1 თებერვლამდე ნიშნავდა სწორედ იმას, რომ სახეზე იყო განსაზღვრული ვადით დადგებული ხელშეკრულება და ხელშეკრულებაში მითითებული თარიღის დადგომა თავისთავად წარმოშობდა ხელშეკრულების შეწყვეტას სადავო ბრძანებაში მითითებული სამართლებრივი საფუძლით.

9. სააპელაციო სასამართლოს წარედგინა მოსარჩელის შეგებებული სააპელაციო საჩივარიც, რომლითაც სადაცო იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში [სშ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი].

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 09 ნოემბრის განჩინებით უარყოფილია სააპელაციო და შეგებებული სააპელაციო საჩივარები.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 1-2 ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. იმავდროულად, დაეთანხმა ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას სშ-ის მე-6 მუხლის 13 ნაწილის ნორმატიული დანაწესით და აღნიშნა, რომ თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, კანონი ასეთ ურთიერთობას იმპერატიული დანაწესით მიიჩნევს უვადო შრომით ხელშეკრულებად. ნორმა ასევე დეტალურად აღწერს რა ითვლება მიმდევრობით დადებულ ხელშეკრულებებად. სშ-ის მე-6 მუხლი ასევე შეიცავს შენიშვნას, რომელიც მისი განუყოფელი ნაწილია და ადგენს მუხლში მითითებული რეგულაციის გამოყენების პირობებს იმ ურთიერთობებში, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილებებს წინ უსწორებდა, შენიშვნის თანახმად, მე-6 მუხლის 11-13 პუნქტების მოქმედება ვრცელდება ამ კანონის (12.06.2013, №729) ამოქმედების შემდეგ დადებულ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებაზე ან/და კოლეგიურ ხელშეკრულებაზე. მე-6 მუხლის 13 პუნქტის პირობების მიუხედავად, ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე დასაქმებულთან,

რომლის შრომითი ურთიერთობები ერთსა და იმავე დამსაქმებელთან გრძელდება 5 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, უვალო შრომითი ხელშეკრულება მე-6 მუხლის 13 პუნქტის შესაბამისად დადებულად ჩაითვლება ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის შემდეგ, ხოლო თუ ასეთივე დასაქმებულის შრომითი ურთიერთობები ერთსა და იმავე დამსაქმებელთან გრძელდება 5 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში, მასთან უვალო შრომითი ხელშეკრულება მე-6 მუხლის 13 პუნქტის შესაბამისად დადებულად ჩაითვლება ამ კანონის (12.06.2013, №729) ამოქმედებიდან 2 წლის შემდეგ. 12.06.2013წ. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ კი მისი მე-3 მუხლი, ადგენს ცვლილებების ამოქმედებას გამოქვეყნებისთანავე. ცვლილებები გამოქვეყნდა 04.07.2013წ. შესაბამისად, მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ცვლილებების ამოქმედებამდე წარმომბილი ვადიანი შრომითი ურთიერთობა უვალოდ დადებულ შრომით ხელშეკრულებად განიხილება, თუ ვადიანი ურთიერთობა ერთსა და იმავე დასაქმებულთან საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე 5 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ამ კანონის ამოქმედებიდან კვლავ გაგრძელდება 1 წელი; თუ ვადიანი შრომითი ურთიერთობა საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე 5 წელზე ნაკლები დროის განმავლობაში გრძელდებოდა, იგი უვალოდ მიიჩნევა, ამ ცვლილებების ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში გაგრძელების შემთხვევაში.

12. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ვადიანი შრომითი ურთიერთობა საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე – ანუ 04.07.2013 წლამდე 5 წელზე ნაკლები დროის განმავლობაში გრძელდებოდა, კერძოდ, 19.11.2012წ.-დან 04.07.2013წ.-მდე; ამასთან, საბოლოოდ შრომითი ურთიერთობა გაგრძელდა 2017 წლის 1 თებერვლამდე, ანუ გასულია კანონის ამოქმედების შემდეგ 2 წელზე შეტი და 19.11.2012წ.-დან 01.02.2017წ.-მდე დროის მონაკვეთი აღემატება 30 თვეს. შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობა კანონის იმპერატიული დათქმით ტრანსფორმირდა უვალო შრომითსამართლებრივ ურთიერთობად.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ/აპელანტმა, რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

14. კასატორი მიუთითებს მოდავე მხარეთა შორის წარმო-

შობილი შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსსა და მის არსებით პირობებზე, რომლის განსაზღვრის თავისუფლებაში, კასატორის მოსაზრებით, მხარეთა ნებას უპირატესი ძალა გააჩნია [სშკ-ის მე-2 და სსკ-ის 327-ე მუხლი]. შესაბამისად, მხარეებს სრული თავისუფლება აქვთ შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების ვადებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ისინი ამით საჯუთარი წებით განსაზღვრავენ ვალდებულების შესრულების საზღვრებს დროში. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულება. ვინაიდან, მოსარჩელესა და სააგენტოს შორის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2017 წლის 1 თებერვლამდე ეს იმას ნიშნავს, რომ სახეზეა განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულება და ხელშეკრულებაში მითითებული თარიღის დადგომა თავისთავად ითვალისწინებს ხელშეკრულების შეწყვეტას სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. კასატორი აღნიშნავს, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში რაც მოსარჩელე სააგენტოში საქმიანობდა, მუდმივად იდებოდა ან გრძელდებოდა შრომითი ხელშეკრულებები დროის კონკრეტული ვადის მითითებით. თუ მოსარჩელე ამ პირობას არ ეთანხმებოდა, შეეძლო სააგენტოსთვის მიემართა სხვა სახის მოთხოვნით, მაგრამ ასეთი არ მოშხდარა. შესაბამისად, მოსარჩელე ეთანხმებოდა ურთიერთობის ასეთ ფორმატს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.
16. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.
17. კასატორი სადაცოდ ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებას და მისი არგუმენტი სააპელაციო საჩივრის არგუმენტის იდენტურია. სახელდობრ, კასატორი მიუთითებს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში არსებული ხელშეკრულების დადებისა და მისი არსებითი პირობების განსაზღვრის თავისუფლებაზე. იმავდროულად, აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ეთანხმებოდა ვადიანი ხელშეკრულების ფორმატში ურთიერთობის გაგრძელებას და არასოდეს გამოუთქვამს პრეტენზია.

18. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზიას არ გააჩნია გაზიარების ვარგისი სამართლებრივი საფუძველი და განმარტავს, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის არსი მოიცავს, როგორც თავისუფლები კონტრაპირების ისე, ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმების თავისუფლებას [სსკ-ის 319-ე და 327-ე მუხლები]. თუმცა, ნორმის დანაწესი იმპერატიული მნიშვნელობის არ არის და ხელშეკრულების მონაწილეთა ეს უფლება ექვემდებარება შეზღუდვას ლეგიტიმური მიზნისთვის [“legitimate purpose”]. სწორედ აღნიშნულს გულისხმობს სშკ-ის ახლად ამოქმედებული ნორმა, რომელიც ნორმით განსაზღვრული წინაპირობების დაცულობის შემთხვევაში, როგორიცაა ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობის ხანგრძლივობა [სსკ-ის მე-6 მუხლის 13 პუნქტი] ვადიან შრომით ურთიერთობას გარდაქმნის უვადო შრომითი ურთიერთობის ფორმატში.

19. აღნიშნულ საკითხზე მყარადაა დადგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. მათგან ერთ-ერთ საქმეში (იხ., სუსგ №ას-913-853-2017, 29 სექტემბერი, 2017 წელი) საკასაციო პალატამ იმსჯელა სშკ-ის მე-6 მუხლის 13 ნაწილის მიხედვით დამსაქმებელთან დადგებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულების უვადო შრომით ხელშეკრულებად მიჩნევის სამართლებრივ საკითხებზე და განმარტა, რომ შრომითი ურთიერთობის ამგვარი ტრანსფორმირებისათვის აუცილებელი იყო ორი პირობის კუმულატიურად არსებობა: ერთსა და იმავე დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობების არსებობა 5 წლით ან მეტი ვადით და ვადიანი ხელშეკრულების მოქმედება კოდექსში განხორციელებული ცვლილების ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში. მსგავს საქმებზე აგრეთვე იხ., სუსგ №ას-373-354-2015, 13 ნოემბერი, 2015 წელი.

20. საგულისხმოა ხელშეკრულების მონაწილეთა თავისუფლების კანონისმიერი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის თაობაზე საკასაციო პალატის მიერ სხვა გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტება, რომელიც დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით დადებულად იქნა მიჩნეული (იხ., სუსგ №ას-1083-1020-2015, 15 აპრილი, 2016 წელი): „...შრომითი ხელშეკრულების სტაპილურობა, კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფალი შრომის უფლების შემადგენელი ნაწილია (საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი)“. საკასაციო პალატის მითითებული განმარტებიდან და სშკ-ის მე-6 მუხლის 13 ნაწილის ნორმატიული დანაწესიდან გამომდინარე საკასა-

ციონ საჩივრის პრეტენზია მოსარჩელესთან არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის ხანგრძლივობის საკითხთან მი-მართებით უარსაყოფია.

21. მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (ამ განჩინების პპ: 1, 2, 11) იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის ვადიანი შრომითი ურთიერთობა საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე – ანუ 04.07.2013 წლამდე 5 წლზე ნაკლები დროის განმავლობაში გრძელდებოდა (საქართველოს ორგანულ კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ გამოქვეყნდა 04.07.2013წ-ს, რასაც უკავშირდება ცვლილებების ამოქმედება), კერძოდ, 19.11.2012წ.-დან 04.07.2013წ.-მდე; საბოლოოდ კი, მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა გაგრძელდა 01.02.2017წ.-მდე (სადავონ ბრძანება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ), ანუ გასულია სშვ-ის მე-6 მუხლის 13 ნაწილის ამოქმედების შემდეგ 2 წელზე მეტი, ხოლო თავის მხრივ, 19.11.2012წ-დან 01.02.2017წ-მდე დროის მონაკვეთი აღემატება 30 თვეს, მხარეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობა გარდაიქმნა უვადი შრომითსამართლებრივ ურთიერთობად.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩინა, არ იყვეთება საკასასი საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის

განხილვის შედეგზე; ვ) საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონკენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია საპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციაა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციათან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

23. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან სში-ის მე-6 მუხლის კონტექსტში გადიანი მრომითსამართლებრივი ურთიერთობების უვალო მრომით-სამართლებრივ ურთიერთობებად გარდაქმნის სამართლებრივ საკითხებზე დადგენილია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელთა წარმოდგენილია ასახულია წინამდებარე განჩინებაში.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანხმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უკან დაუბრუნდეს (ტრანზაქცია განხორციელულია – 22.01.2018; მოთხოვნის დამოწმება – 18.01.2018; მოთხოვნის გაგზავნა – 22.01.2018) ელექტრონული საგადახდო მოთხოვნა №00590 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (432 ლარი) — 302.4 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახინო კოდი 3 0077 3150.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება;

### **3. დისციპლინური პასუხისმგებლობა**

#### **ფასაქმებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ას-344-322-2017

11 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** ბრძანებების ბათილად ცნობა, თანხის და-  
კისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-  
ფუძვლები:

1.1. დ. ო-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი  
ან დასაქმებული) სარჩელი აღდრა სასამართლოში სსიპ ს-ოს  
(შემდგომში – მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე ან დამსაქმე-  
ბელი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის:

ა) 2014 წლის 29 ივლისის №04-227/ო ბრძანების („სააგენტოს დ-ის რაონულ განყოფილებაში ჩატარებული შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე გასატარებელი ღონისძიების შესახებ“) იმ ნაწილების ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩე-  
ლეს დაეკისრა 4 195 ლარის გადახდა, მიეცა სასტიკი საყვედუ-  
რი ხელფასის 50%-ის დაკავებით და დაეკისრა ყოველთვიური  
შრომის ანაზღაურებიდან 20%-ის დაკავება ზედმეტად გაცე-  
მული თანხის სრულად დაფარვამდე;

ბ) 2014 წლის 3 ოქტომბრის №04-310/ო ბრძანების („სსიპ სო-  
ციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 29 ივლისის  
№04-227/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“) იმ ნა-  
წილების ბათილად ცნობა, რომლითაც მას დაეკისრა 3 148 ლა-  
რის გადახდა;

გ) მოპასუხისათვის დასაქმებულის სასარგებლოდ 2014 წლის  
29 ივლისიდან 2014 წლის 9 სექტემბრამდე არაკანონიერად და-  
კავებული თანხის – 1 436,81 ლარის (დაბეგრილი), მათ შორის –  
დისციპლინური სახდელის სახით დაკავებული 260 ლარის (და-

ბეგრილი) ანაზღაურება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოპასუხის მონიტორინგის სამართველოს მიერ განხორციელდა და დ-ის რაიონულ განყოფილებაში 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 ივლისამდე შევსებული „ოჯახის დეკლარაციების“ შერჩევითი შესწავლა და მათში დაფიქსირებული ინფორმაციის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაცულ ინფორმაციასთან დაარცხა, რომლის შედეგადაც, მონიტორინგის სამსახურმა მიიჩნია, რომ რიგ შემთხვევებში, უფლებამოსილი პირების, მათ შორის – მოსარჩელის, დ-ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის (იურისტის) – დ. ო-ის მხრიდან დარღვეული იყო მოცემული სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნები, რამაც გამოიწვია მოქალაქეებისათვის გარკვეული თანხების ზედმეტად გაცემა. აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტოს დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით გატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება, კერძოდ, რამდენიმე თანამშრომელს (განყოფილების უფროსს, მოსარჩელეს – მთავარ სპეციალისტსა (იურისტსა და სხვ) და ეკისრათ ზედმეტად გაცემული ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობის) თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენა (სახელდობრ, მოსარჩელის შრომის ანაზღაურებიდან, ყოველთვიურად 20%-ის დაკავებით) ზედმეტად გაცემული თანხების სრულად დაფარვამდე. შემოწმების მასალებში დაფიქსირებული დარღვეუბის გამო, თანამშრომელთა მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები – მოსარჩელეს გამოცხადა სასტიკი საყვედური ერთი თვის შრომის ანაზღაურებიდან 50%-ის დაკავებით. მოსარჩელე სადაცოდ ხდის მოპასუხის მიერ მის მიმართ განხორციელებულ ღონისძიებებს და განმარტავს, რომ სააგენტოს არ მიუთითებია, მის მიმართ დისციპლინური სახდელის ზომის განსაზღვრა „რამდენად ლეგიტიმური, პატივსადები, კეთილსინდისიერი და არადისკრიმინაციული მოტივით მოხდა. სააგენტო დაეყრდნო კონტროლის დეპარტამენტის მოხსენებით ბარათს, რომელიც დისკრიმინაციული და ანგარიშსწორების მოტივით არის შედგენილი, მიზანმიმართულად მისი დისკრედიტაციისათვის“. გარდა ამისა, მოსარჩელე არ ეთანხმება მისთვის და განყოფილების უფროსისათვის, გადასახდელი თანხების თანაბრად დაკისრებას, ხოლო, სადაცოდ ბრძანებაში მოხსენიებული სხვა პირებისათვის თანხის დაბრუნების არდაკისრებას. მოსარჩელისათვის მიუღებელია უფროსი სპეციალისტის შეცდომების (რომელიც დადგინდა შემოწმებისას) გამო მისი დასჯა, ხოლო, დამრღვევი პირის

მიმართ დისციპლინური ღონისძიების, თუნდაც რომელიმე ზომის გამოუყენებლობა.

## **2. მოპასუხის პიზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელემ, როგორც სააგენტოს დის რაიონული განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა (იურიდიკმა) მოამზადა 6 ბრძანება, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების არასწორი გაცემა: ბრძანებებით მოხდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების მონაცემების კორექტირება, რამაც გამოიწვია შესაბამის 6 ოჯახზე სარეიტინგო ქულის დაწევა და თანხის არასწორად გაცემა. შემოწმების პროცესში მოსარჩელის მიერ წერილობით მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ უმეტეს შემთხვევაში, მასთან ხვდებოდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით დასკანერებული ფორმა №100-ის ვარიანტი და ვერ ახერხებდა მოქალაქის დიაგნოზის დადგენას, მიუხდავად ამისა, მან მაინც მოამზადა აღნიშნული ბრძანებები. დის რაიონული განყოფილების უფროსიც განმარტავს, რომ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესაბამის დოკუმენტაციას განსახილველად და ბრძანების მოსამზადებლად რეზოლუციით აწერდა მოსარჩელეს, ამასთან, განყოფილების უფროსი მწერალებას გამოთქვამს დამვაბული შეცდომების გამო და ეთანხმება შენიშვნებს. მოპასუხის განმარტებით, სააგენტოს 2014 წლის 29 ივლისის №04-227/ო ბრძანებაში, 2014 წლის 3 ოქტომბრის №04-310/ო ბრძანებით შევიდა ცვლილება და მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი თანხა შეადგენს არა – 4 195, არამედ – 3 148 ლარს. სააგენტოს 2015 წლის 9 სექტემბრის №04-262/ო ბრძანებით ცვლილება შევიდა სადაც – 2014 წლის 29 ივლისის №04-227/ო ბრძანებაში და შეწყდა მოსარჩელისათვის დაკისრებული ვალდებულება მისი შრომის ანაზღაურებიდან 20%-ის დაკავების თაობაზე.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარჩოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2015 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე დაქვითული თანხის – 371,40 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელაციის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩევები, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრი არ დაკამაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამონმა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაპრუნების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგინს შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დასაქმებულის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების მართლზომიერება. ამ თვალსაზრისით კი, კასატორი პრეტენზიას აცხადებს სასამართლოს მხრიდან ფაქტობრივი გარემოებების საპროცესო სამართლის წესების დარღვევით დადგენის თაობაზე (სსსკ-ის 393-ე (1)(3) მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი), კერძოდ:

1.1.1 სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ იყო ვალდებული მოსარჩევე, შეესწავლა ე.ნ ოჯახის დეკლარაციების სისწორე. ამ კუთხით სასამართლომ ვერ მიუთითა სამართლის ნორმაზე, ხოლო, მოწინააღმდეგე მხარემ, რომლის მტკიცების ტვირთსაც წარმოადგენდა მითითებული ფაქტის დადასტურება, ვერ წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, ამასთანავე, სასამართლომ დადგენილად ცნო ის გარემოება,

რომ კორექტირების საკითხს სწავლობდა უფროსი სპეციალისტი, რომლის მოხსენებითი ბარათიც ცნობად მიიღებოდა ბრძანების შედგენისას, თუმცა, აქვე განმარტა, რომ ეს გარემოება გავლენას ვერ იქონიებდა მოსარჩელის პასუხისმგებლობის ხარისხზე. სასამართლოს აღნიშნულ განმარტებას კასატორი მიიჩნევს წინააღმდეგობრივად, ვინაიდან თუ მას აქეს კორექტირების შესწავლის ვალდებულება, ეს გამორიცხავს უფროსი სპეციალისტის ამავე ვალდებულების არსებობას და პირიქით, ხოლო, ორივე მათგანის ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს პასუხისმგებლობაც თანაბრად უნდა გაეხაზილებინა, შესაბამისად, სასამართლოს არ უმსჯელია, ამ ორი პირიდან მხოლოდ კასატორს რატომ დაეკისრა თანხის 50%-ის გადახდა. აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ სააგენტოს იურისტის ვალდებულებები გაათანაბრა უფროსის ვალდებულებებთან, რომელსაც ასევე დაეკისრა თანხის 50%-ის გადახდა;

1.1.2. სააპელაციო სასამართლომ პასუხისმგებლობის კასატორისათვის დაკისრების დასტურად მიუთითა „განყოფილებაში დამკვიდრებულ წესზე“, თუმცა, რას ემყარება სასამართლოს მსჯელობა, გაურკვეველია, ისევე, როგორც მისი მოსაზრება, თუ რა უფლება ჰქონდა იურისტს, არ ენდოს უფროსი სპეციალისტის მოხსენებით ბარათს;

1.1.3. გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან (საქმე №ას-1236-1159-2015), სადაც განმარტებულია, რომ დისცაპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება გადაცდომის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში უნდა განხორციელდეს. თუკი სასამართლო სამართალდარღვევის გამოვლენად მიიჩნევდა დასაქმებულის მოხსენებით ბარათს, იგი პირველ აპრილსაა შედგენილი, ხოლო სახდელი მხარეს სამი თვისა და 28 დღის შემდეგ დაედო. ამ მხრივ, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის ანალიზით, ამასთანავე, შეფასება არ მისცემია იმ საკითხს, 2014 წლის 29 ივლისის ბრძანება ნარმოადგენს ერთი თუ ორი სახის სახელს;

1.1.4. სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამართლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით, თუმცა, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სააგენტოს ზიანი არ მიდგომია. სააგენტო, მიუხედავად ჩატარებული მოკვლევის ფარგლებში კორექტირების კანონდარღვევით გამოვლენის ფაქტისა, მოსარჩელის მიერ მომზადებული ექვსი ბრძანების ადრესატს კვლავ აძლევდა თანხებს;

1.1.5. სასამართლომ დაადგინა, რომ უფროსი სპეციალისტის მოხსენებით ბარათში მითითებული გარემოებების ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის ყურადღება უნდა მიექცია იურისტს, თუმცა, ასევე ადგენს, რომ ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა სპეციალურ განათლებას არ მოითხოვდა და იგი ხელვნიფეროდა წებისმიერ ადამიანს.

1.2. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, წინამდებარე განჩინებისათვის სავალდებულო ძალის შქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე (სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია) (შედავება):

1.2.1. მოსარჩევე დასაქმებულია სსიპ ს-ოს დ-ის რაიონული განყოფილების მთავარი სპეციალისტის (იურისტის) თანამდებობაზე;

1.2.2. სსიპ ს-ოს 2013 წლის 3 სექტემბრის №04-384/ბ ბრძანების საფუძველზე მონიტორინგის სამმართველოს მიერ განხორციელდა დ-ის რაიონულ განყოფილებაში დასაქმებული უფლებამოსილი პირების მიერ 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 ივლისამდე შევსებული, 4009 „ოჯახის დეკლარაციის“ შერჩევითი შესწავლა და მათში დაფიქსირებული ინფორმაციის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაცულ ინფორმაციასთან დადარება. 2014 წლის 10 ივნისის მოხსენებითი ბარათის თანახმად, შემოწმების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები. აქედან 18 შემთხვევაში გამოვლინდა დ-ის განყოფილების პასუხისმგებელი პირების მიერ „ოჯახის დეკლარაციებში“ დაცული მონაცემების კორექტირების არსებული კანონმდებლობის დარღვევით განხორციელება, სახელდობრ, მონიტორინგის სამმართველოს დასკვნით: „18 შემთხვევაში, სააგენტოს დ-ის განყოფილების უფროსის – ლ. ჯ-ის, ასევე, ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტის (იურისტი) – დ. ო-ისა და მთავარი სპეციალისტის – დ. ვ-ის მხრიდან ადგილი აქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის №01-47/6 ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას,

რის შედეგადაც, მოცემული 18 შემთხვევიდან 5 შემთხვევაში ბენეფიციარებზე ზედმეტად გაცემული საარსებო ფულადი შემწეობის ოდენობამ ჯამში შეადგინა – 6 420 ლარი, ხოლო, სა-დაზღვევო პრემიის ოდენობამ – 1 969,97 ლარი...“. ამავე დას-კვინით, მონიტორინგის სამმართველომ მიზანშეწონილად მიჩნია, სააგენტოს დ-ის რაიონული განყოფილების პასუხისმგებელ პირთა მიმართ გასატარებელი დისციპლინური ღონისძიებები-სა და ბენეფიციარ ოჯახებზე არსებული კანონმდებლობის დარ-ღვევით გაცემული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგე-ნის საკითხებთან დაკავშირებით ემსჯელა სააგენტოს დირექ-ტორის 2012 წლის 11 მაისის ბრძანებით შექმნილ კომისიას;

1.2.3. „სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრი-რების სფეროს მიუკუთვნებული ფუნქციების უკეთ განხორციე-ლებისა და განეული საქმიანობის კონტროლის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“ სოციალური მომსახურების სააგენ-ტოს დირექტორის 2012 წლის 11 მაისის №04-303-ო ბრძანებით შექმნილი კომისიის 2014 წლის 24 ივნისის სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ ს-ოს მონიტორინგის სამმართველოს მიერ წარდგენი-ლი ინფორმაცია, დ-ის რაიონულ განყოფილებაში დასაქმებული უფლებამოსილი პირების მიერ 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 ივლისამდე პერიოდში შეესებული, 4009 „ოჯახის დეკლარა-ციის“ შერჩევითი შესწავლისა და მათში დაფიქსირებული ინ-ფორმაციის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაცულ ინფორმაციასთან დადარების შედეგე-ბის შესახებ. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ოჯახის დეკლარაციაში დაცული მონაცემების კორექტირები-სას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვ-ნების დარღვევის გამო, ზედმეტად (არასწორად) გაცემული ფუ-ლადი სოციალური დახმარების თანხების სახელმწიფო ბიუჯეტ-ში აღდგენის უზრუნველყოფა დაევალა – დ-ის რაიონულ გან-ყოფილების უფროსს – ლ. ჯ-ს – 3 871 ლარით, მთავარ სპეცია-ლისტს (იურისტი) – დ. ო-ს – 4 195 ლარით, მთავარ სპეციალისტს – დ. ვ-ს – 324 ლარით;

1.2.4. სსიპ ს-ომ 2014 წლის 29 ივლისს გამოსცა №04-227/ო ბრძანება დ-ის რაიონულ განყოფილებაში ჩატარებული შემოწ-მების შედეგებიდან გამომდინარე გასატარებელი ღონისძიების შესახებ. ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ საფუძვლად მითითე-ბულია 2012 წლის 11 მაისის №04-303-ო ბრძანებით შექმნილი კომისიის 2014 წლის 24 ივნისის სხდომის ოქმი. ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად, შემოწმების მასალებში დაფიქსირებუ-ლი დარღვევების გამო შეწყდა შრომითი ხელშეკრულება საა-

გენტოს დ-ის რაიონული განყოფილების უფროს ლ. ჯ-თან, ხოლ მოსარჩეულე დ. ო-ს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და ერთი თვის შრომის ანაზღაურებიდან დაუკავდა 50%. ბრძანების პირველი პუნქტით, „ოჯახის დეკლარაციებში“ განხორციელებული კორექტირებისას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამო, ზედმეტად გაცემული ფულადი სოციალური დახმარების თანხების ბიუჯეტში აღდგენის უზრუნველყოფა დაეკისრათ: სააგენტოს დ-ის რაიონული განყოფილების უფროს ლ. ჯ-ს – 3 871 ლარის ოდენობით, მთავარ სპეციალისტს (იურისტი) დ. ო-ს – 4 195 ლარის ოდენობით, მთავარ სპეციალისტს დ. ვ-ს – 324 ლარის ოდენობით. ბრძანების მე-2 პუნქტის მიხედვით, სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსს დაევალა უზრუნველეყო დისციპლინური ღონისძიების გატარების მომდევნო თვითან მოსარჩეულე დ. ო-ის შრომის ანაზღაურებიდან ყოველთვიურად 20%-ის დაკავება, ზედმეტად გაცემული თანხის სრულად დაფარვამდე. სააგენტოს 2014 წლის 3 ოქტომბრის №04-310/ო ბრძანებით ცვლილება შევიდა 2014 წლის 29 ივლის №04-227/ო ბრძანებაში და ზედმეტად გაცემული ფულადი სოციალური დახმარების თანხების ბიუჯეტში აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით, ლ. ჯ-ის ვალდებულება განისაზღვრა – 3 871 ლარით, მთავარ სპეციალისტის (იურისტი) დ. ო-ის ვალდებულება – 3 148 ლარით, მთავარ სპეციალისტის დ. ვ-ის კი – 270 ლარით;

1.2.5. სსიპ ს-ოს 2015 წლის 9 სექტემბრის ბრძანებით შეწყდა 2014 წლის 29 ივლისის №04-227/ო ბრძანებით დაკისრებული ვალდებულება დ. ო-ის ნაწილში, რაც ითვალისწინებდა მისი შრომის ანაზღაურებიდან 20%-ის დაკავებას. ბრძანებას საფუძვლად დაედო მოსარჩელის განცხადება, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 261-ე მუხლი და სხვ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 261 მუხლსა და სსიპ ს-ოს 2015 წლის 9 სექტემბრის ბრძანებაზე დაყრდნობით, დ. ო-ს დაუბრუნდა 2015 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით დაქვითული თანხა – 371,40 ლარი. ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (სსსკ-ის 264-ე (1) მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად);

1.2.6. სსიპ ს-ოს ს. მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილების ტიპური დებულების 6.3 მუხლის თანახმად, განყოფილების თანამშრომელები ასრულებენ ამ დებულებით, მოქმედი კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრუ-

ლებით გათვალისწინებულ შესაბამის ფუნქციებს და მათი განხორციელებისას ემორჩილებიან განყოფილების უფროსა და უფროსის მოადგილეს. და-ის რაიონული განყოფილების უფროსის 2013 წლის 5 თებერვლის №25/ო ბრძანების შესაბამისად, მოსარჩელის სამსახურებრივ ვალდებულებებში შედის ბრძანებაში პირდაპირ ჩამოთვლილი ფუნქციები და სამსახურის ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც შესაბამისობაშია მის კვალიფიკაციასთან;

1.2.7. სამსახურის ხელმძღვანელის დავალებით მოსარჩელე ამზადებდა ბრძანების პროექტებს სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, „ოჯახის დეკლარაციაში“ მონაცემების კორექტირების შესახებ. დეკლარაციაში მონაცემების კორექტირების მსურველი მოქალაქეების განაცხადი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ეწერებოდა განყოფილების უფროსს, რომელიც მას, თავის მხრივ, აწერდა განყოფილების უფროს სპეციალისტს. უფროსი სპეციალისტი განყოფილების უფროსის სახელზე შედგენილი მოხსენებითი ბარათის მეშვეობით ითხოვდა არსებული დეკლარირებული მონაცემების კორექტირებაზე ნებართვას. განყოფილების უფროსი მოხსენებით ბარათს აწერდა განყოფილების იურისტს – მთავარ სპეციალისტს ბრძანების პროექტის მოსამზადებლად. კორექტირების შესახებ განყოფილების იურისტის მიერ მომზადებული ბრძანების პროექტი ბრუნდებოდა განყოფილების უფროსთან, რომელიც უფროს სპეციალისტს ავალებდა დეკლარირებული მონაცემების შეცვლას კორექტირებული მონაცემებით.

1.3. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასაქმებულის მხრიდან შრომითი მოვალეობების დარღვევისა და ამ დარღვევის შედეგად დამსაქმებლისათვის ზიანის მიყენების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნა არ ემყარება საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ კვლევას. სააპელაციო პალატამ ამგვარი დასკვნა დაუკავშირა „განყოფილებაში დადგენილ წესს“, რომლის შესაბამისადაც მოსარჩელემ, როგორც სააგენტოს და-ის რაიონული განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა (იურისტმა), ისე, რომ არ გადაამორმა უფროსი სპეციალისტის მოხსენებით ბარათში მითითებული გარემოებანი, ფორმა №IV-100/ა-ის სათანადოდ გაცნობისა და შეფასების, მასში მითითებული სამედიცინო დიაგნოზის გარკვევის გარეშე, მოამზადა 6 ბრძანების პროექტი, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების არასწორად გაცემა.

1.3.1. საკასაციო პალატა წინა პუნქტში მოხმობილი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის მიზნით განმარტავს, რომ

შრომითი მოვალეობის დარღვევისათვის დასაქმებულის პასუხისმგებლობის საფუძვლებს ადგენს თავად შრომის კოდექსი. პასუხისმგებლობის ფორმად კი, მოქმედი კანონმდებლობა განიხილავს, როგორც შრომითი ვალდებულების დარღვევიდან ნაწარმოებ მეორად მოთხოვნებს (ზიანის ანაზღაურება), ისე – დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესაძლებლობას. მითითებულთაგან პირველი (ზიანი) მოწესრიგებულია შრომის კოდექსის 44-ე მუხლით, რომელიც დეკლარაციული ნორმა (მრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) და ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სამართლის ნორმათა გამოყენების პრინციპის მხედველობაში მიღებით, თუკი შრომის სპეციფიკის გათვალისწინებით სახეზე არ გვაქვს სპეციალური რეგულაცია, გამოიყენება სახელშეკრულებო მოთხოვნათა დარღვევისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მეორადი მოთხოვნის მარეგულირებელი წესი (სკ-ის 394-ე მუხლი), შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისათვის სახეზე უნდა იყოს ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი სამივე ელემენტი: პირის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება; შედეგი – მიყენებული ზიანი; მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. რაც შეეხება მეორეს (დისციპლინური პასუხისმგებლობა) – ამ საკითხის რეგულაციას კანონმდებელი მთალიანად შრომის შინაგანებს უკავშირებს (შკ-ის მე-13 (2) მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომის შინაგანებსი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს ... პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურებასთან ერთად დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის მთლიანად დამსაქმებლის დისკრეციულ უფლებათა სპექტრს განეკუთვნება, თუმცა, იგი არ შეიძლება გაგებულ იქნას დამსაქმებლის აბსოლუტურ უფლებად, რამეთუ ე.წ დასაქმებულის დასჯის მექანიზმი შრომის კოდექსით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით (დაქვემდებარებული დამოკიდებულება, რომლის ფარგლებშიც დასაქმებული, ანაზღაურების სანაცვლოდ ასრულებს დამსაქმებლის მითითებებს, იხ. შკ-ის 2.1. მუხლი), მეტ-ნაკლებად უნდა იცავდეს შრომის კოდექსის მე-2 მუხლით აღიარებულ თანასწორობის პრინციპს და არ უნდა იქცეს დამსაქმებლისათვის თვითნებობის საფუძვლად. ამ განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ დისციპლინური სახდელის გა-

მოყენების საკითხი შეიძლება ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადებს დაუკავშირდეს. ამ თვალსაზრისით ვერ იქნება გაზიარებული მოსარჩელის მითითება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე (საქმე №ას-1236-1159-2015), რადგან მხარის მიერ მითითებულ საქმეზე საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის მოტივით და საქმის ფაქტობრივი მხარე, თავისი ინდივიდუალური ბუნებით, არსებული შემთხვევის იდენტური არაა.

1.3.2. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მსგავს ვითარებაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესის სწორად განსაზღვრა. როდესაც დამსაქმებელი განკარგავს საკუთარ უფლებამოსილებას დასაქმებულის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, ხოლო დასაქმებული შეედავება მას, ბუნებრივია, მოსარჩელეს ეკისრება პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ფაქტების მითითება, თუმცა, გამოყენებული ღონისძიების კანონიერების, მათ შორის, პროპორციულობის მტკიცება ეკისრება დამსაქმებელს, რომელიც, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში მყოფი სუბიექტია და შესაბამის დოკუმენტბრუნვას აწარმოებს, აქედან გამომდინარე, მას სრულად ხელებით იმ მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც საკუთარი შეხედულების ფარგლებში, ამართლებს მის მიერ განხორციელებულ ქმედებას (პასუხისმგებლობის გამოყენებული ზომის კანონიერებას).

1.3.3. სასამართლო, მოცემული კატეგორიის დავის განხილვისას, როგორც მხარეთა შეჯიბრების წარმმართველი წეიტრალური არბიტრი, საპროცესო წესების დაცვით მიღებული მტკიცებულებების ყოველმხრივი ანალიზის შედეგად ადგენს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არსებობის საკითხს (სსსკ-ის 105-ე მუხლი).

1.4. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს, დამკვიდრებული წესის თანახმად, ეკისრებოდა არა მხოლოდ ბრძანების პროექტის მომზადება, არამედ, მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, არ ემყარება საქმის მასალების ყოველმხრივ შემოწმებას. სააპელაციო სასამართლო ამ დასკვნამდე მივიდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ „ოჯახის დეკლარაციაში“ მონაცემების კორექტობებასთან დაკავშირებით განყოფილების უფროსი სპეციალისტის მოხსენებით ბარათს აწერდა განყოფილების იურისტს ბრძანების პროექტის მოსამზადებლად, თუმცა, სასა-

მართლოს მოსარჩელის შედავების ფარგლებში არ შეუსწავლია უფროსი სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები და არ დაუდგენია მისი მოხსენებითი ბარათის იურიდიული მნიშვნელობა, კერძოდ, უფროსი სპეციალისტის მოხსენებითი ბარათის დატვირთვა წარმოადგენდა წმინდა ფორმალობას, თუ მას (უფროსი სპეციალისტი) ასევე ევალებოდა დეკლარაციის კორექტირების წინაპირობების გადამოწმება, მით უფრო, როგორც სასამართლო ადგენს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 12 ოქტომბრის №01-47/ნ ბრძანებით სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის (დანართი №1) მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში განხორციელდა ცვლილება (ასევე, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს №338/ნ ბრძანებით დამტკიცებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესი დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICD-10) მიხედვით) და ნორმატიულად განისაზღვრა დაავადებათა ჩამონათვალი, ასევე, მტკიცებულება (ფორმა №IV-100/ა), რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას კონკრეტულ დაავადებაზე, ხოლო ამ საკითხების შეფასება სპეციალურ სამედიცინო განათლებას, კვალიფიკაციას არ მოითხოვს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქმეში წარმოდგენილი დარღვევის დაფიქსირებამდე არსებული უფროსი სპეციალისტის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათებისა და შემდგომი პერიოდის მოხსენებითი ბარათების შინაარსის ცვლილება, უფრო მეტიც, საქმეში არსებული არც ერთი დოკუმენტი, მათ შორის შინაგანაწესი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იურისტის მხრიდან ბრძანების პროექტის მომზადებისას დოკუმენტების ნორმატიული შესაბამისობის დადგენაზე, ხოლო განყოფილების დებულებაში არსებული დათქმა, რომ იურისტი ასრულებს სამსახურის უფროსის სხვა მითითებებს, მოიცავს თუ არა მოხსენებითი ბარათით მისთვის გადაცემული დოკუმენტების უშუალო ანალიზის ვალდებულებას, დამსაქმებლის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. ამ მხრივ, მხოლოდ დ. ო-ის მოხსენებითი ბარათი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საქმარის მტკიცებულებად, ვინაიდან იგი არ შეიცავს ამ ფაქტის პირდაპირ ალიარებას, არამედ, მასში ასახულია დეკლარაციის კორექტირების წინაპირობები, ხოლო სსიპ ს-ოს დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის 2014 წლის 24 ივნისის სხდომის ოქმის სისწორე შედავებულია მოსარჩელის მხრიდან და მასში გადმოცემული ინფორმაციის ნამდვილობა წარმოადგენს სწორედ წინამდებარე დავაში მტკი-

ცების საგანს.

1.5. საკასაციო პალატა ზიანის ფაქტთან მიმართებით ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პრეტენზიას. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის განკარგვა არამართლზომიერად განხორციელდა, ანუ სახეზეა, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ისე – ზიანი (სახელმწიფო ბიუჯეტის ქონებრივი დანაკლისი) და მიზეზობრივი კავშირი, თუმცა, მოსარჩელის პასუხისმგებლობის მოცულების განსაზღვრისათვის მხოლოდ ამ წინაპირობების დადგენა არასაკმარისია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ კუთხით შეფასებას ექვემდებარება მხარის ის პოზიცია, რომლის თანახმადაც, სააგენტოს მის მიერ გამოცემული სადაც აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ბათილად არ უცვინა (სზაკ-ის მე-60' მუხლი), არამედ, აგრძელებდა შესაბამისი თანხის ბენეფიციარებისათვის გადახდას. ამგვარ ვითარებაში კრედიტორის გადასაწყვეტი იყო გაცემული თანხის (ქონებრივი დანაკლისის) დაბრუნებას (ანაზღაურებას) მოითხოვდა ბენეფიციარიებისაგან კონდიქციური ვალდებულების საფუძველზე თუ დასაქმებულისაგან – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის საფუძველზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღინიშნა, დადგენას ექვემდებარება ვალდებულების დარღვევა რა მოცულობით შეერაცხება დასაქმებულს, ასევე, გამოსაკვლევისა ხელი შეუწყო თუ არა სააგენტომ ზიანის წარმოშობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფომ, როგორც მისი კუთვნილი თანხის არასწორად განკარგვის შემთხვევაში მოთხოვნის უშუალო კრედიტორმა, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 261-ე მუხლით 2016 წლის 1 დეკემბრამდე ზედმეტად გაცემული საარსებო შემწეობის დაბრუნებაზე უარი განაცხადა და ეს თანხა მიიჩნია ლეგალიზებულად.

1.6. საკასაციო პალატა განსახილველი დავის ფარგლებში ყურადღებას გაამახვილებს კასატორის იმ პრეტენზიაზეც, რომელიც განსხვავებული მოცყორბის ფაქტს ეხება, კერძოდ, დ. ო-ი როგორც სარჩელში, ისე – სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა შრომითი დისკრიმინაციის ფაქტზე, ხოლო საკასაციო პრეტენზიებში ასევე გადმოცემულია მისი პოზიცია, რომ გამოყენებული დისკრიმინური სახდელი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა მას სხვა დასაქმებულებთან. ამ თვალსაზრისით არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შრომით ურთიერთობაში დისკრიმინაციის საკითხის

მომწესრიგებელ დებულებებს თავად შრომის კოდექსის მე-2 მუხლი ადგენს, რომლის მე-3-მე-5 ნაწილებით განმარტებულია შრომითი დისკრიმინაციის არსი და მისი აკრძალვა, როგორც წინასახელშეკრულებო, ისე – შრომით ურთიერთობაში, ასევე, რეგულირებულია შემთხვევა, როდესაც განსხვავებული მოპყრობა არ შეიძლება, განხილულ იქნას გამართლებულად, თუმცა, დადგენილი რეგულაცია არ არის ამომწურავი, ამავე კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელი ნორმატიული აქტის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს, ხოლო, კანონის მე-10 მუხლი უფლებით აღჭურავს პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, მიმართოს სასამართლოს.

1.6.1. დისკრიმინაციის საკითხის ანალიზისას საკასაციო პალატა შეჩერდება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლზეც, რომლის უმთავრეს დებულებას წარმოადგენს ის დათქმა, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და თანასწორია კანონის წინაშე, რაც შეეხება ნორმაში ჩამოთვლილ განმასხვავებელ ნიშნებს, ისინი არ არის ამომწურავი და სადაცობისას სწორედ ზემოხსენებული დათქმიდან გამომდინარე, ფართო განმარტებას საჭიროებენ, ანუ ნებისმიერი, მათ შორის ნორმით გაუთვალისწინებული ნიშნით პირისადმი განსხვავებული მოჰყრობა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ფარგლებში შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის წევრ ქვეყანას, რომლის მიმართ მოქმედებს მათ შორის კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოყენებას. ამ მხრივ, მხედველობაშია მისაღები ევროსასამართლოს პრაქტიკა: საქმეზე „Savez crkava „Rijec zivota“ and others v. Croatia“ (განაცხადი №7798/08, 2010 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება) სასამართლომ განმარტა, რომ დისკრიმინაცია ფართო განმარტებას ექვემდებარება, კერძოდ, მე-12 ოქმის პირველი მუხლი დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას ითვალისწინებს და მისი დაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ „კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით“, რო-

გორც ამას დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ტექსტი გვთავაზობს. საკასაციო პალატის შეფასებით, სწორედ ამგვარ ფართო განმარტებას ემსახურება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტები, მიუხედავად კანონის დანაწესებში არსებული მითითებისა, პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის არსებობაზე.

1.6.2. რაც შეეხება უშუალოდ დისკრიმინაციას, მის ცნებას განსაზღვრავს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი და ადგენს „პირდაპირი“ და „ირიბი“ დისკრიმინაციის ლეგალურ დეფინიციას. მითითებულთაგან პირველს მიეკუთვნება დისკრიმინატორის მხრიდან იმგვარი მოპყრობა, რომელიც პირს მადლისკრიმინირებელი ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან, რაც შეეხება ირიბ დისკრიმინაციას, იგი სახეზეა მაშინ, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, თუმცა, როგორც ერთ, ისე – მეორე შემთხვევაში, არ უნდა არსებოდეს განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელი გარემოებები. ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს განმარტებით, პირდაპირი დისკრიმინაცია არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა, თუ ამ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება (იხ. Willis v. the United Kingdom, №36042/97) უნდა დადგინდეს, რომ სხვა პირებს, რომლებიც ანალოგიურ ან არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა, თუ ამ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება (იხ. Konstantin Markin v. Russia, №30078/06), განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება ნიშნავს იმას, რომ მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს უნდა ისახავდეს და უნდა არსებოდეს გონივრული თანაბარზომიერება ჩარევის ღონისძიებასა და დასახულ მიზანს შორის (იხ. Petrovic v. Austria, №20458/92). ირიბი დისკრიმინაცია კი, პრეცედენტული სამართლის მიხედვით, განიმარტება, როგორც განსხვავებული მოპყრობის იმ ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიების მავნე შედეგის სახით არსებობა, რომელიც, მართა-

ლია, ნეიტრალურადაა წარმოჩენილი, მაგრამ დისკრიმინაციულია და ერთ გარევეულ ჯგუფზე მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს, ვიდრე მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებზე (იხ. D.H. and others v. the Czech Republic, №13378/05). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონით გათვალისწინებული ასტრაქტული ელემენტების არსებობა უპირობოდ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის საკმარის წინაპირობას არ ემნის. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, ანტიდისკრიმინაციული სამართლისა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე აღინიშნოს, რომ განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს კანონმდებლობით აღიარებული რომელიმე უფლებით ან სიკეთით სარგებლობასთან მიმართებით, რამეთუ ცალკე აღებული დისკრიმინაციის ინსტიტუტი დამოუკიდებელ დაცვას არ ეძვემდებარება. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის უნდა არსებობდეს დაცული სფერო – უფლება, რომელშიც ხდება ჩარევა; კომპარატორი – ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი და ამ ორ პირს შორის მთავარი განსხვავება წარმოადგენს ე.წ „დაცულ სფეროს“. ამ ფაქტების საპირისპიროდ, ჩარევის გამართლება გონივრული და წონადი არგუმენტებით ეკისრება განსხვავებული მოპყრობის ინიციატორს, შესაბამისად, დღის წესრიგში დგება დისკრიმინაციის საქმეზე მტკიცების ტვირთის განაწილების პრობლემა, რის შესახებაც ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო, ამჯერად კი, ყურადღებას გაამახვილებს, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო, ისე – ევროსასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებულ დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენის მეთოდებზე – ე.წ „შეფასების ტესტებზე“.

1.6.3. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოება აღიარებს „მეაცრი შეფასებისა“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტს“, რომელთაგან პირველს იყენებს ე.წ „კლასიკური“ (კანონით პირდაპირ გათვალისწინებული) ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის კვლევისას, ხოლო მეორეს – ყველა სხვა შემთხვევასთან მიმართებით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება). შეფასების ტესტთან მიმართებაში ევროსასამართლო არ ადგენს დისკრიმინაციის საფუძვლების იერარქიას, არამედ მიიჩნევს, რომ განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას არ აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება, ანუ, თუ არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, ან თუ არ არსებობს გონივრული თანაბარზომიერება ლეგიტიმურ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებას (იხ. Mizzi v. Malta,

№26111/02).

მტკიცებულების ტვირთის დაკისრება ურთიერთკავშირშია ფაქტების კონკრეტიკასთან, ბრალდების ბუნებასა და კონვენციით განსახილველ უფლებასთან. სასამართლომ ასევე აღიარა, რომ კონვენციური სამართალნარმოება ყველა საქმეში მკაცრად არ იყენებს აფიცირმანტი ინცუმბიტ პრობატიო პრინციპს (ის ვინც ბრალს დებს ვალდებულია თავად დაამტკიცოს ბრალდება – *affirmanti incumbit probatio* (ამონარდები), *Aktas v. Turkey* no.24351/94, § 272, ECHR 2003 V). რიგ შემთხვევებში, როდესაც საქმის საფუძველში არსებული მოვლენები სრულიად ან დიდწილად არასწორია, რის შესახებაც მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებმა იციან, მტკიცების ტვირთი შესაძლოა ხელისუფლებას დაეკისროს, რათა წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამართმუნებელი განმარტება (*Salman v. Turkey* [GC], no. 21986/93, § 100, ECHR 2000-VII; *da Anguelova v. Bulgaria*, no. 38361/97, § 111, ECHR 2002-IV).

1.6.5. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას სააგენტოს ტერიტორიული განყოფილების ხელმძღვანელისა და იურისტის, როგორც არათანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების არსებითად თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების თაობაზე და თვლის, რომ მხოლოდ ქონებრივი სანქციის ოდენობით ეს საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს. უდავოა, რომ მოკვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამსახურის ხელმძღვანელმა დატოვა თანამდებობა, შესაბამისად, იგი კომპარატორად ვერ გამოიდგება. რაც შეეხება მის მითითებას უფროსი სპეციალისტის მიმართ განხორციელებულ სანქციებზე, პალატა მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, შეიძლება არსებობდეს არსებითად მსგავს მდგომარეობაში ყოფნის ფაქტი, თუმცა, სამსახურის მთავარი სპეციალისტისა (იურისტის) და უფროსი სპეციალისტის ფუნქციური დატვირთულობა სწორად უნდა დადგინდეს, რის შედეგადაც უნდა განისაზღვროს კომპარატორის საკითხი, რომელთან მიმართებაშიც მოსარჩელე აცხადებს, რომ დისციპლინური, ასევე, მატერიალური პასუხისმგებლობა არ დამდგარა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს და დაადგინოს, ამტკიცებს თუ არა მოსარჩელე განსახვავებული მოპყრობის წინაპირობებს, რის შემდეგაც ამ მოპყრობის გამართლების მტკიცების ტვირთი გადავა დამსაქმებლის მხარეს. ისეთი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კი, როგორიცაა დისკრიმინაცია, დისკრიმინატორის მხრიდან კანონით განსაზღვრული უფლებით, მათ შორის შრომის შინაგანანესით განსაზღვრული დისციპლინური სახდელის ინსტიტუტით სარგებლობის გზით დისკრიმინაციის გადაფარვა

განხილულ უნდა იქნას, როგორც მიზანშეუწონელი და სრული-ად მიუღებელი ქცევა, რომელიც არღვევს, როგორც საერთა-შორისო, ისე – ეროვნული სამართლის ნორმებსა და პირის თა-ნასწორების საყოველთაო პრინციპს.

1.7. წინამდებარე განჩინებაში ასახული დასაბუთებიდან გა-მომდინარე, საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თა-ნახმად აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახ-ლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, რო-მელმაც უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნე-ლობის მქონე ფაქტები და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს უფლების საკითხი.

## 2. სასამართლო ხარჯები:

კასატორის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სა-ხელმწიფო ბაჟი გადახდილია. სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააპრუნებს საქმეს ხელახლა განსახილ-ველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განცეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებუ-ლი, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით დაგაზი სამართალწარმოება არ სრულდება, პალატა მიიჩნევს, რომ პროცესის ხარჯების საკითხი, როგორც მხარეთა შორის, ისე – ბიუჯეტის მიმართ (სსსკ-ის 55-ე მუხლი) უნდა განა-ნილდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 412-ე მუხლე-ბით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ო-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაქმაყოფილ-დეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამარ-თლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## 4. შრომის ანაზღაურება

### შრომის ანაზღაურება იძულებითი მოცდების დროს

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-82-82-2018

9 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათი-  
ლად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება,  
დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2011 წლიდან 07 თებერვლიდან გ. ბ-ი (შემდეგში: დასაქმე-  
ბული ან კასატორი) მუშაობდა სს „ე-იაში“ (შემდეგში: დამსაქ-  
მებელი ან მოპასუხე ან აპელანტი) აქტებზე დარიცხვის სპეცი-  
ალისტად და მისი ხელფასი (საშემოსავლოს დარიცხვის ჩათ-  
ვლით) შეადგინდა 1200 ლარს.

2. დასაქმებული 2014 წლის აგვისტოდან გადაიყვანეს ქსე-  
ლის ენერგოზედამხედველობის სამსახურში უფროსი სპეცია-  
ლისტის თანამდებობაზე. მისი ხელფასი (საშემოსავლო გადა-  
სახადის დარიცხვის ჩათვლით) შეადგინდა 1400 ლარს.

3. 2015 წლის 03 ივნისიდან დასაქმებულს მოქმატა ხელფასი  
და დარიცხული თანხა განისაზღვრა 1700 ლარით საშემოსავლო  
გადასახადის დარიცხვის ჩათვლით.

4. დამსაქმებელმა დასაქმებულს გაუგზავნა 2015 წლის 31  
დეკემბრის ბრძანება №1612 შრომითი ხელშეკრულების შეწ-  
ყვეტის შესახებ, რომლის მიხედვით ხელშეკრულების ვადის  
გასვლის გამო, დასაქმებულთან 2016 წლის 01 იანვრიდან შეწ-  
ყვეტილი იყო ხელშეკრულება (შემდეგში – სადავო ბრძანება).

5. დასაქმებულმა სარჩელი ალძრა დამსაქმებლის მიმართ სა-  
დავო ბრძანების ბათილად ცნობის, ქსელის ენერგოზედამხედ-  
ველობის სამსახურში უფროსის სპეციალისტის თანამდებობაზე  
აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით 2016  
წლის 01 თებერვლიდან ყოველთვიურად 1700 ლარის გადახდი-

სა და ხელფასის დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის – 1700 ლარის 0.07%-ის გადახდის მოთხოვნით 2016 წლის 1 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე [საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სპ-ის) მე-6 და 31.3 მუხლები; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 44-ე, 394 და 411-ე მუხლები].

6. დამსაქმებელმა სადაცო ბრძანების ბათილად ცნობის საფუძვლად მიუთითა მასსა და დამსაქმებელს შორის უწყვეტად მოკლე ვადიანი კონტრაქტების გაფორმების ფაქტზე და აღნიშნა, რომ 2015 წლის 31 დეკემბერს დასაქმებულს აცნობეს აღარ გამოცხადებულიყო სამსახურში. მისი მოთხოვნის საფუძვლზე მას გადაეცა გათავისუფლებს შესახებ ბრძანება წერილობით, რომელშიც მითითებული გათავისუფლების საფუძველი მოსარჩელის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია.

7. მოპასუხებ მოთხოვნის გამომრიცხველ შედავებაში უარყო მოსარჩელესთან უვადო შრომითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობა.

8. თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სადაცო ბრძანება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. მოსარჩელე აღდგენილ იქნა მოპასუხებ საზოგადოებაში ზედამხედველობის ქსელის სამსახურის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე. მოპასუხებ მოსარჩელის სასამარგებლოდ დაეკისრა 2016 წლის 1 იანვრიდან სამსახურში აღდგენამდე კომპენსაცია ყოველთვიურად 1700 ლარის ოდენობით (საშემოსავლოს ჩათვლით). ასევე, ფულადი ანგარიშსწორების დაყოვნების გამო, ყოველ დაყოვნებულ დღეზე გადასაცემი თანხის 1700 ლარის (საშემოსავლოს ჩათვლით) 0,07 პროცენტი, რაც მოცემულ შემთხვევაში, შეადგენს 1.19 ლარს (საშემოსავლოს ჩათვლით) ყოველდღიურად 2016 წლის 1 თებერვლიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ.

10. აპელანტმა მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის გაკოტრების მმართველის აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის სადაცო ბრძანების შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ბათილად ცნობის საფუძველი.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება და

სარჩელი არ დაქმაყოფილდა.

12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ გან-ჩინების პპ: 1-6 ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

13. იმავდროულად, მიუთითა საქართველოს იუსტიციის სა-მინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამარ-თლის იურიდიული პირის – ალსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის – გადახდისუუნარობის საქმის წარ-მოების სამსახურის წარმომადგენლის (სამსახურის უფროსი) 2017 წლის 26 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე გაკეთებულ ზეპირ განმარტებაზე, რომლის მიხედვით მოპასუხის კუთვნი-ლი სრული ქონება რეალიზებული იქნა აუქციონზე და მას აღარ გააჩნია ქონება, ასევე არ გააჩნია ელექტროენერგიის განაწი-ლების ლიცენზია კ-ის ტერიტორიაზე და სემეკის დადგენილე-ბით იგი გადაეცა სხვა კომპანიას. მანვე 6 ნოემბრის სასამარ-თლო სხდომაზე წარმომადგინა საქართველოს იუსტიციის სამი-ნისტროს ალსრულების ეროვნული ბიუროს №11058975-010/001 (11.08.2017) განკარგულება და №11058975-010/004 (15.08.2017) განკარგულება, რომლის მიხედვით „გადახდისუუნარობის საქ-მის წარმოების შესახებ“ საქართველოს ვანონის 38-ე მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად ალსრულების ეროვნულმა ბიურომ გა-მოსცა განკარგულება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთ-რების უფლების გადაცემის შესახებ. ამ განკარგულების შესა-ბამისად, მოპასუხის კუთვნილი, დანართი №1-ში მითითებული სამეურვეო ქონების შემძენი 2017 წლის 1 აგვისტოს დასრულე-ბულ აუქციონზე გახდა სს „ე-ია“ (შემდეგში: შემძენი ან მესამე პირი). შემძენმა სრულად გადაიხადა შეძენილი ქონების საფა-სური. 2017 წლის 15 აგვისტოს განკარგულებით კი, იმავე დღეს, 2017 წლის 1 აგვისტოს დასრულებულ აუქციონზე სამეურვეო ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) მესაკუთრეც გახ-და შემძენი.

14. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს არ უარყვია ის გარემოება, რომ მოპასუხე საზოგადოება, ჯერ კიდევ, მისი მუშაობის პერიოდში იმყოფებოდა გაკოტრების რე-ჟიმში. იგი ტელეფონით ესაუბრა ზ. მ-ს და მის ყოფილ კოლე-გებს დაახლოებით ერთი თვის უკან და მათგან შეიტყო, რომ მოპასუხე საზოგადოება იყო გაყიდული. ასევე იცის, რომ რო-დესაც გაიყიდა მოპასუხე საზოგადოება, მის აბონენტებს ელ- ენერგიის გადახდის ქვითრები მიუვიდათ ნაწილი მოპასუხე სა-ზოგადოების სახელით, ხოლო ნაწილი მესამე პირის სახელით, შემდგომ თვეში კი, ქვითრები აბონენტებს მიუვიდათ მხოლოდ მესამე პირის სახელით.

15. ამ გარემოებებში, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მთელი ქონება, როგორც გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოსი, რეალიზდა აუქციონზე და მის ნაცვლად, კის რეგიონში ელექტროენერგიის დისტრიბუტორს წარმოადგენს მესამე პირი. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მოცულობის სახით ძალაში დატოვების შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესი სამსახურში გათავისუფლებამდე არსებულ თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე მიუღწეველი და აღუსრულებელი შეიქნებოდა.

16. ხოლო სადავო ბრძანების თანმდევი შედეგის თვალსაზრისით, სამსახურში აღდგენის სანაცვლოდ, მოსარჩელის ფულად კომპენსირებას რაც შეეხება, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხოლოდ თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებით დამდგარ იურიდიულ შედეგს უჭერდა მხარს, რომელიც სსკ-ის მე-4, 102-ე და 105-ე მუხლების საფუძველზე წარუმატებელი იყო.

17. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით მოსარჩელის მიერ.

18. კასატორმა მოთხოვნა შეამცირა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ განაცდურის ანაზღაურებასა და ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის პირგა-სამტებლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში მოითხოვა (იხ., საკასაციო საჩივრის მოთხოვნა). შედრ: ამ განჩინების პ – 5).

19. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიკვლია და შეაფასა მოწინააღმდეგე მხარის ფინანსური შესაძლებლობები.

20. კასატორი მიუთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.1 პუნქტზე, სადაც სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი მყარად უჭერდა მხარს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რითაც მისი სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა (გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება).

21. კასატორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მიუთითა გადაწყვეტილების შესაძლო აღუსრულებლობაზე და მთლიანად გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, ისე, რომ საერთოდ არ იმსჯელა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

22. საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოწინდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სრულად გასხვისდა მოწინააღმდეგე მხარის ქონება, თუმცა, სასამართლოს

არანაირი ინფორმაცია არ აქვს იმის შესახებ, მოწინააღმდეგები მხარეს კრედიტორების დაკუმაყოფილების შემდეგ დარჩა თუ არა თანხა.

23. კასატორისათვის გაურკვეველია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად და არა ნაწილობრივ გაუქმების საფუძვლები, სამსახურში აღდგენის ნაწილში გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე მსჯელობის გარეშე. კასატორი აღნიშნავს, რომ დავის პირველ ინსტანციაში განხილვისა და გადაწყვეტის დროს მოწინააღმდეგე მხარე ახორციელებდა საქმიანობსა და შესაბამისად, კანონიერი იყო პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება როგორც განაცდურის ანაზღაურების, ასევე – სამსახურში აღდგენის ნაწილში. კასატორის მითითებით, მოწინააღმდეგე მხარემ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება დაიწყო საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვის დროს და სწორედ ამ პერიოდში მოხდა მოწინააღმდეგე მხარის 2017 წლის 1 აგვისტოს დასრულებულ აუქციონზე მესამე პირის მიერ სამუშავეო ქონების შეძენა. შესაბამისად, ამ დროს აღარ არსებობდა მოწინააღმდეგე მხარე და კასატორის სამსახურში აღდგენა ველარ დაექვემდებარებოდა აღსრულებას.

24. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო პალატის მიერ ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენასთან ერთად, მან მოწინააღმდეგე მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 2 465,37 ლარის ოდენობით მთლიანად კასატორს დააკისრა და ამით ის უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. შესაბამისად, კასატორი თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს პრინციპს.

25. კასატორი აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარზე დართულია 2018 წლის 5 იანვრის №11058975-D067 განცხადებაზე აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 10 იანვრის №A11058975-D067 პასუხი, რომელშიც ნათლად არის აღნიშნული, რომ მოწინააღმდეგე მხარის ქონების რეალიზაცია განხორციელდა სრულად (რაც ასევე დადასტურებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 5 იანვრის №A11058975-011/005 პასუხით), ასევე, აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე გადმოირიცხა მოწინააღმდეგე მხარის ანგარიშზე იმდროისათვის არსებული (აბონენტებისაგან ამოღებული) თანხები და მათი გადარიცხვა განხილულდა კრედიტორების ანგარიშზე – სასამართლოს განჩინებისა და დამტკიცებული კრედიტორთა რეესტრის შესაბამისად. ამავე პასუხში აღსრულების ეროვნული ბიურო აღნიშნავს, რომ ამ ეტაპისათვის, 2018 წლის 10 იან-

ვრის მდგომარეობით, მოწინააღმდეგე მხარის აბონენტების ნაწილის მიერ მის მიმართ არ განხორციელებულა ფულადი ვალ-დებულებების შესრულება და აღნიშნული თანხების ამოღების შემდეგ მათი განაწილება მოხდება მოწინააღმდეგე მხარის კრე-დიტორებისათვის.

26. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ნინააღმდეგ შემთხვევა-ში, სასამართლო კასატორის ფულადი კომპენსაციის მოთხოვ-ნის დაკმაყოფილების ნაწილში ძალაში დატოვებდა გასაჩივრე-ბული გადაწყვეტილებით.

27. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამარ-თლოს უნდა გამოეყენებინა „გადახდისუნარობის საქმის ნარ-მოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი ნა-წილის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც მე-7 რიგის კრედი-ტორად აღნიშნული კანონი კრედიტორთა მოთხოვნების დაკ-მაყოფილების რიგითობაში, აყენებს დაგვიანებით წარდგენილ კრედიტორთა მოთხოვნებს. შესაბამისად, კასატორი მიჩნეუ-ლი იქნება ასეთ კრედიტორად, რომელსაც კანონი მე-7 რიგში ჩააყენებს და მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე მხარის აბონენ-ტები ფულად ვალდებულებებს შეასრულებენ, კასატორი გარ-კეულ თანხას შიღებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო 2018 წლის 23 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩი-ვარი ცნობილ იქნა დასაშვებად 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სამართლებრივი საფუძვლით.

29. სასამართლომ შეისწავლი წარმოდგენილი საკასაციო სა-ჩივრის საფუძვლები, შეამოწმა საპელაციო პალატის გასაჩივ-რებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩ-ნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივი გა-უქმებით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩე-ლის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, შემდეგ გარემო-ბათა გამო:

30. პირველ რიგში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორმა მოთხოვნა შეამცირა და გასაჩივრებული გადაწყვე-ტილების გაუქმება მხოლოდ განაცდურის ანაზღაურებასა და ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის პირგასამტებ-

ლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში მოითხოვა (იხ., საკაცაციო საჩივრის მოთხოვნა. შდრ: ამ განჩინების პ – 5).

31. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა იმსჯელებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე მხოლოდ საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებში და მაშასადამე, შეამოწმებს გადაწყვეტილების კანონიერებას სწორედ განაცდურის ანაზღაურებასა და ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის პირგასამტებლოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

32. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ ნაწილში, მოცემულ საქმეზე საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წარმოდგენილი არ არის საკასაციო პრეტენზია:

33. 2011 წლიდან 7 თებერვლიდან დასაქმებული მუშაობდა მოპასუხე საზოგადოებაში აქტებზე დარიცხვის სპეციალისტად და მისი ხელფასი (საშემოსავლოს დარიცხვის ჩათვლით) შეადგენდა 1200 ლარს. იგი 2014 წლის აგვისტოდან გადაიყვანეს ქსელის ენერგოზედამხედველობის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, რომელ თანამდებობაზეც მისი ხელფასი (საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის ჩათვლით) შეადგენდა 1400 ლარს. 2015 წლის 3 ივნისიდან დასაქმებულს მოემატა ხელფასი და დარიცხული თანხა განისაზღვრა 1700 ლარით საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის ჩათვლით.

34. დამსაქმებელმა დასაქმებულს გაუგზავნა სადავო ბრძანება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რომლის მიხედვით ხელშეკრულების ვალის გასვლის გამო, დასაქმებულთან 2016 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილი იყო ხელშეკრულება.

35. კასატორის პრეტენზია იმ გარემოებას ემყარება, რომ მოწინააღმდეგე მხარეებ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება დაიწყო საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვის დროს და სწორედ ამ პერიოდში მოხდა მოწინააღმდეგე მხარის 2017 წლის 1 აგვისტოს დასრულებულ აუქციონზე მესამე პირის მიერ სამეურვეო ქონების შეძენა. შესაბამისად, ამ დროიდან ალარ არსებობდა მოწინააღმდეგე მხარე და კასატორის სამსახურში აღდგენა ველარ დაექვემდებარებოდა აღსრულებას. თუმცა, კასატორს საგულისხმოდ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მხოლოდ გადაწყვეტილების შესაძლო აღუსრულებლობაზე მითითებით სარჩელის სრულად უარყოფა უმართებულოა, გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელეს სამსახურში აღდგენის

გარდა წადგენილი ჰქონდა სხვა მოთხოვნებიც, რომელთა საფუძვლინობაზე სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად მე-7 რიგის კრედიტორად აღნიშნული კანონი კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობაში, აყენებს დაგვიანებით წარდგენილ კრედიტორთა მოთხოვნებს. შესაბამისად, კასატორი მიჩნეული იქნება ასეთ კრედიტორად, რომელსაც კანონი მე-7 რიგში ჩააყენებს და მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე მხარის აბონენტები ფულად ვალდებულებებს შესარულებენ, კასატორი გარკვეულ თანხას მიიღებს.

36. საკასაციო პალატას მიაჩინია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო შედავება (პრეტენზია).

37. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის შემდეგ მოთხოვნებზე, რომელთა საფუძვლიანობა შედავებულია საკასაციო საჩივრით: იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით 2016 წლის 1 თებერვლიდან ყოველთვიურად 1700 ლარის გადახდა და ხელფასის დაყოვნების ყოველი დღი-სათვის დაყოვნებული თანხის - 1700 ლარის 0.07%-ის გადახდა მოთხოვნით 2016 წლის 1 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე [საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სპკ-ის) მე-6 და 31.3 მუხლები; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 44-ე, 394 და 411-ე მუხლები]. აღსანიშნავია, რომ მოპასუხებ მოთხოვნის გამომრიცხველ შედავებაში უარყო მოსარჩელესთან უვადო შრომითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობა.

38. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ საკასაციო საჩივრით შედავებულ ნაწილში (იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და ხელფასის დაყოვნების ყოველი დღი-სათვის პირგასამტებლოს გადახდა), მოთხოვნის საფუძვლიანობისათვის უნდა შემოწმდეს მხარეთა შორის წარმოშობილი სამართალურთიერთობის ხანგრძლივობა, რამეთუ მოპასუხე სადაც ბრძანების საფუძვლად სწორედ შრომითი ხელშეკრულების ვადის ამონურვაზე მიუთითებს. იხ., ამ განჩინების პ-4, რომლითაც დადგენილია და საკასაციო საჩივრით შედავებული არ არის, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულს გაუგზავნა 2015 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1612 შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რომლის მიხედვით ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, დასაქმებულთან 2016 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილი იყო ხელშეკრულება.

39. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის არსი მოიცავს, როგორც თავისუფლები კონტრაპირების ისე, ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმების თავისუფლებას [სსკ-ის 319-ე და 327-ე მუხლები]. თუმცა, ნორმის დანაწესი იმპერატიული მნიშვნელობის არ არის და ხელშეკრულების მონაწილეთა ეს უფლება ექვემდებარება შეზღუდვას ლეგიტიმური მიზნისთვის [„legitimate purpose“]. სწორედ აღნიშნულს გულისხმობს სშკ-ის ახლად ამოქმედებული ნორმა, რომელიც ნორმით განსაზღვრული წინაპირობების დაცულობის შემთხვევაში, როგორიცაა ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობის ხანგრძლივობა [სსკ-ის მე-6 მუხლის 13 პუნქტი] ვადიან შრომით ურთიერთობას გარდაქმნის უვადო შრომითი ურთიერთობის ფორმატში.

40. აღნიშნულ საკითხზე მყარადაა დადგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მათგან ერთ-ერთ საქმეში (იხ., სუსგ №ას-913-853-2017, 29 სექტემბერი, 2017 წელი) საკასაციო პალატამ იმსჯელა სშკ-ის მე-6 მუხლის 13 ნაწილის მიხედვით დამსაქმებელთან დადებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულების უვადო შრომით ხელშეკრულებად მიჩნევის სამართლებრივ საკითხებზე და განმარტა, რომ შრომითი ურთიერთობის ამგვარი ტრანსფორმირებისათვის აუცილებელი იყო ორი პირობის კუმულატიურად არსებობა: ერთსა და იმავე დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობების არსებობა 5 წლით ან მეტი ვადით და ვადიანი ხელშეკრულების მოქმედება კოდექსში განხორციელებული ცვლილების ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში. მსგავს საქმებზე აგრეთვე იხ., სუსგ №ას-20-20-2018, 09 თებერვალი, 2018 წელი; სუსგ №ას-373-354-2015, 13 ნოემბერი, 2015 წელი.

41. საგულისხმოა ხელშეკრულების მონაწილეთა თავისუფლების კანონისმიერი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის თაობაზე საკასაციო პალატის მიერ სხვა გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტება, რომელიც დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით დადებულად იქნა მიჩნეული (იხ., სუსგ №ას-1083-1020-2015, 15 აპრილი, 2016 წელი): „...შრომითი ხელშეკრულების სტაბილურობა, კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლალი შრომის უფლების შემადგენელი ნაწილია (საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი)“. საკასაციო პალატის მითითებული განმარტებიდან და სშკ-ის მე-6 მუხლის 13 ნაწილის ნორმატიული დანაწესიდან გამომდინარე საკასაციო საჩივრის პრეტენზია მოსარჩევესთან არსებული შრომით-

სამართლებრივი ურთიერთობის ხანგრძლივობის საკითხთან მი-  
მართებით უარსაყოფია.

42. მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოე-  
ბები (ამ განჩინების პპ: 1-4) იძლევა იმისი დასკვნის საფუძველს,  
რომ მხარეთა შორის ვადიანი შრომითი ურთიერთობა საკანონ-  
მდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე – ანუ 04.07.2013 წლის 5 ნებული და დროის განმავლობაში გრძელდებოდა (სა-  
ქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონ-  
ში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შე-  
სახებ გამოქვეყნდა 04.07.2013-ს, რასაც უკავშირდება ცვლი-  
ლებების ამოქმედება), კერძოდ, 2011 წლის 7 თებერვლიდან.  
საბოლოოდ კი, მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა გაგ-  
რძელდა 2016 წლის 1 იანვრამდე (სადაც ბრძანება ხელშეკრუ-  
ლების შეწყვეტის შესახებ), ანუ გასულია სპე-ის მე-6 მუხლის  
13 ნაწილის ამოქმედების შემდეგ 2 ნებული მეტი, ხოლო თავის  
მხრივ, 2011 წლის 7 თებერვლიდან 2016 წლის 1 იანვრამდე დრო-  
ის მონაკვეთი აღემატება 30 თვეს, მხარეთა შორის არსებული  
შრომითი ურთიერთობა გარდაიქმნა უვადო შრომითსამარ-  
თლებრივ ურთიერთობად (მსგავს საქმეზე იხ., სუსგ №ას-20-  
20-2018, 9 თებერვალი, 2018 წელი).

43. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალა-  
ტას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთე-  
ბულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთე-  
ბელი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის  
„ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ნაწილობრივ გა-  
უქმდების აბსოლუტური და შესაბამისად, სარჩელის ნაწილობ-  
რივ დაემაყოფილების სამართლებრივი საფუძველია.

44. სსსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამარ-  
თლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ-  
სებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწ-  
ყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლო-  
ში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

45. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩ-  
ნეს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხე-  
ლახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან სა-  
ჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესა-  
ბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მი-  
იღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

46. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ  
დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულება ტრანსფორმირ-  
და რა განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად, სა-

დავონ ბრძანება შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით შეწყვეტის შესახებ ბათილია [სსკ-ის 52-ე მუხლი].

47. რაც შეეხება სადავო ბრძანების ბათილად ცნობის თანმდევ სამართლებრივ შედეგს ნიშანდობლივია, რომ კასატორის შემცირებული მოთხოვნის მიხედვით დღის წესრიგში არ დგას სამსახურში აღდგენის საკითხი, თუმცა, კელავ შედავებულია იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის მართლზომიერება.

48. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს უზენაესი სასამართლოს მიერ სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის გამოყენების საკითხზე (მდრ., სუსგ №ას-1083-1020-2015, 15 აპრილი, 2016 წელი). დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) (ცნობის შემთხვევაში, დასახელებულ ნორმაში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა, კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, შეუძლია მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენება. სშკ დამსაქმებელს ავალდებულებს „პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღალდინს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ას უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო თუკი აღნიშნული შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება (იხ. სუსგ №ას-951-901-2015, 29.01.2016; ; №ას-931-881-2015, 29.01.2015).

49. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩინია, რომ მოპასუხეორგანიზაციას უნდა დაეკისროს იძულებით გაცემილი დროის მანძილზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება სშკ-ის 32-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 44-ე მუხლის, აგრეთვე, სსკ-ის 408-ე და 411-ე მუხლების სამართლებრივი საფუძვლით (შდრ: სუსგ №ას-469-450-2016, 29.06.2016), 2016 წლის 1 თებერვლიდან ყოველთვიურად 1700 ლარის ოდენობით 2017 წლის 15 აგვისტომდე, ანუ იმ დრომდე, როდესაც 2017 წლის 1 აგვისტოს დასრულებულ აუქციონზე სამეურვეო ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) მესაკუთრეც გახდა შემძენი (იხ., ამ განჩინების 3-13).

50. ხოლო რაც შეეხება ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის პირგასამტებლოს დაკისრების საფუძვლიანობას,

აღნიშნულს საკასაციო პალატა არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, პირგასამტებლოს სახით იძულებითი განაცდური თანხის დაყოვნების ყოველი დღისთვის, ამ თანხის 0.07 პროცენტის გადახდის დაკისრებაზე მოსარჩელის მოთხოვნას სამართლებრივად ვარგისი საფუძველი არ გააჩნია, რადგან სშე-ის 31-ე მუხლის თანახმად, შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. ამ მუხლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ. დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსნორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. ხოლო თავისთავად პირგასამტებლოს მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს მხარეთა შორის არსებული ფულადი ვალდებულება წარმოადგენს ანუ გადახდის ვალდებულების არსებობა სახეზეა საბოლოო ანგარიშსნორების გადაუხდელობის დროს – ხელფასის, გამოუყენებელი შვებულების სახით, რაც შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გასაცემ თანხას წარმოადგენს. ნებისმიერ ანაზღაურებაში თუ ანგარიშსნორებაში, რომლის დაყოვნებასაც კანონი უკავშირებს დაყოვნებული დღისათვის გადახდის ვალდებულებას, არ შეიძლება მოვიაზროთ განაცდური, ვინაიდან განაცდური წარმოადგენს არა სახელშეკრულებო შეთანხმებას, არამედ დასაქმებულისათვის დამდგარი ზიანის ანაზღაურების სახეს (იხ. სუსგ 30/09/2013, №ას-285-271-2013).

51. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საავტორულო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2016 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად 1700 ლარი გადახდა (საშემოსავლოს ჩათვლით) 2017 წლის 15 აგვისტომდე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-

ლაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 06 ნოემბრის გადაწყვეტილება;

3. გ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი 2015 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №1612 შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და დაეკისროს სს „კ-ის“ გ. ბ-ის სასარგებლოდ 2016 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად 1700 ლარი გადახდა (საშემოსავლოს ჩათვლით) 2017 წლის 15 აგვისტომდე;
5. სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

## 5. შრომითი ხელშეკრულების შეცვალა

### შრომითი ხელშეკრულების შეცვალა რეორგანიზაციისას

#### სამუშაოზე აღდგენა

##### განხილვა საქართველოს სახელით

№ას-682-636-2017

15 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
პ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, ტოლფას თანამ-  
დებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება,  
პირგასამტებლოს დაკისრება

##### აღნერილობითი ნაწილი:

1. სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ (ადრინდელი სა-  
ხელნოდება – „დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგ-  
რამების ცენტრი“; შემდეგში: ცენტრი, დამსაქმებელი, მესამე  
აპელანტი, კასატორი) დირექტორის ბრძანების საფუძველზე,  
თ. ა-ე, (შემდეგში: პირველი დასაქმებული, პირველი მოსარჩე-  
ლე, პირველი აპელანტი) და ა. ს-ი (შემდეგში: მეორე დასაქმე-  
ბული, მეორე მოსარჩელე, მეორე აპელანტი) პროექტების მე-  
ნეჯერის თანამდებობებზე 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 2014  
წლის 10 იანვრამდე მუშაობდნენ. თითოეული მათგანის თანამ-  
დებობრივი სარგო თვეში 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარს შე-  
ადგენდა.

2. ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა  
2014 წლის 10 იანვარს გამოსცა ბრძანება, რომლითაც განისაზ-  
ღვრა ცენტრის 2014 წლის ბიუჯეტი, საშტატო განრიგი, სახელ-  
ფასო ფონდი, თანამშრომლების მატერიალური წახალისების-  
თვის გამოსაყოფი სახსრები და ა.შ. ახალი განრიგით საშტატო  
ერთეულების რაოდენობა და სახელფასო ფონდი არ შემცირე-  
ბულა, პირიქით, გაიზარდა: 2013 წლის საშტატო განრიგით ცენ-  
ტრში საშტატო ერთეულის რაოდენობა იყო 28 და გახდა – 75,

ხოლო თვის სახელფასო ფონდი შეადგენდა 23,235 ლარს და გახ-  
და – 74,320 ლარი (იხ. საშტატო განრიგი);

3. იმავე დღეს (14.01.2014), ცენტრის დირექტორის მოვა-  
ლეობის შემსრულებელმა გამოსცა ბრძანება №2/ს, რომლითაც  
ცენტრის სტრუქტურული რეორგანიზაცია გადაწყდა. ბრძანე-  
ბა გააცნეს ცენტრის თანამშრომლებს, მათ შორის – მოსარჩე-  
ლებსაც;

3.1. განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, პროექ-  
ტების მენეჯერთა თანამდებობები გაუქმდა და მათ ნაცვლად  
შეიქმნა ახალი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამ-  
მართველო და მედიაციის სამმართველო (იხ. ცენტრის 2014  
წლის საშტატო განრიგი);

4. რეორგანიზაციის გამოცხადების დღესვე ამ განჩინების  
პირველ პუნქტში დასახელებულმა ყოფილმა დასაქმებულებმა  
ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს განცხა-  
დებით მიმართეს, კერძოდ: პირველმა მოსარჩელემ არასრულ-  
წლოვანთა მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსის მო-  
ვალეობის შემსრულებლად ითხოვა დანიშვნა, ხოლო მეორე მო-  
სარჩელემ – მედიაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის  
შემსრულებლად (იხ. განცხადება);

5. ცენტრმა არ დააკმაყოფილა ყოფილ დასაქმებულთა თხოვ-  
ნა და იმავე დღეს გამოსცა ბრძანება №3/კ, რომლითაც ისინი  
2014 წლის 11 იანვრიდან გათავისუფლდნენ დაკავებული თა-  
ნამდებობიდან.

5.1. ბრძანებაში დასაქმებულთა გათავისუფლების საფუძ-  
ვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სპკ)  
37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (ეკონომიკური  
გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებე-  
ბი, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას);

5.2. სპკ-ის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოფილ  
დასაქმებულებს მიეცათ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას-  
თან დაკავშირებული კომპენსაცია – თითოეულს 2-2 თვის შრო-  
მის ანაზღაურების ოდენობით (იხ. ბრძანება);

6. დამსაქმებელი ორგანიზაციის დირექტორის 2014 წლის 28  
მარტის ბრძანებით ცენტრში კვლავ განხორციელდა რეორგა-  
ნიზაცია და კორექტირებული საშტატო განრიგი დამტკიცდა.  
რეორგანიზაციის შემდეგ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულე-  
ბისა და მედიაციის სამმართველოები გაერთიანდა და განრიდე-  
ბისა და მედიაციის სამმართველო ეწოდა;

6.1. საშტატო ერთეულების რაოდენობა და სახელფასო ფონ-  
დი კვლავ უცვლელი დარჩა;

6.2. 2014 წლის 14 აპრილს, წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული სამმართველოს უფროსის თანამდებობის დასაკავებლად ცენტრმა კონკურსი გამოაცხადა. 16 მაისს კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა (იხ. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი).

7. 2014 წლის 28 მარტს განხორციელებული რეორგანიზაციის (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი) შემდეგ, დასაქმებულთა გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობების (პროგრამების მენეჯერების) ტოლფას თანამდებობებს წარმოადგენდა მედიაციის პროგრამების მენეჯერისა და მედიაციის სახლის მენეჯერის თანამდებობები, რომლებიც საშტატო ერთეულის სახით განრიდებისა და მედიაციის სამმართველოში შედიოდნენ (იხ. ამონანერი საჯარო სამსახურის ბიუროდან).

### **8. სარჩელის საფუძვლები**

8.1. 2014 წლის 17 თებერვალს ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებულმა დასაქმებულებმა სარჩელი აღძრეს დამსაქმებლის წინააღმდეგ და მოითხოვეს: წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტში მითითებული ბრძანების ბათილად ცნობა; პირველი მოსარჩელის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსის, ხოლო მეორე მოსარჩელის – მედიაციის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე აღდგენა; მოპასუხისთვის მოსარჩელების სასარგებლოდ, სამსახურიდან გათავისუფლებიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება, თითოეულისათვის ყოველთვიური ხელფასის – 1500 (ათას ხუთასი) ლარის გათვალისწინებით; მოპასუხისათვის მოსარჩელების სასარგებლოდ სამსახურიდან გათავისუფლებიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდში ყოველი თვის იძულებითი განაცდურის – 1500 ლარის დაყოვნების ყოველი დღისთვის, დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტის გადახდის დაკისრება;

8.2. მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დაკისრებულ შრომით მოვალეობებს. მათი საქმიანობა დამსაქმებელმა დადებითად შეაფასა, დასაქმებულები დააჯილდოვა მადლობის სიგელით, გამოუცხადა მადლობა და ა.შ. მათი განმარტებით, უსამართლობის განცდა ჰქონდათ იმ დროიდან, როცა იუსტიციის მინისტრმა 2013 წლის 25 ნოემბერს თანამდებობიდან გაათავისუფლა ცენტრის დირექტორი დ. მ-ქ. აღნიშნული ფაქტის შესახებ მოსარჩელეებმა წინმსწრებად შეიტყვეს 21 ნოემბერს და იმავე საღამოს, სოციალური ქსელის საშუალებით, გამოხატეს პროტესტი. აღნიშნული ქმედება

დამსაქმებლის მიერ შეფასდა, როგორც სისტემის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. ამის შემდეგ, მოსარჩევები თითქმის თვენახევრის განმავლობაში დადიოდნენ სამსახურში, მაგრამ ფაქტობრივად არ ეძლეოდათ დაკასრებული მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა. ხელმძღვანელობა მოსარჩევეთა ნაცვლად მათ ასისტენტებთან ურთიერთობდა, ახალ თანამდებობებზეც მოვალეობის შემსრულებლებად ასისტენტები დაინიშნენ. მოსარჩელეთა აზრით, მათი გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველს, მართალია, რეორგანიზაცია წარმოადგენდა, მაგრამ ამ გზით გათავისუფლების რეალური მიზეზი – დისკრიმინაცია შეინიშნა.

8.3. წინამდებარე განჩინების მე-6 მუხლში ასახული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, მოსარჩელეებმა მოსამზადებელ სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნა დააზუსტეს. მათ განმარტეს, რომ ვინაიდნა სარჩელის შეტანის შემდეგ მოპასუხებ შეცვალა სამსახურებრივი თანამდებობების დასახელება, იმსანად პირველი მოსარჩელის გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობას განრიდებისა და მედიაციის პროგრამების მენეჯერის თანამდებობა წარმოადგენდა, ხოლო მეორე მოსარჩელის – მედიაციის სახლის მენეჯერის თანამდებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეებმა დასახელებულ პოზიციებზე აღდგენა მოითხოვეს.

### 9. მოპასუხის შესაგებელი

9. 1. მოპასუხებ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და, უსაფუძვლობის გამო, მის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

9.1.1. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელეთა გათავისუფლების გადაწყვეტილება ორგანიზაციის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. თავდაპირველად, ცენტრის დირექტორი აქტიურად თანამშრომლობდა ყველა თანამშრომელთან, მათ შორის – მოსარჩელეებთან; შემდგომში კი გამოიკვეთა, რომ იმ ორი მიმართულების განსავითარებლად, რომელთა ხელმძღვანელებასაც მოსარჩელეები წარმოადგენდნენ, ამ უკანასკნელებს არ ჰქონდათ საკმარისი თემატური ცოდნა და მენეჯერული უნარები. ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, შანსი მიეცათ მათ ასისტენტებს, რომლებმაც ყოველმხრივ დადებითად წარმოაჩინეს თავი და სრულიად დამსახურებულად დაიკავეს სათანადო ადგილები;

9.1.2. პირველი მოსარჩელე არ იყო განრიდების მიმართულების ეფექტური ხელმძღვანელი, რადგან იმ ახალგაზრდების მიმართ, ვისაც დევიაციური ქცევის გამოვლენა აღენიშნებოდა,

მას სრული მიუღებლობა ჰქონდა, პროგრამის სამიზნე ჯგუფის დიდი ნაწილი კი სწორედ ასეთი ქცევით ხასიათდება; არასრულ-ნლოვანთა განრიდების პროგრამის ხელმძღვანელად ყოფნის 3 წლის განმავლობაში იგი ერთხელაც არ ყოფილა არასრულწლოვანთა კოლონიაში.

## 10. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

10.1. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეთა 2014 წლის 29 ივნისის შუამდგომლობა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შესახებ (იხ. ამ განჩინების 8.3. ქვეპუნქტი) მოსამზადებელ სხდომაზე განიხილა და დაკმაყოფილა 2014 წლის 13 ნოემბრის საოქმო განჩინებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით, დასაქმებულების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

10.1.1. ბათილად იქნა ცნობილი ცენტრის 2014 წლის 10 იანვრის №3/კ ბრძანება მოსარჩელების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ;

10.1.2. მოპასუხეს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის სახით მიყენებული ზიანის – თითოეულის სასარგებლოდ, 6500 (ექვსი ათას ხუთასი) ლარის გადახდა.

10.1.3. დანარჩენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელებს უარი ეთქვათ.

10.2. საქალაქო სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიკვლია და დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებანი და დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სშე-ის მე-6, 37-ე, 31-ე, 32-ე და 44-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (მემდეგში: სსკ) 54-ე, 408.1-ე, და 411-ე მუხლები, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ) მე-4, 102-ე და 105-ე მუხლები.

10.3. სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელებმა ძირითადად დაასაბუთეს თავიანთი სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობა, ხოლო მოპასუხებმ მხოლოდ ნაწილობრივ დაამტკიცა საკუთარი პოზიციის საფუძვლიანობა, რამაც სარჩელს ნაწილობრივ დაკმაყოფილება განაპირობა, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა:

10.3.1. სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, და-

ასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები;

10.3.2. სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მათ გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მითითებულ ნორმათა შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავიანთ სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებენ აღნიშნულ გარემოებებს. სსკ ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს: მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს აფუძნებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი;

10.3.3. სადავო ბრძანებაში მოსარჩელეებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველს სსკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი წარმოადგენდა (ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას). განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა რამდენიმე გარემოება, კერძოდ: ჩატარდა თუ არა ცენტრში რეორგანიზაცია, შემცირდა თუ არა სამუშაო ძალა, რა აუცილებლობით იქნა გამოწვეული სამუშაო ძალის შემცირება და კონკრეტულად რამ განაპირობა თითოეული მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება. უდავოა, რომ 2014 წლის იანვრის თვეში ცენტრში რეორგანიზაცია განხორციელდა, რასაც არ მოჰყოლია სამუშაო ძალის შემცირება. გარდა ახსნა-განმარტებისა და ისიც არასაკმარისი სიცხადით, მითითებული გარემოებების სანინაალმდეგო სათანადო მტკიცებულება მოპასუხეს არ წარუდგენია სასამართლოსათვის, რაც მას დაარწმუნებდა რეორგანიზაციის შედეგად სამუშაო ძალის რიცხოვნობის შემცირების აუცილებლობაში. სასამართლოს დასკვნით, მოპასუხებ სსკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისი გარემოებების არსებობა ვერ დაასაბუთა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სადავო ბრძანება უკანონო იყო;

10.3.4. სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. ვინაიდან დადგინდა გასაჩივრებული ბრძანებების არაკანონიერება, შესაბამისად, ბათილად უნდა იქნას ცნობილი სადაც ბრძანებები მოსარჩელეებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე.

10.4. სსკ-ის 44-ე მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობისას მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურდება. სსკ-ის 408.1-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სასამართლოს შეფასებით, ვინიდან მოცემულ შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელი იყო ცენტრში განხორციელებული რეორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, მას უნდა ემსჯელა სსკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტის დანაწესზე, რომლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცხობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპեნსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, ჩატარებული რეორგანიზაციის გამო პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელი იყო, რადგან ვაკანტური თანამდებობები, რომელთა დაკავების შესაძლებლობა ჰქონდათ მოსარჩელეებს, გაუქმდა 2014 წლის მარტის თვეში განხორციელებული რეორგანიზაციით, თუმცა, ამ თანამდებობებს მოსარჩელეები არც ითხოვენ (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება) მაშასადამე, ახალი რეორგანიზაციის შედეგები ვერ უზრუნველყოფდნენ მოსარჩელეთა მოთხოვნას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ან ტოლფას თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ.

10.4.1. სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა აანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შეს-

რულებულიყო. დადგინდა, რომ შრომითი ურთიერთობის არაკანონიერი შეწყვეტით, დამსაქმებელმა მოუსპო შესაძლებლობა დასაქმებულებს, შეესრულებინათ სამუშაო და მიეღოთ შესაბამისი შრომითი ანაზღაურება, რაც დამსაქმებლისთვის სშკის 32.1-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების წინაპირობას წარმოადგენს. ამ ნორმის თანახმად, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს, დასაქმებულს მიეცემა შრომის ანაზღაურება სრული ოდენობით. მოცდენად უნდა ჩაითვალოს იმგვარი ვითარებაც, როდესაც შრომის ხელშეკრულების არამართლზომიერად შეწყვეტის შედეგად, დასაქმებულს სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა ესპობა, ვინაიდან, ამავე დროს, არსებობს დასაქმებულის ნება, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და მიღლოს შესაბამისი ანაზღაურება;

10.4.2. მიუღებელი შემოსავლის პერიოდის განსაზღვრის მიზნით სასამართლო წინამდებარე განჩინების 3.1 ქვეპუნქტსა და მე-6 პუნქტში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს დაეყრდნოდა განმარტა: 2014 წლის 10 იანვარს გამოცხადებული რეორგანიზაციის ფარგლებში მოპასუხეს ჰქონდა შესაძლებლობა, მოსარჩელეები დაესაქმებინა ადრინდელი თანამდებობების ტოლფას თანამდებობაზე, მაგრამ 28 მარტის კორექტიორებული რეორგანიზაციის ფარგლებში მას ასეთი შესაძლებლობა აღარ გააჩნდა. სასამართლომ დასკვნა, რომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა გაგრძელდებოდა მარტის რეორგანიზაციის საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის დასრულებამდე. კონკურსის შემდეგ კი დასაქმებულებს მუშაობის შესაძლებლობა მოესპობოდათ, რადგან მარტის რეორგანიზაცია ტოლფას თანამდებობებს აღარ მოიაზრებდა. ე.ი. სადაცო ბრძანებებით, მოსარჩელეთა შრომითი უფლებები შელახული იყო სწორედ დროის აღნიშნულ მონაკვეთში და ვინაიდან მოსარჩელებს იძულებითი მოცდენით ზიანი მიადგათ 2014 წლის 11 იანვრიდან იმავე წლის 16 მაისამდე (კონკურსის შედეგის გამოცხადებამდე), მისი ანაზღაურებაც უნდა მომხდარიყო აღნიშნული პერიოდისათვის და მენეჯერის ყოველთვიური ხელფასის – 1500 ლარის – ოდენობის გათვალისწინებით, თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ, 6500 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენდა ერთგვარ კომპენსაციას შრომითი ურთიერთობის არამართლზომიერი შეწყვეტით შრომითი უფლებების შელახვისთვის.

10.5. სშკის 31.3-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის, გადაუხადოს დასაქმებულს და-

ყოვნებული თანხის 0,07 პროცენტი. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, დამსაქმებლის მიერ შეიძლება დაყოვნდეს ის ანაზღაურება თუ ანგარიშსწორება, რომელიც დასაქმებული-სათვის გარკვეულ დროს უნდა გადახდილიყო, მაგრამ ეს ვალ-დებულება არ შესრულდა. სასამართლოს განმარტებით, მოხ-მობილი ნორმა ეხება მისაღები შრომის ანაზღაურების, ანგა-რიშსწორების და ა.შ. გადახდის დაყოვნებას, რაც განსახილველ შემთხვევაში არ გამოვლენილა. მოსარჩევები ითხოვდნენ იძუ-ლებითი მოცდენით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების (და არა ხელფასის ან საბოლოო ანგარიშსწორების) დაყოვნებისთვის მო-პასუხე ცენტრისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას, რაც არ გამომდინარეობს მოქმედი შრომის კანონმდებლობიდან, აღ-ნიშნული კი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო;

10.6. წინამდებარე განჩინების 10.2-10.4 ქვეპუნქტებში მო-ცემული ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობის საფუძველ-ზე საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო დასაქმებულების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, რამაც ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ, გათავისუფლებიდან გადაწყვე-ტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დამსაქმებლისათვის ყოველთვიური ხელფასის დაკისრება განაპირობა, ხოლო მოპა-სუხისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებაზე მოსარჩელეებს უა-რი ეთქვათ (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება).

#### 11. მოსარჩელეებისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

11.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მოსარჩელეებმა, ასევე – მოპასუ-ხემ.

11.2. დასაქმებულთა (პირველი და მეორე აპელანტების) მოთხოვნას წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის უარყოფილ ნაწილში და, სააპელაციო სასა-მართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნო-ბით:

11.2.1. მცდარია სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხის მხრიდან დასაქმებულებისადმი არ ყოფილა რამე ნიშნით დის-კრიმინაცია. საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნო-ბით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელეების მიმართ გამოვლინ-და დისკრიმინაცია პოლიტიკური ნიშნით, კერძოდ, მინისტრს თანამშრომლებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს ამობეჭდილი ჰქინდა მათ მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული „პოსტე-ბი“ და დეტალურად განიხილავდა აღნიშნულ „პოსტებზე“ სხვე-ბის მიერ გაკეთებულ კომენტარებს. შეხვედრაზე მინისტრმა

აპელანტებზე (დასაქმებულებზე) ისაუბრა ნეგატიური ეპითე-ტების გამოყენებით;

11.2.2. გათავისუფლების ბრძანებების ბათილად ცნობა სა-მართლებრივად ნიშნავს, რომ იგი ბათილია მისი დადების მო-მენტიდან და ყველა თანმდევი შედეგი, რომელიც ეფუძნება აღ-ნიშნულ გარიგებას, ექვემდებარება გაუქმებას. მოცემულ შემ-თხევაში სასამართლომ ბათილად ცნო გათავისუფლების ბრძა-ნების, თუმცა, პირვანდელი მდგომარეობის ადღგენის ნაწილ-ში არ დაკმაყოფილა სარჩელი. სასამართლომ არ შეაფასა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ცენტრში განხორციელებული ორივე რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ, არსებობდა და დღესაც არსებობს იმ თანამდებობის არა მხოლოდ სახელწო-დებით, არამედ – სამუშაოს აღნერილობით ტოლფასი თანამ-დებობები, რომლებზედაც მოსარჩელეები გათავისუფლებამ-დე მუშაობდნენ; საბოლოო რეორგანიზაციის შემდეგ, არასრულ-წლოვანთა მართლმსაჯულების სამმართველო და მედიაციის სამმართველო გაერთიანდა, გახდა ერთი სამმართველო და ენო-და განრიდებისა და მედიაციის სამმართველო. ამ უკანასკნე-ლის შემადგენლობაში დარჩა განრიდებისა და მედიაციის პროგ-რამის მენეჯერის თანამდებობა, ასევე მედიაციის სახლის მე-ნეჯერის თანამდებობა, რომელიც მოსარჩელეთათვის ყოფი-ლი სამუშაო ადგილის ტოლფას საშტატიო ერთეულებს წარმო-ადგენენ. დასაქმებულები დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვ-ნის ფარგლებში სწორედ ამ თანამდებობებზე აღდგენას ითხოვ-დნენ, სასამართლომ კი უსაფუძვლოდ დასკვნა, რომ მათ ასე-თი მოთხოვნა არ ჰქონიათ;

11.2.3. სასამართლომ არ შეაფასა ყოფილ დასაქმებულთა სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში მოპასუ-ხისათვის კომპენსაციის დაკისრების საკითხი. თუკი სასამარ-თლო მსჯელობდ იმაზე, რომ ობიექტური გარემოებებიდან გა-მომდინარე, შეუძლებელი იყო დასაქმებულთა აღდგენა სამუ-შაო ადგილებზე, მაშინ მას უნდა ემსჯელა კომპენსაციის გაცე-მაზე, რომელიც სშე-ის 38-ე მუხლის მე-8 ნანილიდან გამომდი-ნარეობს. ამ ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, კომპენსაცია არ წარმოადგენს განაცდურს, არამედ ამით კანონმდებელი ცდი-ლობს, რომ ერთგვარად დაიცვას იმ დასაქმებულების უფლებე-ბი, რომელთა სამსახურში აღდგენაც ობიექტურად შეუძლებე-ლი, ან გაუმართლებელია;

11.2.4. აპელანტების განმარტებით, ასევე არასწორია სასა-მართლოს მსჯელობა პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე. სშე-ის 31-ე მუხლის მესამე ნანილის მიხედვით, ანაზღაურებას

ექვემდებარება ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების შემთხვევა. თავისი შინაარსით პირგასამტებლო ვალდებულების უზრუნველყოფის ვალდებულებითსამართლებრივ ღონისძიებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საკუთხით დასაშვებია, რომ განაცდურს, როგორც ზიანს, დაემატოს 0.07%, რადგან ის დამსაქმებლის უკანონო მოქმედების გამო მიუღებელ თანხას წარმოადგენს და ამ თანხას დასაქმებულები მიიღებდნენ, რომ არა უკანონო გათავისუფლება;

11.2.5. დასაქმებულებმა საპატიო საჩივარში ისიც მიუთითეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საპატიო სასამართლო მიიჩნევდა, რომ მოსარჩელებს არასწორად ეთქვათ უარი სამსახურში აღდგენაზე, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა ზიანის (განაცდურის) გადახდა სრული პერიოდისთვის – გათავისუფლების დღიდან აღდგენამდე, და არა – 2014 წლის 11 იანვრიდან იმავე წლის 16 მაისამდე, როგორც ეს საქალაქო სასამართლომ დაადგინა.

11.3. დამსაქმებელმა (მესამე აპელანტმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა და დასაქმებულთა სარჩელის მთლიანად უარყოფა შემდეგ სააპელაციო პრეტენზიებზე მითითებით:

11.3.1. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მხოლოდ ის არგუმენტია მითითებული, რომ ცენტრში განხორციელდა რეორგანიზაცია, რომელსაც არ მოჰყოლია შტატების შემცირება. სასამართლო გასცდა მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებს, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა დამყარებული იყო მხოლოდ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე და სწორედ ამ გარემოებებს თვლილნენ მოსარჩელები მათი გათავისუფლების საფუძვლად. ამ შემთხვევაში მოპასუხე არ იყო ვალდებული, განემარტა ის საკითხები, რასაც მოსარჩელები სადავოდ არ ხდიდნენ, ანუ შტატების შემცირების არარსებობა. ამდენად, სასამართლომ თავისი ინიციატივით, ისე, რომ მოსარჩელებს არ მოუთხოვიათ, შეაფასა ფაქტი, რომლის საწინააღმდეგო არგუმენტაციის წარდგენა მოპასუხეს ობიექტურად არ ევალებოდა. აღნიშნული გარემოება სასამართლომ მოპასუხის დაუსაჭუთებელ პოზიციად მიიჩნია;

11.3.2. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ პროექტების მენეჯერის პოზიციები, რომლებსაც მოსარჩელები იკავებდნენ იანვარში განხორციელებულ რეორგანიზაციის დებულების და განსხვავდებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და მედიაციის სამმართველოების უფროსების პოზიციისგან.

კერძოდ: მოსარჩელეები, როგორც პროექტების მენეჯერები, ჩართული იყვნენ მხოლოდ ერთი პროგრამის – განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განხორციელებაში; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართველოს უფროსის მოვალეობაში კი შედის ბევრად უფრო მეტი ფუნქცია, ვიდრე მხოლოდ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის კოორდინირებაა, მაგ: რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნებისთვის შესაბამისი სერვისების შემუშავება და მიწოდება და სხვ. იგივე მდგომარეობაა მეორე მოსარჩელის ადრინდელ თანამდებობასთან მიმართებითაც: ახალი სამსახურის – შედიაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობებში შედიოდა არა მხოლოდ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მედიაციის კომპონენტის კურირება, არამედ ზოგადად, ქვეყანაში მედიაციის, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი მთავარი შემადგენლის და დავების ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალების განვითარება. ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ადასტურებს, რომ არსებობდა მოსარჩელეთა გათავისუფლების ობიექტური საფუძლები და დამსაქმებელმა კანონიერად შეწყვიტა მათთან შრომითი ხელშეკრულება.

## 12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და დასკვნები

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით, ცენტრის (მოპასუხის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნანილობრივ.

12.1.1. პირველი მოსარჩელის მოთხოვნა ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და გათავისუფლებიდან აღდგენამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა: პირველი მოსარჩელე აღდგენილ იქნა ტოლფას – განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერის თანამდებობაზე; მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წლის 11 მარტიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიური ხელფასის – 1500 ლარის გათვალისწინებით; არ დაკმაყოფილდა სარჩელი გათავისუფლებიდან აღდგენამდე პერიოდში თითოეული თვის იძულებითი განაცდურის – 1500 ლარის დაყოვნების ყოველი დღისთვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრების ნაწილში;

12.1.2. მეორე მოსარჩელის მოთხოვნა ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და გათავისუფლებიდან აღდგენამდე პერიო-

დის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა: მეორე მოსარჩევე აღდგენილ იქნა ტოლფას – მედიაციის სახლის მენეჯერის თანამდებობაზე; მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისრა 2014 წლის 11 მარტიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიური ხელფასის – 1500 ლარის გათვალისწინებით; სარჩელი გათავისუფლებიდან აღდგენამდე პერიოდში თითოეული თვის იძულებითი განაცდურის – 1500 ლარის დაყოვნების ყოველი დღისთვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

12.2. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ბრძანების საფუძვლად მითითებული ფაქტების დასადასტურებლად მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია სათანადო (სარწმუნო) მტკიცებულებები იმ პირობებში, როდესაც ამ ტიპის დაქებში სადავო ბრძანების კანონიერების მტკიცების ტვირთი სწორედ დამსაქმებელს ეკისრება. სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოები, რომლებიც აღნერილია წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში და დამატებით განმარტა:

12.2.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმისათვის მნიშველოვანი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 2014 წლის 10 იანვარს გამოცხადებულ რეორგანიზაციის არ მოჰყოლია შტატების შემცირება და სამუშაო ძალის შემცირება. მეტიც, დგინდებოდა, რომ რეორგანიზაციის შემდეგ არათუ შემცირდა საშტატო ერთეულების რიცხოვნება, არამედ – გაიზარდა. აღნიშნული საკითხის შესწავლა სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩინა იმდენად, რამდენადაც სადავო ბრძანებების კანონიერების შემოწმება მხოლოდ იმ კონტექსტის გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო, რასაც სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი ითვალისწინებს (ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას). აღნიშნულზე ყურადღების გამახვილება გამოწვეული იყო იმ ვითარებით, რომ სადავო ბრძანების თანახმად, გათავისუფლება განხორციელდა არა სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის (დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან), რაზეც მოპასუხე ძირითადად უთითებდა სარჩელის პასუხად წარდგენილ შესაგებელში, არამედ დასახელებული ნორმის ამავე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა,

რომ სშე-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მითითების შემთხვევაშიც კი, მოპასუხეს, გარდა ზეპირი ახსნა-განარტებასა, სხვა რაიმე მტკიცებულება, რაც დამაჯერებლად დაადასტურებდა მოსარჩელეთა არაკვალიფიციურობას და პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობას დაკავებულ თანამ-დებობასთან, არ ნარციფენია; პირიქით, საქმეში წარდგენილი იყო მტკიცებულება, რომლითაც დასტურდებოდა, რომ 2013 წელს პროგრამის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მოსარჩელეები დაჯილდოვდნენ. მითითებული მსჯელობისა და იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც საქალაქო სასამართლომ სამართლნარმოების პროცესში გამოიკვლია, სააპელაციო სასამართლომ დასკვნა, რომ დამსაქმებელი არ იყო უფლებამოსილი, სშე-ის 37-ე მუხლი პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გაეთავისუფლებინა მოსარჩელეები დაკავებული თანამდებობებიდან, ვინაიდან ცენტრში შტატები არ შემცირებულა. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 115-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა: „უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად აუცილებელია, მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა შესწავლა. სამუშაოდან გათავისუფლების ან დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის მიმართ ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ ბრძანებაში მითითებული საფუძვლების კვლევის შედეგად. ამდენად, როდესაც დამსაქმებელი რეორგანიზაციის გადაწყვეტილებას იღებს, უნდა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული ნაბიჯი შეესაბამება ორგანიზაციის ინტერესებს, და ამავე დროს, გაუმართლებლად არ ხელყოფს დასაქმებულთა კანონიერ უფლებებს. დამსაქმებლის გადაწყვეტილება მოითხოვს დასაბუთებას, გარკვეულ გათვლებს, რეორგანიზაციამდე არსებული სტრუქტურისა და მომავალი სტრუქტურის შედარებას, რეორგანიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრას. თუ არ დადასტურდა გათავისუფლების კანონიერი საფუძვლების არსებობა, სასამართლოს ექმნება ვარაუდი იმისა, რომ დამსაქმებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა მხოლოდ უფლების ბოროტად გამოყენებას“ (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

12.3. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბრძანების ბათილად ცნობის თანმდევ სამართლებრივ შედეგთან მიმარ-

თებით პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სშე-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტი, რადგან სასამართლომ არ დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანი იყო დავის გადასაწყვეტად და, შესაბამისად, ამ ნაწილში არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია საქმისთვის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტშია მითითებული. აღნიშნული გარემოება შეეხებოდა მოპასუხე ორგანიზაციაში იმ თანამდებობების ტოლფასი თანამდებობების გამოკვლევას, რომელზეც მოსარჩელები გათავისუფლებამდე მუშაობდნენ. სასამართლომ განმარტა: სშე-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, „დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო აღვილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღადგენის ვალდებულება, ხოლო თუკი აღნიშნული შეუძლებელია, მაშინ – მომდევნო რიგითობით დადგენილია სხვა ვალდებულებების შესრულება. განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ, მართალია, სწორად შეაფასა ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა მიერ დაკავებული თანამდებობები, პირვანდელი სახითა და სახელწოდებით, აღარ არსებობდა 2014 წლის 10 იანვრისა და 28 მარტის რეორგანიზაციების შემდეგ, თუმცა, სასამართლომ არასაკმარისად იმსჯელა და დაუსაბუთებლად გამორიცხა ტოლფას თანამდებობებზე მოსარჩელეთა აღდგენის შესაძლებლობა. მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი თანამდებობების თავდაპირველ (პროექტების მენეჯერის) თანამდებობებთან ტოლფასობის დასტურად მოსარჩელეების მიერ საქმეში წარდგენილი იყო ამონანერი საჯარო სამსახურის ბიუროდან, რომლის მიხედვით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამების კოორდინატორის სამუშაოს აღნერაში მითითებულია ის ფუნქციები, რომლის განხორციელებაც ეგალებოდა ამ თანამდებობაზე მომუშავე პირს, კერძოდ: არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯმენტი, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედია-

ციის პროგრამაში მონაწილე პროფესიონალების (პროკურორები, სოციალური მუშაკები/ პრობაციის ოფიცირების და მედიატორების) კოორდინირება, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე პროფესიონალებისთვის (პროკურორები, სოციალური მუშაკები/ პრობაციის ოფიცირების და მედიატორების) სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების უზრუნველყოფა, სხვა სასჯელის, ალტერნატიული პროგრამების საჭიროებების და შესაძლებლობების განხილვა და დანერგვაში ხელშეწყობა. მედიაციის კოორდინატორის სამუშაო ფუნქციებში კი მოაზრებდა: არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის ზედამხედველობა, მედიატორთა სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზება, მედიაციასთან დაკავშირებული პროექტების შემუშავება და განხორციელება, მედიაციის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მედიაციის ცენტრის მენეჯმენტი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში პროექტების შემუშავება და განხორციელება. მაშასადამე, მიმართულებები (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და მედიაცია), რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მოსარჩელეები პროექტების მენეჯერის პოზიციაზე ყოფნის დროს, არ გაუქმებული განხორციელებული რეორგანიზაციების შემდეგაც. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და მედიაციის კუთხით იმავე ფუნქციებს ერთობლიობაში მოიაზრებდა 2014 წლის 28 მარტის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი განრიდებისა და მედიაციის სამსართველო, რომლის შიგნითაც შექმნილია განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერისა და მედიაციის სახლის მენეჯერის შტატები.

12.4. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, იმის გათვალისწინებით, რომ რაიმე საპირისპირო პოზიცია მოსარჩელეთა მიერ დაზუსტებული სარჩელით მოთხოვნილი თანამდებობების არატოლფასოვნების შესახებ მოპასუხეს არ შეუთავაზებია სასამართლოსათვის, ცხადი გახდა, რომ მოსარჩელეთა გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობების ტოლფას თანამდებობებს იმ დროისთვის წარმოადგენდა განრიდებისა და მედიაციის სამსართველოში არსებული საშტატო ერთეულები: განრიდებისა და მედიაციის პროგრამების მენეჯერის და მედიაციის სახლის მენეჯერის თანამდებობები. დასაბუთებული მტკიცება იმისა, რომ აღნიშნული თანამდებობები არ წარმოადგენენ თავდაპირველი თანამდებობების ტოლფასს, მოპასუხეს (დამსაქმებელს) სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

12.5. სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომ დასაქმებულები 28 მარტის რეორგანიზაციის ფარგლებში შექმნილ ტოლფას თანამდებობზე აღდგენას არ ითხოვდნენ. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც დასაქმებულებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში, მოპასუხებ კიდევ ერთი რეორგანიზაცია განხორციელა. აღნიშნული გარემოება მოსარჩელებს, სსსკ-ის 83-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, აძლევდა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების უფლებას. მოსარჩელებმა გამოიყენეს აღნიშნული საპროცესო უფლება, დაზუსტეს სასამართლო მოთხოვნა და საპოლონდ, 2014 წლის 13 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე ცენტრში ტოლფას თანამდებობებზე აღდგენა მოითხოვეს. შესაბამისად, არ იყო სწორი საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ დასაქმებულებს 28 მარტის რეორგანიზაციის ფარგლებში შექმნილ ტოლფას თანამდებობზე აღდგენა არ მიუთხოვიათ. დადგენილია, რომ მოსარჩელებმა დაზუსტებული სარჩელით მოითხოვეს მედიაციის და განრიდების სამმართველოში შემავალ საშტატო ერთეულებზე – მედიაციის და განრიდების მენეჯერის და მედიაციის სახლის მენეჯერის თანამდებობაზე აღდგენა (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი).

12.6. სასამართლომ განსახილველ დავაზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა მოწმეთა განმარტებებზე, რომ ცენტრის რეორგანიზაცია ჯერ კიდევ ცენტრის ყოფილი დირექტორის დროს იყო დაგეგმილი და რომ სამმართველოების ჩამოყალიბების შემდეგ პროექტების მენეჯერები უნდა გადასულიყვნენ სამმართველოს უფროსების თანამდებობაზე (იხ. 2015 წლის 17 მარტის და 26 ივნისის და სხდომის საოქმო ჩანანერი); ხოლო მოწმე 6. ს-მ გარკვევით და სარწმუნოდ მიუთითა, რომ ცენტრში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად, მოსარჩელების გარდა სხვა არავინ გათავისუფლებულა.

12.6.1. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან დადგენილი იყო, რომ მოსარჩელეთა გათავისუფლება განხორციელდა არაკანონიერად, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი თანამდებობების ტოლფას თანამდებობებს წარმოადგენდა მედიაციისა და განრიდების მენეჯერის, აგრეთვე მედიაციის სახლის მენეჯერის თანამდებობები, მოსარჩელეთა მოთხოვნა ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე კანონიერი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო. შესაბამისად, პირველი მოსარჩელე აღდგენილ იქნა განრიდების და პროგრამების მენეჯერის, ხოლო მეორე მოსარჩელე – მედიაციის სახლის მენეჯერის თანამდებობაზე.

12.7. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩევების მოთხოვნა მათვის იძულებითი განაცდურის სახით მიყენებული ზიანის სრულად (ანუ გათავისუფლებიდან – აღდგენამდე) ანაზღაურების თაობაზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩევებს გათავისუფლებისას დამსაქმებლისგან მიღებული ჰქონდათ 2-2 თვის კომპენსაცია, მოპასუხეს მოსარჩევების სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დაეკისრათ 2014 წლის 11 მარტიდან (და არა 2014 წლის 11 იანვრიდან, როგორც ამას მოითხოვდნენ მოსარჩევები), ტოლფას თანამდებობებზე აღდგენამდე პერიოდისათვის, თითოეული დასაქმებულის სასარგებლოდ, ყოველთვიური ხელფასის 1500-1500 (განრიდებისა და მედიაციის მენეჯერის, აგრეთვე მედიაციის სახლის მენეჯერის ხელფასის – 1500-1500 ლარის) ლარის ოდენობით.

12.8. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩევებს უარი ეთქვათ მოპასუხისთვის პირგასამტებლოს სახით იძულებითი განაცდური თანხის დაყოვნების ყოველი დღისთვის, ამ თანხის 0.07 პროცენტის გადახდის დაკისრებაზე. სასამართლომ განმარტა, რომ პირგასამტებლოს მოთხოვნა უნდა გამომდინარეობდეს არსებული ფულადი ვალდებულებიდან და არა იმ თანხიდან, რაც სასამართლომ დააკისრა, ან შეიძლება დააკისროს პირს არსებული ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის იძულებითი განაცდურის სახით. იძულებითი განაცდური წარმოადგენს არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასახდელ ძირითად თანხას, არამედ იგი წარმოადგენს იმ თანხას, რაც სასამართლომ დააკისრა მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების სახით. სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტებლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. სშკ-ის 31-ე მუხლის თანახმად, შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით და დამსაქმებელი ვალდებულია, რომ ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. ზემოხსენებული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ დამსაქმებელს დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტის გადახდის ვალდებულება წარმოემობა იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილია დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობა, ანუ სა-

ხეზეა გადახდის ვალდებულების არსებობა და საბოლოო ანგარიშსწორებაში, რომლის დაყოვნებასაც კანონი უკავშირებს დაყოვნებული თანხის 0.07%-ის გადახდის ვალდებულებას, არ იგულისხმება განაცდური, ვინაიდან განაცდური წარმოადგენს არა სახელშეკრულებო შეთანხმების, არამედ დასაქმებულისათვის დამდგარი ზიანის ანაზღურების სახეს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის უარყოფა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დასაბუთებული და კანონიერი იყო.

### **13. დამსაქმებლის საკასაციო საჩივარი**

13.1. დამსაქმებელმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოთხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა თავის შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სააპელაციო პრეტენზიების იდენტურ გარემოებებზე დაყრდნობით (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი და 11.3 ქვეპუნქტი).

### **14. საკასაციო სამართალნარმოების ეტაპი**

14.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივნისის განჩინებით დამსაქმებლის საკასაციო განაცხადი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ცენტრის (მოპასუხის) საკასაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია შემდეგი არგუმენტაციით:

15. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ კასატორი დასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პროცესუალს, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ

საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-სებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გან-სხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ენინაალმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს, არსებითად განსახილველად დაეშვა საკასაციო განაცხადი.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.);

Perez v France [GC], par. 81)

18. საკასაციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოხსენებული საფუძვლით.

19. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან.

20. განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის გადანანილეს სწორედ იმ სპეციფიკურობის გათვალისწინებით, რაც ახასიათებს შრომითსამართლებრივ ურთიერთობას და იცავს კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. აღნიშნული უზრუნველყოფს სამართალწარმოებისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე დავის განსილვასა და გადაწყვეტას (სსსკ-ის მე-4-5 მუხლები).

21. მოპასუხის ერთ-ერთ საკასაციო პრეტენზიას წარმოადგენს ის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ არის დასაბუთებული ის ძირითადი გარემოება, გაიზარდა თუ არა შტატების ოდენობა მოსარჩელეების მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობების მიმართულებით და სასამართლო ეყრდნობა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ რეორგანიზაციის შედეგად გაიზარდა შტატების რაოდენობა. სასამართლომ არ შეაფასა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომელთა ანალიზითაც ცალსახად დასტურდება, რომ ცენტრში შტატების მატება გამოიწვია სხვა მიმართულების შტატების დამატებამ და არა მოსარჩელთა თანამდებობების აღწერილობის შესაბამისი შტატების მატებამ. სასამართლოს განმარტებები ურთიერთსანინალმდეგოა: ერთ შემთხვევაში სასამართლო განმარტავს, რომ რეორგანიზაციის შედეგად არ შეცვლილა შტატები, ხოლო მეორე შემთხვევაში – „ტოლფას თანამდებობებზე“ აღადგინა დასაქმებულები.

21.1. კასატორის ზემოხსენებული მტკიცების საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ

წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსსკ-ის 4.1-ე მუხლი). თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებან, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ-ის 102.1-ე მუხლი). საპროცესო კანონის მიზანს წარმოადგენს არა მარტო მოსარჩელის დავალდებულება, წარმოუდგინოს სასამართლოს ის მტკიცებულებები, რომლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მის სასარგებლოდ გამოყენების წინაპირობებს ქმნიან, არამედ მოიაზრებს მოპასუხის დავალდებულებასაც, შესაგებელის ფარგლებში უზრუნველყოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გაქარნებულება. გარდა კონსტიტუციითა და სსსკ-ით დადგენილი ზოგადი პრინციპებისა, როგორც წინამდებარე განჩინების მე-20 პუნქტში აღინიშნა, მტკიცების ტვირთის განაწილებას სპეციფიური ხასიათი გააჩნია შრომითსამართლებრივ დავაში. ამ სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც დასაქმებულის გათვალისწინებულების სამართლებრივი საფუძვლების კვლევას ეხება, სასამართლომ განმარტა: „დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებით უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მას, კონკრეტულ შემთხვევაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, აღარ ესაჭიროებოდა იმ ფუნქციური დატვირთვის მქონე საშტატო ერთეული, რომელზეც მოსარჩელე იყო დასაქმებული. ამასთან, სასამართლო ვალდებული იყო გაერკვია, მხოლოდ მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის გაუქმება განპირობებული იყო საწარმოს ფინანსური მდგომარეობით, თუ ადგილი ჰქონდა ი. კ-ის მიმართ დისკრიმინაციას. განსახილველ შემთხვევაში, სწორედ მოპასუხე იყო ვალდებული, სათანადო მტკიცებულებებით დაედასტურებინა მოსარჩელის საშტატო ერთეულის გაუქმების კანონიერების საკითხი“ (იხ. სუსგ-ები: №ას-646-612-2015, 23.08.2015.) საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე საქმის გადასაწყვეტად დადგენილ სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებსა და მათ სამართლებრივ შეფასებას, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად არის განსაზღვრული დამსაქმებლის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრე, ასევე, მართებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ მოპასუხე ვალდებული იყო გაექარნებულებინა მოსარჩე-

ლის მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტობრივი გარემოებები: ჩატარდა თუ არა ცენტრში რეორგანიზაცია, რა აუცილებლობით იქნა გამოწვეული სამუშაო ძალის შემცირება (ეკონომიკური, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რამაც სამუშაო ძალის შემცირება ობიექტურად განაპირობა); რამ განაპირობა მხოლოდ კონკრეტული მოსარჩელეების სამსახურიდან გათავისუფლება; სასამართლოს მიერ ბრძანების არაკანონიერად ცნობის შემთხვევაში, რამდენად შეუძლებელი იყო დასაქმებულთა სამსახურში აღდგენა ტოლფასი თანამდებობის არარებობის გამო (ზ. განჩინების 10.3.3. ქვეპუნქტი).

21.2. საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ განსახილველ დავაში დაცულია კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი, კასატორი კი სანინაალმდეგო გარემოების დასადასტურებლად მხოლოდ სიტყვიერი განმარტებით შემოიფარგლა, რაც არ არის საკმარისი საკასაციო შედავების დასაბუთებულად მიჩნევისათვის.

22. კასატორს პროცესუალური შინაარსის პრეტენზია გააჩნია იმ შუამდგომლობასთან მიმართებაში, რომლითაც დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა და უთითებს, რომ მოსარჩელეებს არ გააჩნდათ სსსკ-ის 83-ე მუხლის გამოყენების უფლება, სასამართლოს კი უნდა შეეფასებინა, თუ რა ეტაპზე მოხდა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება და არ უნდა დაეკმაყოფილებინა მოსარჩელეთა შუამდგომლობა. ამ კონტექსტში, კასატორის აზრით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მოსარჩელეების თავდაპირველ მოთხოვნას პირველი რეორგანიზაციის ფარგლებში შექმნილ თანამდებობებზე (სამშართველოების უფროსების შტატი) დანიშვნა წარმოადგენდა.

22.1. საკასაციო სასამართლო კასატორის ამ არგუმენტის გასაბათილებლად მიუთითებს სსსკ-ის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველ წინადადებაზე, შემდეგ კი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განიხილავს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუზღიათ და რომლებიც მითითებულია წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებსა და 8.3. ქვეპუნქტებში. სსსკ-ის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს (სსსკ-ის 83.1-ე მუხლი). საკასაციო სასამართლო მიუთითებს წინამდებარე განჩინების მე-8 პუნ-

ქტში ასახულ გარემოებაზე: უდავოა, რომ სარჩელი აღიძრა 2014 წლის 12 თებერვალს, კორექტირებული რეორგანიზაციის შესახებ მოპასუხემ განაცხადა სარჩელის აღძვრის შემდეგ – 28 მარტს (იხ. მე-6 პუნქტი). უდავოა, რომ მოსამზადებელ ეტაპზე, 2014 წლის 29 ივლისს, მოსარჩელებმა იშუამდგომლეს და დაზუსტებული სარჩელი წარადგინეს (იხ. 8.3-ე ქვეპუნქტი), ხოლო სასამართლომ შუამდგომლობა განიხილა და დააკმაყოფილა 2014 წლის 13 ნოემბრის საოქმონ განჩინებით, მოსამზადებელ სხდომაზე (იხ. 8.4-ე ქვეპუნქტი) ამის შემდეგ, 2015 წლის 20 იანვარს, სასამართლომ კიდევ ერთი მოსამზადებელი სხდომა დანიშნა, რომელიც მთავარ სხდომაში გადაიზარდა. ზემოხსენებული გარემოებებით დადასტურებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაურღვევია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა, რაზედაც დასაბუთებული მსჯელობა ასახულია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება)

23. კასატორის ერთ-ერთ პრეტენზიას წარმოადგენს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ სსკ-ის 115-ე მუხლის (უფლების ბოროტად გამოყენება) მითითების არამართებულობა, რაც, მისი მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება; კასატორს, ასევე, არადამაჯერებელ მტკიცებულებებად მიაჩინა მოწმეთა განმარტებები იმის თაობაზე, რომ რეორგანიზაციის შემდეგ მოსარჩელების გარდა არავინ გათავისუფლებულა სამსახურიდან.

23.1. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დამსაქმებელს მოწმეთა განმარტების სანინააღმდეგოდ არ წარუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომელთა საფუძველზე მათი განმარტებები გაქართნებულდებოდა, ამასთან, მოწმეთა განმარტებები არ ყოფილა ერთადერთი მტკიცებულება, რასაც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა და დასკვნები საქმეში მოთავსებულ მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასებასა და გაანალიზებას ეფუძნება (სსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლები).

23.2. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 115-ე მუხლის გამოყენების თაობაზე ამ განჩინების 12.2.1 ქვეპუნქტში ასახულ მსჯელობას.

24. კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა 3 წლისა და 3 თვის განაცდურის გადახდა, რამაც ცენტრს განუსაზღვრელი ზიანი მიაყენა და რადგან დავის განხილვა 3 წელზე მეტია გრძელდება, სასამართლოს შეეძლო მოპასუხისთვის გონივრუ-

ლი კომპენსაცია დაეკისრებინა და არა განაცდურის სრულად ანაზღაურება, სასამართლო მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისს დადგენილებით), პირველი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, შრომის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, ეფექტურად დაიცვან მუშავის წესაყოფლობით არჩეული სამუშაოს შესრულების გზით ფულადი სახსრების გამომუშავების უფლება. მაშასადამე, ქარტია განამტკიცებს დასაქმებულის უფლებას, მიიღოს ანაზღაურება შრომითი მოვალეობის შესრულების სანაცვლოდ, რაც განმტკიცებულია ეროვნული კანონმდებლობითაც, სშკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მონესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. ამავე კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით. სშკ-ის 44-ე მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით;

24.1. შრომითსამართლებრივი დავიდან გამომდინარე განაცდურის (ზიანის) ანაზღაურების შესახებ საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც განხორციელებული იყო სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილით, 408-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 411-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი წანამდლვრება: დამსაქმებელმა უკანონოდ შეწყვიტა, შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან, რითაც დაარღვია სშკ-ის 37-ე მუხლის მოთხოვნები, ანუ სახეზეა სანარმოს მართლსანინააღმდეგო და ბრალეული მოქმედება; ბ) დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით დასაქმებულს მიადგა ზიანი, მან ვერ მიიღო შრომის ანაზღაურების სახით ის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებდა, რომ არა სანარმოს უკანონო მოქმედება..... განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დამსაქმებლის უკანონო ბრძანების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად, დასაქმებულს მიადგა ზიანი, რაც გამოიხატა მის მიერ შრომითი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობასა და კუთვნილი ანაზღაურების (ხელ-

ფასის) მიუღებლობაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იძულებითი განაცდური წარმოადგენს სწორედ იმ ზიანს, რომელიც ეკუთვნის დასაქმებულს, რათა მოხდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა იმ სახით, რომელიც არ იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. (იხ. სუსგ №ას-951-901-2015, 29.01.2016წ.).

24.2. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას დამსაქმებლის-თვის განაცდურის ნაცვლად გონივრული კომპენსაციის დაკისრების შესაძლებლობის შესახებ, საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს განმარტებული განაცდურისა და ზიანის ანაზღაურების, როგორც განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტების არსი და მათი დაკისრებისას გამოსაყენებელი წარმატები: „სსკ-ის 408.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანი (განსახილველ საქმეზე – იძულებითი განაცდური) განსხვავდება სსკ-ის 38.8 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციისაგან, რადგან ეს უკანასკნელი სასამართლომ სწორედ იმ შემთხვევისათვის უნდა გამოიყენოს, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა“ (იხ. სუსგ-ები: №ას-24-22-2017, 31.03.2017წ; №ას-371-352-2015, 28.07.2015წ; №ას-281-269-2015, 20.07.2015წ; №ას-951-901-2015, 29.01.2016წ; №ას-885-847-2014, 29.06.2015წ.).

25. მითითებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ იძულებითი განაცდურის მიღება დასაქმებულის სამუშაოზე (ტოლფას თანამდებობაზე) აღდგენის თანამდევი სამართლებრივი შედეგია, ხოლო კომპენსაცია გაიცემა მაშინ, როდესაც პირის სამსახურში აღდგენა ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია დასაქმებულთა არამართლზომიერი გათავისუფლება, რაც მათი გათავისუფლების თაობაზე უკანონოდ გამოცემული ბრძანებების ბათილობის საფუძველია, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეებმა მტკიცების კუთვნილი ტვირთის ფარგლებში არა მხოლოდ მიუთითეს, არამედ წარადგინეს კიდევ მტკიცებულება ტოლფასი ფუნქციური აღწერილობის თანამდებობების არსებობის შესახებ (რაც სააპელაციო სასამართლოს კვლევის ძირითადი საგანი იყო), ხოლო მოპასუხემ, გარდა მნირი ზეპირი განმარტებისა, რომ არ არსებობს ტოლფასი თანამდებობები, სამართლებრივად წინადი და ვარგისი სხვა მტკიცებულება ვერ წარუდგინა სასამართლოს, გამოიკვეთა არამართლზომიერად გათავისუფლების გამო ტოლფას თანამდებობაზე აღდგენილი დასაქმებულებისათვის იძულებითი განაცდურის გაცემის სამართლებრივი საფუძველი, რაც, ცხადია,

მოპასუხეს დაეკისრა.

26. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვემდგომმა სა-სამართლომ გამოიკვლია და შეაფასა საქმისათვის სამართლებ-რივად მნიშვნელოვანი ყველა გარემოება და დადგენილ ფაქ-ტებს მართებული იურიდიული კვალიფიკაცია მისცა. კასატორს არ წარუდგენია არც ერთი არგუმენტი, დასაბუთებული შედა-ვება, თუ რა საფუძვლით უნდა იქნეს დასაშვებად ცნობილი წარ-მოდგენილი საკასაციო განაცხადი.

27. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, დასაქ-მებულებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დაუსაბუთე-ბულობა ყოველმხრივ და ობიექტიურად გამოიკვლია, შესაბა-მისად, გადაწყვეტილება გამოიტანა მხარეთა მიერ წარდგენი-ლი მტკიცებულებების ფარგლებში და შრომითსამართლებრივ დაცებზე დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძ-ველზე, რაც გასაჩივრებული განჩინების კანონიერებაზე მიუ-თითებს.

28. საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ „საქართველოში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლე-ბების დაცვა იყო, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შრომის სა-მართალი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარე-ბასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ე.ნ. „favor prestatoris“ პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპი-რატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყე-ნებისას, საჭიროა დამსაქმებლის და დასაქმებულის მოთხოვ-ნებისა და ინტერესების წინასწორობის დაცვა სამართლიანო-ბის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილ-სინდისიერების კონტექსტში“ (იხ. სუსგ №ას-941-891-2015, 29.01.2016; შდრ. საქმე №1124-1080-2016, 10.03.2017).

29. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სა-სამართლოს გასაჩივრებული განჩინება სამართლიანობის, კა-ნონიერებისა და მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპების, შრომითი დაცვის განხილვისას მხარეთა შორის თანაზომიერი ბა-ლანსის დაცვის გათვალისწინებით, დასაბუთებულია და კან-ნიერი, შესაბამიად, არ არსებობს დამსაქმებლის საკასაციო გა-ნაცხადის არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნობის სა-მართლებრივი საფუძველი

30. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გა-დახდისაგან კანონის საფუძველზე.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპორტულო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

### **და ადგინდება:**

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **შრომითი ხელშეკრულების შეცვალა რეორგანიზაციისას**

### **განხილვა საქართველოს სახელით**

№ას-1189-1109-2017

10 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
პ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღ-  
დგენა, განაცდურის ანაზღაურება

### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 აგვისტოს №73 განკარგულებით 2007 წლის 7 სექტემბერს ი. გ-ა (შემდეგში: დასაქმებული ან მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) სენაკის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორის №13 ბრძანებით დაინიშნა ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებო დაწესებულება – სენაკის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში იუ-  
რისტის თანამდებობაზე.

2. 2009 წლის 28 იანვარს ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება (ს/6239893683) (შემდეგში: დამსაქმე-

ბელი ან მოპასუხე ან აპელანტი კასატორი) ჩამოყალიბდა სენაკის სასპორტო სკოლისა და სენაკის სპორტის სასახლის რეორგანიზაციის (შერწყმის) შედეგად.

3. დამსაქმებლის 2009 წლის 30 იანვრის №65 ბრძანებით დასაქმებული საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის (შემდეგში: სშ-ი) მე-9 მუხლის შესაბამისად დაინიშნა მოპასუხე ა(ა)იპ-ში სპეციალისტად საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, ხოლო 2011 წლის 11 იანვრის №15 ბრძანებით დაინიშნა მოპასუხე ა(ა)იპ-ში (სპორტსკოლის) სპეციალისტად საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

4. 2015 წლის 9 იანვარს დამსაქმებლის დირექტორსა და დასაქმებულს შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც დასაქმებული გამწესდა მოპასუხე ა(ა)იპ-ის სასპორტო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის თანამდებობაზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2016 წლის 9 იანვრამდე, ხოლო ხელფასი განისაზღვრა 380 ლარით.

5. 2015 წლის საშტატო განრიგის მიხედვით მოპასუხე ა(ა)იპ-ში არსებობდა 67.5 შტატი, მათ შორის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის ორი შტატი: საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი სასპორტო სკოლაში (მოსარჩევე) და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი სპორტის სასახლეში (ნ. მ-ა). 2016 წლის (იანვარი, თებერვალი, მარტი) საშტატო ნუსხის მიხედვით მოპასუხე ა(ა)იპ-ში გაიზრდა შტატების რაოდენობა 69 ერთეულამდე. ნ. მ-ა მოპასუხე ა(ა)იპ-ში მუშაობს 2008 წლის 1 ივლისიდან სპორტული და მასობრივი ღონისძიებების მოწყობის სპეციალისტად, ხოლო 2015 წლის 5 ნოემბრიდან სპეციალისტად საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხებში.

6. დამსაქმებლისადმი 2016 წლის 18 იანვრის (№01/145) სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის – თ. ლ-ს მხრიდან განხორციელებული მიწერილობის მიხედვით სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2016 წლის 15 იანვარს შემოსულია მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ნოემბრის №5 დადგენილების შესაბამისად, 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ და-

საფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან 2016 წლის სენაკის მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია 3418565 ლარის სამუშაოების შესრულება. მათ შორის, 10380 ლარის სამუშაოებზე არ არის ტექნიკური დოკუმენტაცია, თანადაფინანსების თანხა 5%-ის ფარგლებში, რისთვისაც სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ზემოაღნიშნულზე თანხა არ არის გათვალისწინებული. წერილის ავტორი ითხოვდა აღნიშნულის გათვალისწინებას და შეძლებისდაგვარად თანხების მოძიებას 2016 წლის ბიუჯეტში, სპორტის ხელშეწყობის პროგრამა (კოდი: 050101).

7. 2016 წლის 20 იანვარს დამსაქმებლის №7 წერილით ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობას ეცნობა, რომ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების თანხის მოძიების საკითხი მის მიერ გათვალისწინებულ იქნა და 16000 ლარი მოძიებულ იქნა საშტატო ერთეულის შემცირების ხარჯზე.

8. 2016 წლის 27 იანვარს, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებულ 2015 წლის 9 იანვრის შრომით ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვით, დასაქმებული გამნესდა სასპორტო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის თანამდებობაზე, მხარეთა შეთანხმებით, შეტანილ იქნა ცვლილება ხელფასისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის ნაწილში და ხელფასი განისაზღვრა – 400 ლარით, ხოლო შრომითი ხელშეკრულების ვადად დადგინდა – „განუსაზღვრელი ვადით“. შესაბამისად, დასაქმებულის ხელფასი სამუშაოდან გათავისუფლების პერიოდში შეადგენდა – 400 ლარს.

9. დამსაქმებელმა 2016 წლის 26 თებერვალს, იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე (ა)იპ-ში შტატების ოპტიმიზაციის შესაბამისად, ამავე გაერთიანების ბიუჯეტის ხარჯების შემცირების მიზნით აუცილებლობას წარმოადგენდა ორგანიზაციული ცვლილების (შტატების შემცირება) განხორციელება, მიიღო ბრძანება №34 მოპასუხე (ა)იპ-ში ორგანიზაციული ცვლილების (შტატების შემცირების) შესახებ. ამავე ბრძანებით დადგინდა ორგანიზაციული ცვლილების დასრულების, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე თანამშრომელთა გაფრთხილებისა და საშტატო ნუსხის წესდებით დადგენილი წესით დამტკიცების ერთთვიანი ვადები. 2016 წლის 26 თებერვალს მოსარჩევე გაფრთხილებულ იქნა გაერთიანებაში ორგანიზაციული ცვლილების გამო დაკავებული პოზიციიდან სშე-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად შესაძლო გათავისუფლების შესახებ. დამსაქმებლის 2016

წლის 28 მარტის №55 ბრძანებით დამტკიცდა მოპასუხე ა(ა)იპ-ის საშტატო ნუსხა და სახელფასო განაკვეთები დანართი 1-ის შესაბამისად. საშტატო ნუსხის მიხედვით, (ა)იპ-ში შემცირდა 10 საშტატო ერთეული: 1. მთავარი სპეციალისტი ეკონომიკის საკითხებში (ერთი ერთეული); 2. მთავარი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში (ერთი ერთეული); 3. სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (ერთი ერთეული); 4. სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში (ერთი ერთეული); 5. ტრენაჟორების მეთოდისტი (ერთი ერთეული); 6. სპეციალისტი სპორტული და მასობრივი ღონისძიების მოწყობის საკითხებში (სამი ერთეული); 7. სასპორტო სკოლის კომენდანტის (ერთი ერთეული); მწვრთნელ-მასნავლებლის (ერთი ერთეული).

10. დამსაქმებლის 2016 წლის 30 მარტის №64 ბრძანებით დასაქმებული გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შტატების შემცირების გამო. ბრძანების მიხედვით სპკ-ის 34-ე მუხლისა და 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ასევე ამავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის და დამსაქმებლის 28.03.2016-ის №55 ბრძანების შესაბამისად, მოპასუხე ა(ა)იპ-ში ორგანიზაციული ცვლილებების გამო (შტატების შემცირება) სასპორტო გაერთიანების (სასპორტო სკოლის) საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი – მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 1 აპრილიდან საბოლოო ანგარიშსნორებით, მასვე მიეცა კომპენსაცია 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

11. დასაქმებულმა სარჩელი აღძრა დამსაქმებლის მიმართ, რომლითაც მოითხოვა: მოპასუხე ა(ა)იპ-ის საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთის №1 დანართის შესაბამისად დამტკიცების შესახებ მოპასუხის 2016 წლის 28 მარტის №55 ბრძანების ბათილად ცნობა; მოპასუხე ა(ა)იპ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მოპასუხის 2016 წლის 30 მარტის №64 ბრძანების ბათილად ცნობა და მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენა; მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ, იძულებით განაცდურის ანაზღაურების დაკისრება 2016 წლის 30 მარტიდან სამსახურში აღდგენამდე ყოველთვიურად 400 (დარიცხული ხელფასი) ლარის ოდენობით.

12. სენაკის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე ა(ა)იპ-ის დირექტორის საშ-

ტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთის №1 დანართის შესაბამისად დამტკიცების შესახებ 2016 წლის 28 მარტის №55 ბრძანება მოსარჩელის შტატის შემცირების ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე ა(ა)პ-ის დირექტორის 2016 წლის 30 მარტის №64 ბრძანება მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ და მოსარჩელე აღდგენილ იქნა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკითხებში სპეციალისტის თანამდებობაზე. დაეკისრა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებას მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2016 წლის 30 მარტიდან სამსახურში აღდგენამდე ყოველთვიურად 400 (დარიცხული) ლარის ოდენობით.

13. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 1-11 პუნქტებში მითითებული ფაქტორივი გარემოებები.

14. იმავდროულად, დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შემოწმებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა დამსაქმებლის მოქმედების მართლზომიერებასა და მასზე ხომ არ ჰქონდა ადგილი დამსაქმებლის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას.

15. ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევისას პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მოპასუხე ორგანიზაციაში დასაქმებული იყო 2007 წლიდან ჯერ, იურისტის, მოგვიანებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის თანამდებობაზე განსაზღვრული ვადით, ხოლო 2016 წლის იანვრიდან მოდავე მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ უვადო შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობაში. 2016 წლის 30 მარტის №64 ბრძანებით კი, მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა რეორგანიზაციის საფუძვლით [სშვ-ის 34-ე მუხლისა და 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი]. აქედან გამომდინარე კი, სადავო იყო მოპასუხე ა(ა)იპ-ში რეორგანიზაციის ჩატარებისა და მოსარჩელის მიმართ რეორგანიზაციის შედეგების მართლზომიერება. სადავო საკაითხების კვლევისას სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით [დისპოზიცია: სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად] და აღნიშნა, რომ ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენების კანონიერებას, რის მიხედვითაც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა საფუძვლიანობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესა-

ფასებლად აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა შესწავლა. ვინაიდან მოსარჩევე სამუშაოდან გა-თავისუფლდა სშვ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვე-პუნქტის შესაბამისად, კერძოდ, რეორგანიზაციის (შტატების შემცირების) საფუძველზე,

16. პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის განხილვისას შეამონმა განხორციელდა თუ არა მოპასუხე ორგანიზაციაში რე-ორგანიზაცია, დადგებით შემთხვევაში, ნარმოებვა თუ არა დამ-საქმებელს მოსარჩელის შტატის შემცირების აუცილებლობა, ხომ არ ქონია ადგილი დამსაქმებლის მხრიდან უფლების ბორო-ტად გამოყენებას, რაზეც სასამართლოს ჩამოუყალიბდა ერ-თმინშვნელოვანი პასუხი, რომ მოსარჩელე სამუშაოდან გათა-ვისუფლდა არამართლზომიერად, დამსაქმებლის მიერ უფლე-ბის ბოროტად გამოყენების შედეგად.

17. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებისას პირ-ველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა საქართვე-ლოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით (იხ. სუსგ №ას-1276-1216-2014, 18 მარტი, 2015 წელი; სუსგ №ას-122-114-2015, 23 მარტი, 2015 წელი; სუსგ №ას-922-884-2014, 16 აპრილი, 2015 წელი), რომელშიც საკასაციო პალატამ არაერ-თხელ განმარტა შრომით სამართლებრივ დავაში მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურება, რაც მტკიცებულებების ნარმოდებენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებუ-ლის არათანაბარი შესაძლებლობებითაა განპირობებული.

18. შესაბამისად, დასაქმებულის სამსახურიდან მართლზო-მიერად გათავისუფლების მტკიცების ტვირთი დააკისრა დამ-საქმებელს, რაც მოცემულ დავაში დამსაქმებელმა ვერ განა-ხორციელა.

19. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გა-მოდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ დავაში, დამსაქმებლის მიერ მითითებული გარე-მოებები და ნარმოდებენილი მტკიცებულებები შინაარსობრივად არ გულისხმობდა რეორგანიზაციას და დამსაქმებელი არ დამ-დგარა შტატების შემცირებისა და თანამშრომელთა სამუშაო-დან გათავისუფლების აუცილებლობის წინაშე. შესაბამისად, არ დასტურდებოდა მოსარჩელის საშტატო ერთეულის შემცირე-ბისა და მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღე-ბული გადაწყვეტილებების მართლზომიერი საფუძველი. ამ დას-კენამდე სასამართლო მიერთა იმ გარემოებების კვლევის შედე-გად, რაც მოპასუხემ დაუდო საფუძვლად მის მიერ გამოცემულ სადავო გადაწყვეტილებებს. კერძოდ: ა(ა)იპ სენაკის მუნიცი-

პალიტეტის სასპორტო გაერთიანებაში დირექციის მიერ განხორციელებულ შტატების შემცირებას, ნინ უძლოდა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 18 იანვრის წერილი სასპორტო გაერთიანების ადმინისტრაციისადმი (სასპორტო გაერთიანების უფლებამოსილ პირს ჩაბარდა 2016 წლის 20 იანვარს), რომლის მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ნოემბრის №594 დადგენილების შესაბამისად, 2016 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ბიუჯეტით გაუთვალისწინებული თანხის – 10380 ლარის მოძიების მიზნით, (თანადაფინანსების თანხა 5%-ის ფარგლებში), მიეღოთ შესაბამისი ზომები. წერილის ავტორი აღნიშნული თანხის მოძიებას ითხოვდა სპორტის ხელშეწყობის პროგრამის (კოდი – 05 01 01) ფარგლებში. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დირექტორის მიერ, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას იმავე დღეს, 2016 წლის 20 იანვარს) წერილობით ეცნობა, რომ საჭირო თანხა – 16 000 ლარი, მოძიებულ იქნა საშტატო ერთეულის შემცირების ხარჯზე, რის შემდეგაც (ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის გაერთიანების დირექტორის ე. კ-ს 2016 წლის 26 თებერვლის №34 ბრძანების შესაბამისად, (ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებაში შტატების ოპტიმიზაციის საფუძვლით, ამავე გაერთიანების ბიუჯეტის ხარჯების შემცირების მიზნით, განხორციელდა ორგანიზაციული ცვლილება (შტატების შემცირება), ხოლო გაერთიანების დირექტორის 2016 წლის 28 მარტის №55 ბრძანებით დამტკიცებული სასპორტო გაერთიანების საშტატო ნუსხის შესაბამისად, შემცირდა 10,5 საშტატო ერთეული. სასამართლო მიიჩნია, რომ აღნიშნული საფუძვლით, რეორგანიზაციაზე მითითებით, შტატების შემცირება და მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა არ გამომდინარეობს კანონის ნორმის განმარტებიდან და ენინაალმდეგება შრომის კანონმდებლობის საყოველთაო პრინციპებს.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრატიკის შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლომ, აღნიშნა, რომ რეორგანიზაცია, თუნდაც მართლზომიერად ჩატარებული, ყოველთვის არ წარმოადგენდა დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების ლეგიტიმურ საფუძველს. ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული, ორგანიზაციული ცვლილებები, მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოშობს მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერ საფუძველს, თუ დადგინდება, რომ იგი თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ეკონომიკური სიდუხხირის გამო, შტატების ან/და ხელფასების

შემცირების ან სხვა ობიექტური საჭიროების გამო, დამსაქმებელს აყენებს კონკრეტული თანამდებობიდან მუშავის გათავისუფლების აუცილებლობის წინაშე. სხვა შემთხვევაში, ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული, ორგანიზაციული ცვლილებებიც, თავისთავად, არ არის მუშავთან ხელშექრულების შეწყვეტის საფუძვლი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, ე.წ. „რეორგანიზაციის“ საფუძვლით პირის სამსახურიდან გაშვების დისკრიმინაციული მოტივები შეიძლება დაიფაროს და იქცეს ადმინისტრაციის მიერ უმართებულო გადაწყვეტილების მიღების კანონისმიერ საფუძვლად. შესაბამისად, დასაქმებულის სამსახურიდან ნებისმიერი, მათ შორის რეორგანიზაციის, საფუძვლით დათხოვნის საკითხის გადაწყვეტისას, დამსაქმებელი არჩევანის გაკეთებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს გონივრული და დასაბუთებული კრიტერიუმით, რაც გამორიცხავს ეჭვის საფუძველს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაუსაბუთებლად არ ხელყოფს დასაქმებულის კანონიერ ინტერესს, მის შრომით უფლებებს.

21. მოცემულ შემთხვევაში, არც რეორგანიზაციას და არც ობიექტურ რეალურ საჭიროებას, რაც აუცილებელს გახდიდა და გაამართლებდა მოსარჩელის სამუშაოდან დათხოვნას, ადგილი არ ქონია. შრომითი ურთიერთობის სფეროში მტკიცების დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, მოპასუხეს სასამართლოსათვის არ შემოუთავაზებია კონკრეტული დასაბუთება, რომ ის წინაპირობები, რაც უძლოდა შტატების შემცირებას, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, რატომ აძლევდა მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის მოშლის უფლებამოსილებას. როგორც აღინიშნა, ეკონომიური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რაც აუცილებელს გახდიდა შტატების შემცირებას, სასპორტო გაერთიანებაში არ განხორციელებულა, ხოლო კონკრეტული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ოდენობის თანხის მოძიების გამო რეორგანიზაციაზე მითითებით შტატის შემცირება და მუშავის სამუშაოდან დათხოვნა ეწინააღმდეგება როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, ასევე იმ საერთაშორისო აქტებსაც, რომლებიც იცავენ დასაქმებულს დამსაქმებლის უკანონო ქმედებისაგან და სამუშაოდან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გათავისუფლებისაგან. საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, დასაქმებულის სამსახურიდან ნებისმიერი, მათ შორის რეორგანიზაციის, საფუძვლით დათხოვნის საკითხის გადაწყვეტისას, დამსაქმებელი არჩევანის გაკეთებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს გონივრული და დასაბუთებული კრი-

ტერიუმით, რაც გამორიცხავს ეჭვის საფუძველს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაუსაბუთებლად არ ხელყოფს დასაქმებულის კანონიერ ინტერესს, მის შრომით უფლებებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო საკასაციო სასამართლოს განმარტება, რომ შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის მიერ ცალმხრივად მოშლის უფლება არ არის შეუზღუდავი. „საქართველოში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლებების დაცვა იყო, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შრომის სამართალი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ე.წ. „favor prestatoris“ პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლის და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წინასწორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტში“ (იხ. სუსგ №ას-941-891-2015, 29.01.2016 წ.);

22. სასამართლომ აღნიშნა ისიც, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რეალურად არსებობს სშპ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის წინაპირობები, მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა კავშირში უნდა იყოს ა) მუშაკის არაკომპეტენტურობასთან ან/და არასათანადო ქვევასთან და ბ) უნდა მომდინარეობდეს სანარმოს, დაწესებულების, თუ მათი სერვისის ოპერატორული საჭიროებიდან; მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა სშპ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის წინაპირობები, კერძოდ, რეორგანიზაცია არ განხორციელებულა და შესაბამისად, არ არსებობდა რაიმე საჭიროება, რაც სანარმოს დააყენებდა შტატების შემცირების აუცილებლობის წინაშე, სასამართლომ მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეაფასა მოსარჩელის თანამდებობასთან შესაფერისობისა და კომპეტენციის თვალსაზრისითაც და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ამ მხრივაც, არაგონივრული და დაუსაბუთებელი იყო.

23. საქმის მასალებით, დასტურდებოდა, რომ მოსარჩელე მოპასუხეობების მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეაფასა მოსარჩელის თანამდებობასთან შესაფერისობისა და კომპეტენციის თვალსაზრისითაც და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ამ მხრივაც, არაგონივრული და დაუსაბუთებელი იყო.

დისციპლინის დარღვევისა და მის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტი, საქმის მასალებით, არ დასტურდებოდა. დანიშვნის დღიდან სამუშაოდან გათავისუფლებამდე მოპასუხე მოსარჩელესთან მუდმივად აგრძელებდა შრომითი ხელშეკრულებას. თანამდებობისთვის შეუფერებლობა, არასაცემარისი კვალიფიკაცია, ფუნქციების განახლების ან საწარმოს მოთხოვნილებების გაზრდის ფაქტი, რის გამოც, მოსარჩელე ვერ დაავამაყოფილებდა დაწესებულ მოთხოვნებს (არაკომპეტენტურობა), საქმის მასალებით, ასევე, არ დასტურდებოდა. ამ წინაპირობებისას კი, თუნდაც ყოფილიყო შტატების შემცირების აუცილებლობა, მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება მართლზომიერად ვერ ჩაითვლებოდა, ვინაიდან დამსაქმებელი ვალდებული იყო ინდივიდუალურად შეეფასებინა დასაქმებულის სასარგებლო გარემოებები (ე.წ. „favor prestatoris“ პრინციპი), რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებით დაირღვა, არა მხოლოდ კანონისმიერი, არამედ სახელშეკრულებო ვალდებულებაც, კერძოდ: დადგენილი იყო, რომ 2016 წლის 27 იანვარს, მხარეთა შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მოსარჩელე გაერთიანების საზოგადოებრივი ურთიერთობის სპეციალისტის თანამდებობაზე გამნესდა უვადოდ. მოპასუხე ვალდებული იყო დაეცვა სახელშეკრულებო ვალდებულება მოსარჩელის საზოგადოებრივი ურთიერთობის სპეციალისტის პოზიციაზე უვადოდ გამწესებასთან დაკავშირებით.

24. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული ბრძანებით დაირღვა როგორც კანონისმიერი, ისე სახელშეკრულებო ვალდებულებაც, რაც მიუთითებდა გასაჩივრებული ბრძანების მართლსაწინააღმდეგო ხასიათზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, კი მართლსაწინააღმდეგო გარიგება ბათილი იყო. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ სადავო ბრძანება გასაჩივრდა რა მოსარჩელის მიერ, აღნიშნული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2.1, 3.1. და 248-ე მუხლების შესაბამისად, წარმოადგენდა მისი ბათილად ცნობის საფუძველს მოსარჩელის ნაწილში. შესაბამისად, შტატების შემცირების შესახებ ბრძანება დასაკმაყოფილებელი იყო მოსარჩელის ნაწილში.

25. გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

26. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ამ გან-ჩინების პპ: 1-11, 14-23-ში მითითებული და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

27. სააპელაციო სასამართლომ დამატებით, აღნიშნა, რომ რეორგანიზაცია არის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლა, გადაკეთება, გარდაქმნა ან მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რასაც შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში, მოყვეს შტატების შემცირება, მაგრამ რეორგანიზაცია ჯერ ერთი, არ უნდა იყოს ფორმალური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები საწარმო/ორგანიზაციაში რეალურად უნდა განხორციელდეს და მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ფაქტობრივი და კანონიერი საფუძველი და მეორე, რაც მთავარია, ამგვარი ცვლილებები აუცილებელს უნდა ხდიდეს შტატების შემცირებას, ვინაიდნა რეორგანიზაცია თავისითავად არ იწვევს შტატების შემცირებას. საწარმოში რეორგანიზაციის რეალურად (სტრუქტურის ან სამართლებრივი ფორმის შეცვლის, გადაკეთების, გარდაქმნის) განხორციელების შემთხვევაში საწარმოს ადმინისტრაცია ვალდებულია ასაბუთოს შტატების შემცირების აუცილებლობა, რათა არ მოხდეს შტატების ფორმალურად შემცირება და არ იქცეს ადმინისტრაციის მიერ უმართებულობ გადაწყვეტილების მიღების კანონისმიერ საფუძვლად. ადმინისტრაციის მიერ ამგვარი ნების გამოვლენას, მიუხედავად იმისა, რა ფორმით არსებობს იგი (აქტი, ბრძანება, გარიგება), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დისპოზიციური შინაარსი (საჯარო წესრიგისა და ზნეობის წინააღმდეგობა) ბათილად მიიჩნევს და მას იურიდიულ შედეგს არ უკავშირებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახლველ დავაში, მოპასუხე ა(ა)იპ-ში რეალურად რეორგანიზაცია არ განხორციელებულა.

28. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ/აპელანტმა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

29. საკასაციო საჩივარი ეფუძნება სსსკ-ის 393.1 მუხლის დარღვევას.

30. კასატორი მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ბათილად (ცნო და სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ ძალაში დატოვა დამსაქმებლის მიერ გამოცემული №55 და №64 ბრძანებები (შტატების შემცირების და სახელფასო სარგოს დამტკიცების, აგრეთვე, დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ). თუმცა დამსაქმებლის მიერ ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების და შტატების შემ-

ცირების შესახებ №34 ბრძანება ძალაშია, არ გასაჩივრებულა, სასამართლოს არ უმსჯელია მასზე.

31. კასატორი მიუთითებს რომ მოპასუხე ა(ა)იპ-ში განხორციელდა რეორგანიზაცია ეკონომიკური გარემოებების ცვლილებების საფუძველზე და დამსაქმებლის გადაწყვეტილება სამუშაო ძალის შემცირების შესახებ მოწოდებულია უფლებამოსილი პირის მიერ. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებაში დირექციის მიერ განხორციელებულ შტატების შემცირებას, წინ უძლოდა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 18 იანვრის წერილი სასპორტო გაერთიანების ადმინისტრაციისადმი (სასპორტო გაერთიანების უფლებამოსილ პირს ჩაბარდა 2016 წლის 20 იანვარს), რომლის მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ნოემბრის №594 დადგენილების შესაბამისად, 2016 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი თანხის – 10380 ლარის მოძიების მიზნით (თანადაფინანსების თანხა 5%-ის ფარგლებში), მიეღოთ შესაბამისი ზომები. წერილის ავტორი აღნიშნული თანხის მოძიებას ითხოვდა სპორტის ხელშეწყობის პროგრამის (კოდი – 05 01 01) ფარგლებში. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დირექტორის მიერ, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას იმავე დღეს, 2016 წლის 20 იანვარს) წერილობით ეცნობა, რომ საჭირო თანხა – 16 000 ლარი, მოძიებულ იქნა საშტატო ერთეულის შემცირების ხარჯზე, რის შემდეგაც, (ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის გაერთიანების დირექტორის 2016 წლის 26 თებერვლის №34 ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებაში შტატების ოპტიმიზაციის საფუძვლით, ამავე გაერთიანების ბიუჯეტის ხარჯების შემცირების მიზნით, განხორციელდა ორგანიზაციული ცვლილება (შტატების შემცირება), ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ შტატების შემცირების შესახებ ბრძანება გამოიცა ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხოლო ის გარემოება რომ შტატების შემცირების შესახებ რეკომენდაცია მიეცა დასაქმებულს განერილია აუდიტის დასკვნაში, რომელიც მათ მიზანშენონილად არ მიაჩნდათ წარედგინათ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ წარადგინეს სააპელაციო ინსტანციაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით საკასა-

ციონ საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხ-ლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

33. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

34. კასატორი მოთხოვს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას, თუმცა, რამე პროცედურული წესის დარღვევაზე, მითითებას, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენასა და მაშასადამე, არასწორი გადაწყვეტილების გამოტანას, კასატორი არ მიუთითებს [სსსკ-ის 393.2 მუხლი].

35. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მიერ წარმოდგენილი პოზიცია მოპასუხე ა(ა)იპ-ში განხორციელებული რეორგანიზაციული ცვლილებების აუცილებლობისა და მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების სშე-ის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძვლის არსებობის, აგრეთვე, მოსარჩელის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, სააპელაციო საჩივარში მითითებულ საფუძვლების იგივეობრივია, რაზედაც ამომზურავდ აქეს ნამსჯელი სააპელაციო სასამართლოს.

36. მოპასუხე ა(ა)იპ-ში განხორციელებული რეორგანიზაციული ცვლილებების აუცილებლობას კასატორი უკავშირებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 18 იანვრის წერილს (იხ., ამ განჩინების პ-32). მისი მითითებით, შტატების შემცირების შესახებ რეკომენდაციას ითვალისწინებს აუდიტის დასკვნაც.

37. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართალწარმოებაში მხარის უფლება დაიცვას საკუთარი ინტერესები უზრუნველყოფილია შეჯიბრებითობის პრინციპით. იმავდროულად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება უკავშირდება საპროცესო ვადების დაცვასაც, ეს იმას ნიშნავს, რომ ახალ გარემოებებზე მითითება და მტკიცებულებების წარდგენა არ დაიშვება საქმის მომზადების დასრულების შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი მიუთითებს სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე წარდგენილ აუდიტის დასკვნაზე, რომელის დართვაზეც მას უარი ეთქვა. სასამართლოს მიაჩნია, რომ აუდიტის დასკვნაზე საკასაციო პალატას მსჯელობა ვერ ექნება [სსსკ-ის 380.2], რადგან ამ უფლებით მოპასუხეს არ უსარგებლია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების

ეტაპზე.

38. რაც შეეხება რეორგანიზაციის განხორციელების აუცილებლობაზე კასატორის მითითებას, აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. პირიქით, მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ დამსაქმებლის მიერ მითითებული გარემოებები და ნარმოდენილი მტკიცებულებები შინაარსობრივად არ გულისხმობდა რეორგანიზაციას და დამსაქმებელი არ დამდგარა შტატების შემცირებისა და თანამშრომელთა სამუშაოდან გათავისუფლების აუცილებლობის წინაშე. შესაბამისად, არ დასტურდებოდა მოსარჩელის საშტატო ერთეულის შემცირებისა და მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების მართლზომიერი საფუძველი (იხ., ამ განჩინების პპ: 20-25). იმავდროულად, დადგენილია, რომ მოსარჩელე მოპასუხე ორგანიზაციაში იურისტის, ხოლო შემდგომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის თანამდებობაზე დასაქმებულია 2007 წლიდან. ამ ხნის მანძილზე მის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევა არ დასტურდებოდა. დანიშვნის დღიდან სამუშაოდან გათავისუფლებამდე მოპასუხე მოსარჩელესთან მუდმივად აგრძელებდა შრომითი ხელშეკრულებას. თანამდებობისთვის შეუფერებლობა, არასაკმარისი კვალიფიკაცია, ფუნქციების გახახლების ან სანარმოს მოთხოვნილებების გაზრდის ფაქტი, რის გამოც, მოსარჩელე ვერ დააკმაყოფილებდა დაწესებულ მოთხოვნებს (არაკომპეტენტურობა), საქმის მასალებით, ასევე, არ დასტურდება. ამ წინაპირობების არსებობისას კი, თუნდაც ყოფილიყო შტატების შემცირების აუცილებლობა, მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება მართლზომიერად ვერ ჩაითვლებოდა, ვინაიდან დამსაქმებელი ვალდებული იყო ინდივიდუალურად შეეფასებინა დასაქმებულის სასარგებლო გარემოებები (ე.წ. „favor prestatoris“ პრინციპი) (საკასაციო პალატის მსჯელობა შეესაბამება დადგენილ პრაქტიკას იხ., სუსგ №ას-665-636-2016, 9 დეკემბერი, 2016 წელი; №ას-679-650-2016, 13 ოქტომბერი, 2016 წელი; სუსგ №ას-922-884-2014, 16 აპრილი, 2015 წელი), რომელთა გათვალისწინებით უნდა მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებით დაირღვა, არა მხოლოდ კანონისმიერი, არამედ სახელშეკრულებო ვალდებულებაც: დადგენილია, რომ 2016 წლის 27 იანვარს, მხარეთა შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მოსარჩელე გაერთიანების საზოგადოებრივი ურთიერთობის სპეციალისტის თანამდებობაზე გამწესდა უვადოდ. იმ შემ-

თხვევაშიც კი, როდესაც რეალურად არსებობს სშე-ის 37-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის წინაპირობები, მუშავის სამუშაოდან დათხოვნა კავშირში უნდა იყოს ა) მუშავის არა-კომპეტენტურობასთან ან/და არასათანადო ქცევასთან და ბ) უნდა მომდინარეობდეს საწარმოს, დანესებულების, თუ მათი სერვისის ოპერატორი საჭიროებიდან; მოცემულ შემთხვევა-ში, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა სშე-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის წინაპირობები, კერძოდ, რე-ორგანიზაცია არ განხორციელებულა და შესაბამისად, არ არსე-ბობდა რამე საჭიროება, რაც საწარმოს დააყენებდა შტატების შემცირების აუცილებლობის წინაშე, სასამართლომ მოსარჩე-ლის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეაფასა მოსარჩელის თანამ-დებობასთან შესაფერისობისა და კომპეტენციის თვალსაზრი-სითაც და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ამ მხრივაც, არაგონივრული და და-უსაბუთებელი იყო.

39. კასატორის მითითება, რომ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალი-ტეტის გაერთიანების დირექტორის 2016 წლის 26 თებერვლის №34 ბრძანება დღესაც ძალაშია და არ გასაჩივრებულა, მასზე არ უშველია სასამართლოს, რაც სარჩელის მოთხოვნის დაკ-მაყოფილებაზე უარისთქმის საფუძველია, ვერ იქნება გაზია-რებული (იხ., ამ განჩინების პ - 31). ამასთან, აღნიშნულ საკით-ხზე ნამსჯელი აქვს ქვედა ინსტანციის სასამართლოს (იხ., ამ განჩინების პ - 10).

40. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალა-ტას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასა-ციო საჩივრის დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწი-ლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვი-ნაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გა-დაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერ-თგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქარ-თველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებ-რივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო სა-ჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებუ-ლი გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკით-

ხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ენინალმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციაა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციათან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლათან წინააღმდეგობის საფუძვლით.

41. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით. შრომით სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომელიც ასახულია წინამდებარე განჩინებაში.

42. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

43. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან კანონის საფუძველზე.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## **შრომითი ხელშეკრულების შეცვეტა დასაქმებულის კვალიფიკაციის ან უნარვევების შეუსაბამობის გამო**

### **განრიცხვა საკართველოს სახელით**

№ას-703-673-2016

31 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კონკურსის შედეგების გაუქმება, სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა

## **აღნერილობითი ნაწილი:**

1. ზ. კ-ე (შემდეგში: დასაქმებული, მოსარჩევე, აპელანტი, კასატორი) სიიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდეგში: დამსაქმებელი, ცენტრი, მოპასუხე, მონინააღმდეგე მხარე) ამავე ცენტრის დირექტორის ბრძანების (№..., 1.02.2013.) საფუძველზე 2013 წლის 1 თებერვლიდან არქივარიუსის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.

2. მოსარჩელის, როგორც არქივარიუსის მოვალეობის შემსრულებლის მოვალეობებში შედიოდა: ცენტრის საარქივო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია; ცენტრის თანამშრომლების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის მოძიება და, საჭიროების შემთხვევაში, მათი გადაცემა; მოსარჩელე დაინტერესებულ პირებს საარქივო დოკუმენტაციის ასლებს გადასცემდა შესაბამისი ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

3. 2013 წლის 3 აპრილს მოპასუხემ გამოსცა ბრძანება (№102) ცენტრის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის შესახებ, ხოლო 2013 წლის 13 დეკემბერს გამოცემული ბრძანებით (№455) მასში ცვლილება შევიდა და საკონკურსო – საატესტაციო კომისიის შემადგენლობა, ნაცვლად 5 წევრისა, 8 წევრით (მათ შორის – 4 მოწვეული) განისაზღვრა.

4. 2013 წლის 5 ნოემბერს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ გამოაცხადა კონკურსი ცენტრის არქივარიუსის თანამდებობაზე, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) მეშვეობით, სამუშაოს აღწერისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნათა მითითებით. კონკურსის ჩატარება სამ ეტაპად განისაზღვრა: ა. განცხადების შერჩევა; ბ. ტესტირება; ბ. გასაუბრება.

5. არქივარიუსის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 19 განაცხადი შევიდა. საკონკურსო კომისიამ, რეზიუმების მიხედვით, კონკურსის შემდეგ ეტაპზე 4 კანდიდატი გადაიყვანა. ტესტირების შედეგების მიხედვით კი, მათგან სამი შემდეგ ეტაპზე – გასაუბრებაზე დაუშვა. ტესტირებაზე მოსარჩელემ 21 ქულა, დანარჩენმა ორმა კანდიდატმა კი – 22 და 17 ქულა მიღეს.

6. 2013 წლის 16 დეკემბრის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის №37 სხდომის ოქმის (შემდეგში: სადავო ოქმი) მიხედვით, კონკურსის მესამე ეტაპს – გასაუბრებას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი; კონკურსზე სამივე კანდიდატი გამოცხადდა, რომელთაგან ერთ-ერთი ვაკანტური თანამდებობისთვის შეირჩა (რომელთანაც შრომითი ხელშეკრულება დაიდო 3.01.2014 წლიდან 31.12.2014 წლის ჩათვლით, აქედან, 01.01.2014 წლიდან 3.04.2014 წლის ჩათვლით – გამოსაცდელი ვადით), ხოლო მოსარჩელეს კომისიამ შრომითი ურთიერთობა 2013 წლის 31 დეკემბრიდან შეუწყვიტა.

7. 2013 წლის 17 დეკემბერს მოსარჩელეს ზეპირსიტყვიერად აცნობეს, ხოლო 2013 წლის 20 დეკემბერს წერილობით შეატყობინეს კონკურსის შედეგი.

8. 2013 წლის 25 დეკემბერს ცენტრის დირექტორმა გამოსცა

(№43/კ) ბრძანება ცენტრის არქივარიუსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ (შემდეგში: სადაცო ბრძანება), რომლითაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არქივარიუსის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სშკ-ის) 37-ე მუხლის მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის (და სხვა აქტების) საფუძველზე, მოსარჩელე თანამდებობიდან გათავისუფლდა 2013 წლის 31 დეკემბრიდან. ამასთან, მოსარჩელეს კომპენსაციის სახით 2 თვის ხელფასი მიეცა და 2013 წლს გამოყენებელი ფასიანი შვებულების დღეებიც აუნაზღაურდა.

9. დასაქმებულმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

9.1. მოპასუხე დანესხებულების საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე კონკურსის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების (№37 ოქმის) ბათილად ცნობა და კონკურსის შედეგების გაუქმება;

9.2. განთავისუფლების შესახებ სადაცო ბრძანების ბათილად ცნობა;

9.3. თანამდებობაზე აღდგენა.

10. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ კონკურსი ჩატარდა კანონის დარღვევით, კერძოდ, დაირღვა „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულება (შემდეგში: პრეზიდენტის ბრძანებულება). კონკურსი ჩატარდა არაობიერქურად და გაუმჯობესებულების კანდიდატის გამოსავლენად უნდა ეხელდვანელა, ასევე, არ შექმნილა პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული საპრეტენზიო კომისია. მოპასუხეს დისკრიმინაციულად მოეცყრნება და გაურკვეველი იყო, რა გახდა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი. ამასთან, კომისიის გადაწყვეტილება მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მისი უფლებამოსილების ფარგლებს სცილდებოდა. მოსარჩელეს სადაცო სხდომის ოქმი არასრულყოფილი სახით, ფრაგმენტულად გადაეცა.

11. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და მიუთითა, რომ კონკურსი გამოცხადდა და ჩატარდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. მოსარჩელე ვერ ასაბუთებს ეჭვს კონკურსის მიკერძოებასთან დაკავ-

შირებით და ვერცერთი მტკიცებულებით ვერ ამტკიცებს, რომ ის მხოლოდ ფორმალურად ჩატარდა. რაც შეეხება სადავო სხდომის ოქმს, იგი მოსარჩელეს სრულყოფილად გადაეცა, და-ფარული იყო მხოლოდ კონკურსანტთა პერსონალური მონაცე-მები. მოსარჩელემ კონკურსზე ვერ გამოავლინა დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები და კვა-ლიფიკაცია. გამარჯვებული კონკურსანტის კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები კი, ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი იყო.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომ-ბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12.1. სასამართლომ კომისიის წევრთა მოწმედ დაკითხვის სა-ფუძველზე მიიჩნია, რომ არქივარიუსის ვაკანტური თანამდე-ბობის დასაკავებელი კონკურსის მესამე ეტაპი – გასაუბრება, დისკრიმინაციის გარეშე, ობიექტურად ჩატარდა. ასევე, მოწ-მეთა ჩვენებების საფუძველზე დაადგინა, რომ მოსარჩელემ გა-საუბრებისას ვერ გამოავლინა მის მიერ დასაკავებელი ვაკან-ტური თანამდებობისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები, იგი თავს არიდებდა დასმულ შეკითხვებზე პირდაპირ პასუხს. ერთ-ერთი კომისიის წევრის ჩვენების მიხედვით, რო-მელიც მოსარჩელის უშუალო ხელმძღვანელი იყო, დასაქმებუ-ლი მუშაობის დროსაც ვერ ავლენდა არქივარიუსისათვის საჭი-რო უნარ-ჩვევებს, რის გამოც სათანადოდ ვერ ასრულებდა და-კისრებულ მოვალეობებს. ამასთან, გასაუბრებისას, მოსარჩე-ლემ ვერ შეძლო იმ საქმიანობის აღნერა, რაც არქივარიუსის მო-ვალეობებში შედიოდა და, რაც წესით, მას ამ თანამდებობაზე მუშაობისას, წლების განმავლობაში, უნდა შეესრულებინა, მა-შინ, როდესაც ერთ-ერთმა კონკურსანტმა შეძლო წარმოეჩინა მოთხოვნილი პროფესიული უნარ-ჩვევები.

12.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ გასაუბრების ეტაპზე, კონკურსი არ იყო საკმარისად გამ-ჭვირვალე, კერძოდ: შეფასების კრიტერიუმები მეტად ნათლად და გასაგებად უნდა განსაზღვრულიყო, ამასთან, სადავო ოქ-მშიც მეტი ინფორმაცია უნდა ასახულიყო გასაუბრების შესა-ხებ, თუმცა კონკურსის შესახებ არსებული მასალის ურთიერ-თშეჯერების საფუძველზე, მოცემული დავის არსის გათვალის-წინებით, სასამართლომ აღნიშნული ხარვეზი არსებითი მნიშ-ვნებლობის მქონედ არ მიიჩნია და დასკვნა, რომ კონკურსი, მათ შორის, მესამე ეტაპი – გასაუბრება, მოქმედი კანონმდებლო-ბის მოთხოვნათა დაცვით ჩატარდა.

12.3. მოსარჩელე 2013 წლის 1 თებერვალს არქივარიუსის თა-ნამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად ვაკან-

სიის კონკურსის წესით შევსებამდე დაინიშნა, შესაბამისად, სა-სამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხებ მოსარჩელესთან შრომი-თი ურთიერთობა სშე-ის მოთხოვნათა დაცვით შეწყვიტა და არ არსებობდა სადავო ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებ-რივი საფუძველი.

12.4. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ის უშუალოდ იყო დაკავშირებული ზემოაღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნებითან და, უსაფუძვლობის გამო, არ დააკმაყოფილა. ამასთან, მიიჩნია, რომ მოთხოვნა, თავისი შინაარსით, არა აღ-დგენა, არამედ სამსახურში მიღება იყო, რადგან, კანონის თა-ნახმად, მას შეეძლო, ემუშავა მხოლოდ ვაკანსიის კონკურსის წესით დაკავებამდე და, მოსარჩელის კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, მასთან გაფორმდებოდა ახალი შრომითი ხელშეკ-რულება.

13. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოთ-ხოვა გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

13.1. აპელანტის მტკიცებით, გასაუბრება კანონის მოთხოვ-ნათა დარღვევით ჩატარდა. პროცესი იყო მიკერძოებული, ვი-ნაიდან არ არსებობდა ნათლად ჩამოყალიბებული კონკურსან-ტის შეფასების, შერჩევის კრიტერიუმები. ამასთან, დასკვნა კონკურსის კანონის შესაბამისად ჩატარების თაობაზე, სასა-მართლომ მიკერძოებული კომისიის წევრების ჩვენებათა სა-ფუძველზე დაადგინა. რაც შეეხება სადავო ოქმს, იგი გასაუბ-რების შესახებ არასაკმარის ინფორმაციას შეიცავდა.

13.2. აპელანტის განმარტებით, სავალდებულო ორგანოს – სააპელატუნიო კომისიის არარსებობამ უაპელაციო გახადა სა-კონკურსო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რამაც მო-სარჩელის უფლებები და კანონიერი ინტერესები შელახა.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებუ-ლი გადაწყვეტილება.

14.1. სააპელაციო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა: საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირვე-ლი და მე-4 პუნქტები; ეკონომიკური, სოციალური და კულტუ-რული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხ-ლი; სშე-ის პირველი და მეორე მუხლები; ამავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი; „საჯარო სამსახუ-

რის „შესახებ“ კანონის 11<sup>1</sup>.1, 30.2 მუხლები.

14.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზირა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და დასკვნა, რომ არ არსებობდა სადავო ოქმის ბათილად ცნობის, კონკურსის შედეგების გაუქმების, 25.12.2013 წლის ბრძანების ბათილად ცნობისა და თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

14.3. რაც შეეხება სააპელაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტს საპრეტენზიო კომისიის არარსებობასთან დაკავშირებით, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს, კონკურსის შედეგების შეტყობინებისას და არც შემდგომ, კონკურსის მესამე ეტაპის და, ზოგადად, კონკურსის შედეგების თაობაზე, საპრეტენზიო წერილით ან/და განცხადებით არ მიუმართავს. ამდენად, დაუსაბუთებელია პეტიციის მსჯელობა საპრეტენზიო კომისიის არარსებობის საფუძვლით მისი კანონიერი ინტერესების დარღვევის შესახებ.

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

15.1. საატესტაციო კომისიის სადავო ოქმი და ცენტრის ბრძანება ურთიერთდაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტებია და ისინი სასამართლომ როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთიანი კონტექსტით უნდა განიხილოს. არც ოქმი და არც ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რატომ ვერ დაიკავა მოსარჩელემ კონკურსის შედეგად თანამდებობა, რატომ მიენიჭა უპირატესობა სხვა კანდიდატს. ოქმში მოცემულია მხოლოდ სარეზოლუციო ხასიათის გადაწყვეტილება, ისიც იმ საკითხზე, რომელიც კომისიის კომპეტენციაში არ შედიოდა. კომისიას უნდა შეეფასებინა კანდიდატები, დაესაბუთებინა ერთ-ერთი მათგანის უპირატესობა დანარჩენთან შედარებით და წარედგინა დასანიშნად. კომისიას არ ჰქონდა უფლებამოსილება, მოსარჩელე სამუშაოდან გაეთავისუფლებინა. შესაბამისად, მთელი ეს პროცესი მოსარჩელისადმი დისკრიმინაციული იყო;

15.2. კონკურსი ჩატარდა პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესების დარღვევით, კერძოდ, დაირღვა ბრძანებულებით დეკლარირებული ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და კოლეგიურობის პრინციპები. მართალია, სასამართლომ დაადგინა რომ კონკურსი არ იყო გამჭვირვალე, თუმცა აღიშნული ხარვეზი არსებითი მნიშვნელო-

ბის მქონედ არ მიიჩნია. კასატორის მტკიცებით, დამსაქმებლის ქმედება თუ უმოქმედობა ეწინააღმდეგება კანონს, რადგან კანონმდებელმა ობიექტურობა და გამჭვირვალობა კონკურსის სამართლიანად ჩატარების უმთავრეს პრინციპებად აღიარა, სასამართლომ კი, ამ პრინციპების დარღვევა არაარსებითად მიიჩნია;

15.3. კანონის დარღვევევა, ასევე, ბრძანებულებით გათვალისწინებული საპრეტენზიო კომისიის შეუქმნელობაც;

15.4. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობა 8 წევრით განისაზღვრა. სადავო სხდომის ოქმის მიხედვით, სხდომას ესწრებოდა და გადაწყვეტილება მიიღო 4 წევრმა. ამდენად, კომისიის სხდომის გახსნისა და გადაწყვეტილების მისაღებად სათანადო კვორუმის (ნევროთა ნახევარზე მეტი) არარსებობის გამო, სხდომა გადაწყვეტილებაუზარიანი არ იყო;

15.5. კანონის თანახმად, საკონკურსო კომისიისა და დამსაქმებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა უნდა დადასტურდეს წერილობითი მტკიცებულებებით – უშუალოდ სადავო აქტებით. მოწმედ დაკითხული კომისიის ნევროთა ჩვენებები, რაიმე ფაქტის დამდგენ მტკიცებულებას არ წარმოადგენს. მოწმეთა ჩვენებები სანდოდ არ უნდა მიჩნეულიყო იმიტომაც, რომ ისინი შრომით ურთიერთობაში იყვნენ პროცესის ერთ-ერთ მხარესთან – მოპასუხესთან. ამასთან, მოსარჩელის უშუალო ხელმძღვანელისა და რეკომენდატორის ჩვენება წარსული საქმიანობის შესახებ, სასამართლოს შინაარსობრივადაც არ უნდა მიეჩნია სანდოდ, მოსარჩელემ სადავო თანამდებობაზე 3 წელი იმუშავა და მოწმის მიერ მითითებული დარღვევების შემთხვევაში, იგი თანამდებობას ასეთი ხანგრძლივი დროით ვერ შეინარჩუნებდა. დასახელებულ პერიოდში მოსარჩელის რაიმე თანამდებობრივი გადაცდომისა და სახდელის დაკისრების დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს. რაც შეეხება მეორე მოწმის ჩვენებას, მან პირიქით აღნიშნა, რომ მოსარჩელე მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური და გამოცდილი იყო, თუმცა სათანადო ვერ გადმოსცა არქივარიუსის მოვალეობები. აქვე საგულისხმოა, რომ მოწმემ სათანადო ვერ დაასაბუთა, თუ რით აიხსნებოდა სხვა კანდიდატის მიერ ზემოხსენებული მახასიათებლის უკეთ წარმოჩენა. სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე სასამართლოს დასკვნა, მხოლოდ მოპასუხესთან სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, კრიტიკას ვერ უძლებს და არასაკმარისია სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნ-

**ველსაყოფად.**

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

17. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

18. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასება-დადგენის თვალსაზრისით კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) ნარმოადგინა.

19. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა იმით გამოიხატა, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), რასაც შედეგად მოჰყვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა საკარისი არგუმენტაციის გარეშე.

20. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის არადამაკმაყოფილებელი შეფასება გახდა, რის საფუძველზეც მოპასუხემ გა-

მოსცა ბრძანება მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, კერძოდ, ცენტრის დირექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის №43/კ ბრძანებით მოსარჩელე თანამდებობიდან გათავისუფლდა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არქივარიუსის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის გათვალისწინებით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების (ოქმი №37), საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის (დასაქმებულის კვალითიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან), 38-ე მუხლის, 21.4 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ 5.1 მუხლის „ბ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლების საფუძველს სშე-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ნარმადგენს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სადავო ბრძანებას საფუძვლად დაედო სისპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 3 აპრილის №102 ბრძანების მიხედვით შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (ოქმი №37). თავად ეს გადაწყვეტილება მიღებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის) 11<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების (თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნა; თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა; კონკურსის გამოცხადება) მოქმედება, აგრეთვე, ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწვეა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემნის დანიშვნის წესისა. საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკონკურსო-საატესტაციო კომისია, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომ-

ლებისათვის კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება ამ კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტით (პრეზიდენტის ბრძანებულებით). აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ გასაჩივრებული საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების (ოქტომბერ №37) კანონიერების შეფასებისას სასამართლო გვერდს ვერ აუკლის ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენებას.

22. საგულისხმოა ისიც, რომ მოცემულ საქმეზე განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას, ადმინისტრაციულ საქმეთა საკასაციო პალატამ მიუთითოთ, რომ დავა კომპლექსურ ხასიათისაა და კერძოსამართლებრივ საკითხებთან ერთად შეიცავს საჯაროსამართლებრივი რეგულაციის ელემენტებს, შესაბამისად, ამ დავის გადაწყვეტისას სასამართლო არ არის შეზღუდული, ადმინისტრაციული კანონმდებლობაც გამოიყენოს. ამავე განჩინებაში, მართალია, საკასაციო პალატა უთითებს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მუშაკი არ არის საჯარო მოსამსახურე, თუმცა ფაქტია, რომ სადაც კონკურსი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის (კონკურსის დროს მოქმედი რედაქციის) მიხედვით, პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად ჩატარდა.

23. პრეზიდენტის ზემოხსენებული ბრძანებულების მიხედვით, კონკურსის მიზანია ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, საუკეთესო კანდიდატი კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების, პროფესიული გამოცდილებისა და მოტივაციის შეფასების შედეგად უნდა შეირჩეს. ამ ამოცანის შესრულებას უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარება პრეზიდენტის ბრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების საფუძველზე. კონკურსის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია გამჭვირვალობა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ კონკურსის ჩატარებისას გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და ალქმადი ყველა პრეტედენტისათვის. მნიშვნელოვანია, ასევე, ობიექტურობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავდეს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

24. კასატორი სწორედ ამ პრინციპების დარღვევაზე მიუთითებს, რასაც საკასაციო პალატაც იზიარებს. კასატორის მოსაზ-

რებით, კონკურსი არ იყო საკმარისად გამჭვირვალე და ვერც სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას გა-მორიცხავდა. საკასაციო პალატას კასატორის ეს პრეტენზია მართებულად მიაჩნია, კერძოდ, პალატა, უპირველესად, აღი-ნიშნავს, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას არ დაუდ-გენია შეფასების კრიტერიუმები კონკურსის მესამე – გასაუბ-რების ეტაპისათვის. შეფასების კრიტერიუმების დადგენა კონ-კურსის (მათ შორის, გასაუბრების ეტაპის) გამჭვირვალედ ჩა-ტარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. ეს პირდაპირ გამომდინარეობს კონკურსის ჩატარების დროს მოქმედი პრე-ზიდენტის ბრძანებულების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან, რო-მელიც კონკურსის გამჭვირვალობის პრინციპის შინაარსს გან-საზღვრავს. ამ პრინციპის შინაარსის გათვალისწინებით, კან-დიდატს უფლება აქვს იცოდეს, თუ რა კრიტერიუმების მიხედ-ვით დადგინდება ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან მი-სი შესაბამისობა. ცხადია, რომ კონკურსის ჩატარებისას გამო-ყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერი-უმები ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი უნდა იყოს კონკურსის ყველა ეტაპზე. ამასთან, ვინაიდან ტესტირე-ბისაგან (წერილობითი გამოცდისაგან) განსხვავებით, გასაუბ-რება ზეპირად ტარდება, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ოქმი სრულად, ნათლად და გასაგებად უნდა ასახავდეს, როგორც სხდომის მიმდინარეო-ბას, ასევე – კომისიის წევრთა მიერ შეჯერებულ მოტივებს, რო-მელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება იმის გარკვევა, თუ რატომ მიენიჭა ამა თუ იმ კანდიდატს უპირატესობა სხვასთან შედარებით. თუ ზემოხსენებული კრიტერიუმები არ არსებობს ან, მათი არსებობის მიუხედავად, გასაუბრების ეტაპის ოქმი არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას კონკურსის შედეგების ობიექ-ტური შეფასებისათვის, ჩატარებული კონკურსის მართლზომი-ერად მიჩნევა შეუძლებელი იქნება.

25. აღნიშნული შეჯელობიდან გამომდინარე, დაუსაბუთე-ბელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ კონკურსის ჩატარების დროს გამჭვირვალობის პრინციპის დარღვევა კონ-კურსის შედეგის გაუქმების საფუძველი ვერ გახდება. გამჭვირ-ვალობის პრინციპის დაცვა იმიტომაცა აუცილებელი, რომ, სა-დავოობისას, კონკურსანტს ჰქონდეს თავისი პოზიციის დაც-ვისა და მისი კანონიერი უფლებების სრულად რეალიზების სა-შუალება, ხოლო, კონკურსის შედეგის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის განხილვისას, საპრეტენზიო კომისიამ, ასევე, სასა-მართლომ შეძლოს ჩატარებული გასაუბრების კანონიერების შე-

ფასება. გამჭვირვალობის პრინციპის მიზანი ისიცაა, რომ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი სადაც რეაქტურის გასაუბრების ეტაპის ამსახველი ერთადერთი მტკიცებულებაა. სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად პასუხობს მითითებული ოქმი გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებით დადგენილ კრიტერიუმებს. ამ თვალსაზრისით, დამატებით უნდა შეფასდეს მოწმედ დაკითხული კომისიის წევრთა ჩვენებები. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მოწმეთაგან ერთ-ერთი სასამართლოში ჩვენების მიცემის დროისათვის, მოპასუხე ცენტრის სტრატეგიული სამსახურის უფროსი იყო, ხოლო მეორეს ამავე ცენტრის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსის თანამდებობა ეკავა. ამდენად, სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს, ორივე მოწმე თავად იმყოფებოდა შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მოპასუხესთან, რის გამოც სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად აკმაყოფილებს მათი ჩვენებები ობიექტურობის კრიტერიუმს (შდრ. სუსგ, №ბს-463-451(კ-13), 18.02.2014წ). ამ თვალსაზრისით მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას, სასამართლომ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მოწმედ დაკითხულ კომისიის წევრებს (ისევე როგორც სხვა წევრებს) შეეძლოთ და ვალდებულიც იყვნენ თავიანთი მოსაზრებები ოქმი აესახათ ობიექტური სურათის შესაქმნელად, რაც არ გაუკეთებიათ. მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტზე საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: მტკიცებულებებს სასამართლო აფასებს ორი თვალსაზრისით: მათი სარწმუნობისა თუ არასარწმუნობის თვალსაზრისით და, ასევე, იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურად, ასევე – ერთობლივად შეფასებას, ამასთან, სასამართლო ვალდებულია, მოწმის ჩვენებაც და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით. აღნიშნული გულისხმობს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულებას, ფიზიკურ მდგომარეობასა და სხვა) განხილვასა და გამორიცხვას, რამაც შეიძლება, გავლენა მოახდინოს მოწმის ჩვენების სისწორეზე (იხ. სუსგ, №ას-889-932-2011, 12.03.2012წ.).

27. საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამარ-

თლომ ყურადღება უნდა მიაქციოს მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებას, კერძოდ, ვინაიდან სადაცოა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერება, რომელსაც საფუძვლად უდევს კონკურსის შედეგები, მოპასუხის მტკიცების ტვირთია ამ კონკურსის პროცესის მართლზომიერების დადასტურება. შრომითსამართლებრივ დავებთან დაკავშირებულ არაერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ასეთი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც, მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. მოსარჩელე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აპრუნებს და დამსაქმებელს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას აკისრებს (შდრ. სუსგ №ას-1276-1216-2014, 18.03.2015; №ას-922-884-2014, 16.04.2015). ამდენად, იმ პირობებში, როდესაც დასაქმებული სამსახურიდან გათავისუფლდა სშე-ის 37-ე მუხლის მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის (დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან) საფუძველზე, დამსაქმებელი ვალდებულია, დაადასტუროს გარემოებები იმის შესახებ, რომ გათავისუფლებული თანამშრომელი ჯეროვნად ვერ ართმევდა თავს ვალდებულებებს და გასაუბრებისთვის დაწესებული მოთხოვნები ვერ დააკავყილა.

28. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას კომისიის სხდომის უფლებაუნარიანობის თაობაზე (პრეზიდენტის ბრძანებულების 7.1 მუხლის მიხედვით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი), საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა და სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა, რომ კომისია 8 წევრისაგან შედგებოდა, თუმცა სასამართლოს აღარ შეუმოწმებია, რამდენი მათგანი ესწრებოდა სხდომას. მართალია, წევრთა კონკრეტულ რაოდენობაზე მოსარჩელე არ მიუთითებდა, თუმცა იმ პირობებში, როცა მოსარჩელე კონკურსის კანონსაწინააღმდეგოდ ჩატარებაზე აპელირებდა და ამტკიცებდა, რომ გადაწყვეტილება გათავისუფლებაზე სწორედ ამის გამო იყო უკანონო, მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა კონკურსის ჩა-

ტარებისა და გადაწყვეტილების კანონის შესაბამისად მიღების შესახებ (იხ. წინამდებარე განჩინების პუნქტი 22). საკასაციო პალატის მოსაზრებით, შეესაბამებოდა თუ არა კონკურსი ფორმალური თვალსაზრისით კანონის მოთხოვნებს, სასამართლოს თავად უნდა გამოერკვია, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ, განსახილველ შემთხვევაში, კონკურსი ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ჩატარდა. მოცემულ საკითხზე მსჯელობისას, საგულისხმოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტება ერთ-ერთ საქმეზე, რომლის მიხედვითაც: გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმა და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრიციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრიციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია (იხ. სუსგ, №ბს-463-451(კ-13), 18.02.2014).

29. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დასაბუთებულობა სათანადოდ არ გამოიკვლია, გადაწყვეტილება გამოიტანა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე. საქმის ხელახალი განხილვისას კონკურსის შედეგების მართლზომიერად და კანონიერად მიჩნევისათვის სააპელაციო სასამართლომ დეტალურად უნდა გამოიკვლიოს მოდავე მხარეთა განმარტებები, მტკიცებულებები, მათ შორის – თითოეული მოწმის პოზიციის დამაჯერებლობა და ისე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა (სსსკ-ის 412.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო, სსსკ-ის 407-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამარ-

თლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

31. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3-ე, 412-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შრომითი ხელშეკრულების შეცვალა შრომითი  
ხელშეკრულების ან შინაგანართის დადგენილ  
ვალდებულებების უხევი დარღვევის გამო**

**განვითარება  
საქართველოს სახელით**

№ას-295-279-2017

19 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-  
დგენა, განაცდურის ანაზღაურება

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. სს „ს-ამ“ (შემდეგში: დამსაქმებელი, საწარმო, მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) 2015 წლის 6 ივნისს უგადო შრომითი ხელშეკრულებები (კონტრაქტები) გააფორმა ნ. ტ-სა (შემდეგ-

ში: პირველი მოსარჩელე ან პირველი დასაქმებული) და მ. მ-ეს-თან (შემდეგში: მეორე მოსარჩელე ან მეორე დასაქმებული). ხელშეკრულებების თანახმად მოსარჩელეები მიღებულ იქნენ დამსაქმებლის შიდა ქართლის რეგიონალურ ქსელში ელექტრო-გადამცემი ხაზების (ე.გ.ხ.) საექსპლუატაციო ბრიგადის მე-2 კა-ტეგორიის მემაღლივებად; ყოველთვიური შრომის ანაზღაუ-რება განესაზღვრათ 750 (შვიდას ორმოცდათი) ლარით (იხ. შრო-მითი ხელშეკრულებები).

2. დამსაქმებლის მმართველთა საბჭოს წევრის მიერ დამტკი-ცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაოს აღწერის) თანახმად, მე-2 კატეგორიის მემაღლივე ასრულებს ეგბ-ების, მათი განშტოებების, გადაბმების, დამინების კონტურის ტექ-ნიკურ მომსახურეობას; მეტალური და რკინა-ბეტონის ანძების ტრავესრების შემოწმებას კოროზიაზე, მათ განმენდას კორო-ზისგან და შელებვას; იზოლატორების და სახაზო არმატურის შემოწმებას და შეცვლას; ე.გ.ბ.-ების ტრასების განმენდას მწვა-ნე ნარგავებისგან; გამტარების ჭანჭიკური შეერთების შემოწ-მებას და აღდგენას; ხაზების მაღლივ დათვალიერებას და სხვა საექსპლუატაციო-პროფილაქტიკურ სამუშაოებს; მუშაობაში ხელმძღვანელობს ტექნიკური ექსპლუატაციის, უსაფრთხოე-ბის ტექნიკის, სახანძრო უსაფრთხოებისა და ელ. დანადგართა მოწყობილობის წესებით, დაზარალებულთა პირველადი დახ-მარებით, ეგბ-ის ექსპლუატაციის ინსტრუქციებით და ასრუ-ლებს იმ სამუშაოებს, რომელთა შესრულებაც გათვალისწინე-ბულია განაწესით ან განკარგულებით, უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა მიხედვით. ამასთან, ახორციელებს რეგიონალუ-რი ქსელის საქმიანობის შესახებ დებულებით გათვალისწინე-ბულ უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში (იხ. 5.4., 5.5., 5.6. პუნქტები). დასაქმებულთა მიერ შესასრულე-ბელი სამუშაოები ასევე გაწერილია მათთან გაფორმებულ შრო-მით ხელშეკრულებებში.

3. დამსაქმებლის 2015 წლის 1 სექტემბრის №20712 სამსა-ხურებრივი ბარათის თანახმად, დასაქმებულებს 2015 წლის 1 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით გაუფორმდათ მივლი-ნება 220კვ. ელექტროგადამცემი ხაზის „ხორგა-1,2“-ის გაორ-ჯაჭვიანების პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით; აღნიშნული მივლინება 2015 წლის 10 სექ-ტემბრის №21528 სამსახურებრივი ბარათით მათ გაუგრძელ-დათ 10 (ათი) დღით – 2015 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით;

4. მოპასუხის 2015 წლის 28 სექტემბრის №08/კ-პ ბრძანების მიხედვით, დამსაქმებლის 220 კვ.-იანი ელექტროგადამცემი ხა-

ზი „ხორგა-1,2“-ის გაორჯაჭვიანების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დროს შიდა ქართლის რეგიონალური ქსელის ელექტროგადამცემი ხაზების საექსპლუატაციო ბრიგადის თანამშრომლების მხრიდან დაფიქსირდა დისკიპლინური გადაცდომის ფაქტები – სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, სამუშაო საათების გაცდენა ხელმძღვანელი პირის ნებართვის გარეშე. კერძოდ, მოსარჩევები ხშირად აგვიანებდნენ სამუშაო ადგილზე, არაკეთილსინდისიერად და ზერელედ ასრულებდნენ ანძების მონტაჟის სამუშაოებს, რაც აფერხებდა სამუშაოების დროულ და გეგმიურ შესრულებას. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დასაქმებულები გადაყვანილი იყვნენ უფრო ნაკლები სირთულის სამუშაოებზე. მიუხედავად ამისა, ისინი 19 სექტემბერს თვითნებურად არ გამოცხადდნენ სამუშაო ადგილზე, რის გამოც მათ შეუწყდათ მივლინება და დაბრუნდნენ შიდა ქართლის რეგიონალური ქსელის ოფისში.

5. შრომითი ხელშეკრულებების 4.3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნების, თანამდებობრივი ინსტრუქციის 5.7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს შრომის კოდექსის“ (შემდეგში: სშ) 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული იქნა ბრძანება (შემდეგში: სადავო ბრძანება) №08/კ-პ დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ; მითითებული ბრძანების მიღების საფუძველი გახდა ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციის სამსახურის უფროსის ვ.კ-ას 2015 წლის 25 სექტემბრის წერილი და ექსპლუატაციის დეპარტამენტის უფროსის ზ. პ-ას №22629 მოხსენებითი ბარათი.

## 6. სარჩელის საფუძვლები

6.1. დასაქმებულებები 2015 წლის 23 ოქტომბერს სარჩელი აღძრეს დამსაქმებლის წინააღმდეგ და მოითხოვეს ამ განჩინების მე-5 პუნქტში მითითებული ბრძანების ბათილად ცნობა, პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის სახით მიყენებული ზიანის, 2015 წლის 28 სექტემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველთვიური ხელფასის – 750 ლარის ანაზღაურება.

6.2. მოსარჩელების მითითებით, ამ განჩინების მე-3 პუნქტში აღნიშნული სამუშაოს შესრულების პერიოდში, 2015 წლის 19 სექტემბერს დილით, მათ დაუკავშირდათ უშუალო ხელმძღვანელი ვ. კ-ა, რომელმაც მათ უთხრა, რომ ღამით ორივეს უნდა ედარაჯათ ტყეში დროებით განთავსებული დანადგარი-

სათვის და დღის განმავლობაში დაესვენათ. შემდეგ დააზუსტეს და დაავალეს, რომ ერთ საღამოს ერთი-ერთი მათგანი დაიცავდა ობიექტს, მეორე საღამოს – მეორე, რასაც დასაქმებულები არ დაეთანხმნენ.

6.3. მოსარჩელეთა განმარტებით, შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის ბრძანებაში მითითებული არგუმენტები არასწორია (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი), მათი მხრიდან შრომითი ხელშეკრულების დარღვევას და დისციპლინურ გადაცდომას ადგილი არ ჰქონია, ასევე უსაფუძვლოა მითითება სამუშაოზე დაგვიანების შესახებ, რადგან მივლინებაში ყოფნის პერიოდში ობიექტზე მთელი ბრიგადა გადიოდა ერთად სამსახურის ავტომანქანით.

## 7. მოპასუხის შესაგებელი

7.1. დამსაქმებელმა არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელებმა დაარღვიეს სანარმოს შინაგანანესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ 2008 წლის 11 ივლისის № 138 ბრძანებით დამტკიცებული წესები, რაც დასტურდება საქმეში წარდგენილი მოხსენებითი ბარათებით, ასევე დაირღვა მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები, რის გამოც სარჩელი უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

## 8. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიის 2016 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით დასაქმებულების სარჩელი დაკმაყოფილდა:

8.1.1. ბათილად იქნა ცნობილი სანარმოს რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის 2015 წლის 28 სექტემბრის №08/კ-შ ბრძანება მოსარჩელეებთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ;

8.1.2. დასაქმებულების აღდგენილი იქნენ შიდა ქართლის რეგიონალური ქსელის ელექტროგადამცემი ხაზების საექსპლუატაციო ბრიგადის მე-2 კატეგორიის მემაღლივის თანამდებობაზე;

8.1.3. დამსაქმებელს დასაქმებულების სასარგებლოდ დაეკისრა, იძულებითი განაცდურის სახით, თითოეულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება 2015 წლის 28 სექტემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველთვიური ხელფასი – 750-750 (შვიდას ორმოცდათი) ლარი.

8.2. მოსარჩელეებთან ერთად დასაქმებულმა პირებმა: გ. ბ-მა, პ. მ-ემ, კ. ლ-ემ, ი. მ-ემ და ვ. ფ-მა საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას განაცხადეს, რომ მივლინების პე-

რიოდში ობიექტებზე გასვლა ხდებოდა ერთდროულად სამსახურის ავტომანქანით და ობიექტზე დაგვიანება ფიზიკურად შეუძლებელი იყო. მოსარჩელეთა მხრიდან სამუშაოს ზერელე და არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით არავისგან გაუგიათ და ასეთ ინფორმაციას არ ფლობდნენ.

8.3. სასამართლო სხდომაზე მოწმისა სახით დაკითხული ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციის სამსახურის უფროსის ვ. კ-ას განმარტების მიხედვით, მოსარჩელეები ნაკლებად იყვნენ დატვირთული სამუშაოებით, დარჩენილი იყო ორი დღე სამუშაოების დასამთავრებლად, მან დაავალა დასაქმებულებს, დღისით დაესვენათ და ღამით ემორიგევათ, სამუშაო ადგილზე დარჩენილი სანარმოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების დასაცავად, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხდნენ, ხოლო საღამოს, როდესაც ავტომანქანა გაუგზავნა ობიექტზე წასასვლელად, დასაქმებულებმა უარი განცხადეს და უთხრეს, რომ იარაღის გარეშე ღამით არ დაიცავდნენ ობიექტს. ტერიტორია, რომელიც მოსარჩელებს უნდა დაეცვათ არ მდებარეობდა შორს მოსახლეობიდან. მოწმემ მიუთითა, რომ სახლიდან ობიექტამდე თანამშრომლები გადაადგილდებოდნენ ერთად სამსახურებრივი ავტომანქანით, მაგრამ ახსოვს ერთი შემთხვევა, როდესაც თავისი ავტომანქანით წაიყვანა მოსარჩელეები, რადგან დილის 11 საათზე არ იყვნენ გამოცხადებული ადგილზე, ამასთან, ბრიგადირიც გამოთქვამდა უკმაყოფილებას მოსარჩელეთა მოქმედებებთან დაკავშირებით.

8.4. საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებსა და მოწმეთა განმარტებებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ მივლინების პერიოდში ბრიგადის წევრების და მათ შორის მოსარჩელეთა გადაადგილება სახლიდან სამუშაო ადგილამდე ხდებოდა ერთად, სამსახურებრივი ავტომანქანით და ობიექტზე დაგვიანება (ხშირი დაგვიანება) მხოლოდ მოსარჩელეთა მხრიდან გამორიცხული იყო. ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციის საშასხურის უფროსის ვ. კ-ას 2015 წლის 25 სექტემბრის წერილში მითითებული გარემოებები სასამართლოს სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა განმარტებებით არ დადასტურდა. თავად ვ. კ-ას წვენებით დადგინდა, რომ სამუშაოების დასრულებამდე დარჩენილი იყო ორი დღე, მოსარჩელეები ნაკლებად იყვნენ დატვირთული და ამიტომ დაავალა ღამით მორიგეობა, რაც არ ადასტურებდა სამუშაოების შეფერხებას, დროულ და გეგმიურ შეუსრულებლობას, ასევე არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მოსარჩელეები დისციპლინური გადაცდომის გამო გადაიყვანეს ნაკლები დატვირთვის სამუშაოზე – ობიექტის და-

საცავად, რაც ასახულია მოხსენებით ბარათსა და გასაჩივრებულ ბრძანებაში.

8.5. საქალაქო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სშკ-ის მე-2, მე-11, 32-ე, 35-ე, 37-ე, 38-ე, 44-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 408-ე, 411-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4, 102-ე მუხლები და საწარმოში დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, დასაქმებულის ნინანდელი შრომითი საქმიანობა და ყოფაქცევა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შესაბამისობა ჩადენილი გადაცდომის სიმძიმესთან.

8.6. შრომითსამართლებრივ დავაში დამსაქმებელს აწევს მტკიცების ტვირთი, მან უნდა ამტკიცოს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ დასაქმებულების მიმართ საწარმოში დისციპლინური პასუხისმგებლობის წესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა გამოყენებული არ ყოფილა.

8.7. სშკ-ის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუ შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რომელიმე არსებით პირობას, ასეთი პირობის განსაზღვრა შესაძლებელია დასაქმებულის თანხმობით. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეები შეთანხმდნენ ორივე დასაქმებულის ერთდროულად მორიგობაზე. ვ. კ-ას დავალებით დასაქმებულებს დამით ობიექტი ცალ-ცალკე უნდა დაეცვათ, რის გამოც მათ უარი განაცხადეს სამუშაოს შესრულებაზე. სხვა სამუშაო ადგილზე განთავსებულ სატრანსპორტო საშუალებებს იცავდა დაცვის პოლიციის ორ-ორი შეიარაღებული თანამშრომელი და შესაბამისად, თითოეული მოსარჩელისათვის ასეთი სახის სამუშაოს მარტო შესრულების დავალება, არ გამომდინარეობდა სშკ-ს 35-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან, რომლის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. ამასთან, მითითებული დავალების შესრულება არ ევალებოდათ მოსარჩელეებს, ვინაიდან შრომითი ხელშეკრულების და საწარმოს მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინ-

სტრუქციის (სამუშაოს აღწერის) მიხედვით, ღამით ობიექტის დაცვა არ შედიოდა მოსარჩელეთა ვალდებულებაში (იხ. ამ გან-ჩინების მე-2 პუნქტი).

8.8. ამ განჩინების 8.2-8.7 ქვეპუნქტებში მოცემული ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობის საფუძველზე საქალაქო სა-სამართლომ ბათილად ცნო დასაქმებულების სამსახურიდან გა-თავისუფლების შესახებ ბრძანება, რამაც, სშკ-ს 32-ე, 35-ე, 44-ე და სსკ-ის 408-ე, 411-ე მუხლებზე დაყრდნობით, დასაქმე-ბულთა სამსახურში აღდგენა და დამსაქმებლისათვის მათ სა-სარგებლოდ გათავისუფლებიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველთვიური ხელფასის დაკისრება განა-პირობა.

#### **9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 ივნი-სის განჩინება**

9.1. სსსკ-ის 268-ე მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახ-მად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივნისის განჩინებით ამავე სასამართლოს 2016 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსას-რულებლად იქნა გადაცემული, სადაც ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და სამი თვის ხელფასის ანაზ-ლაურების ნაწილში.

#### **10. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი**

10.1. მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება, მათი გაუქმე-ბის, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკამაყოფი-ლებასა და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებ-ლად გადაცემაზე უარის თქმის მოთხოვნით.

10.2. აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობა ურთიერთგამომრიც-ხველი იყო, რადგან დადგენილად იყო მიჩნეული, რომ დასაქმე-ბულები სამსახურებრივ მოვალეობებს არაკეთილსინდისიერად და ზერელედ ასრულებდნენ, ასევე, უდავოდ ჩათვალა ის, რომ მოსარჩელები სამსახურებრივ მოვალეობებს ჯეროვნად და დარღვევების გარეშე ასრულებდნენ.

10.3. აპელანტმა ამ განჩინების 3-5 ქვეპუნქტებში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით აღნიშნა, რომ გასაჩივ-რებული გადაწყვეტილებით არასწორად იყო შეფასებული მოწ-მეთა ჩვენებები.

10.4. აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 ივნისის განჩინება უკანონო იყო და უნდა გაუქმებული-ყო, რადგან საქალაქო სასამართლოს მოსარჩელეებისათვის გა-

დაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა უნდა მოეთხოვა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არ ევალებოდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ განცხადების ზეპირი მოსმენით განხილვა, განსახილველ შემთხვევაში მხარეთა მონაწილეობით უნდა განხილო აღნიშნული განცხადება და არ უნდა დაეკმაყოფილებინა იგი.

## **11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება**

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 დეკემბრის განჩინებით არ დაკამაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, შესაბამისად, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11.2. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით სადავო ბრძანების საფუძვლად მითითებული ფაქტების დასადასტურებლად მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია სათანადო (სარწმუნო) მტკიცებულებები იმ პირობებში, როდესაც ამ ტიპის დავებში სადავო ბრძანების კანონიერების მტკიცების ტვირთი სწორედ დამსაქმებელს ეკისრება.

11.3. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლზე, ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, სშე-ის 11.2-ე, 44-ე მუხლებზე, სსკ-ის 408-ე, 409-ე, 411-ე მუხლებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ამ განჩინების 8.4-8.8 ქვეპუნქტებში მოცემული ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობა და მიზნია, რომ დამსაქმებელმა ვერ შეძლო, დაემტკიცებინა ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენების მართლზომიერება.

11.4. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემასთან დაკავშირებით აპელანტის პრეტენზიაზე სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული პრეტენზია კერძო საჩივრისათვის დადგენილი წესით იქნა განხილული სასამართლოს ზეპირ მოსმენაზე და იგი არ დაკამაყოფილდა, რადგან სსკ-ის 268-ე მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულია სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და სამი თვის ხელფასის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესაძლებლობა.

## **12. დამსაქმებლის საკასაციო საჩივარი**

12.1. დამსაქმებელმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილე-

ბაზე უარის თქმა შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გა-  
რემონტებისა და სააპელაციო პრეტენზიების იდენტურ გარე-  
მოებებზე დაყრდნობით.

### 13. საკასაციო სამართალნარმოების ეტაპი

13.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-  
ტის 2017 წლის 6 მარტის განჩინებით დამსაქმებლის საკასაციო  
განაცხადი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის სა-  
ფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამონმებლად. ამა-  
ვე განჩინებით კასატორს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის – 2  
700 ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მი-  
ღებამდე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულე-  
ბათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იუ-  
რიდიული დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მივიდა  
დასკენიდე, რომ სანარმოს საკასაციო განაცხადი არ აქმაყო-  
ფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშ-  
ვებელია შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, სა-  
კასაციო საჩივრი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში და-  
საშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს  
სამართლებრივ პროცედურას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შე-  
უწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამარ-  
თლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სა-  
სამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწ-  
ყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შე-  
დეგად მოცემულ საქმეზე საგარაუდოა მსგავს სამართლებრივ  
საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-  
სებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მი-  
ღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გან-  
სხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს  
უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე)  
სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/  
და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვე-  
ვით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის  
შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწი-  
ნააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფ-  
ლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და  
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენ-  
ტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამარ-

თლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება და-უსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობა-ზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

15. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სა-სამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვე-ტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედ-ველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირვე-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხ-ლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალ-დებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ კასატორს არ წარმო-უდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საშუა-ლებას მისცემდა სასამართლოს, არსებითად განსახილველად დაეშვა საკასაციო განაცხადი.

16. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოხსენებული საფუძვლით.

17. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სა-სამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპე-ლაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავ-დება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქ-ტიკისაგან.

18. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მი-აჩინია, რომ მტკიცების ტვირთი სწორად გადანაწილდა მხარე-ებს შორის (იხ. ნინამდებარე განჩინების 8.6-8.7 ქვეპუნქტები) სწორედ იმ სპეციფიკურობის გათვალისწინებით, რაც ახასია-თებს შრომითსამართლებრივ ურთიერთობას. განსახილველ და-ვაში დაცულია კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის კონ-სტიტუციური პრინციპი, რაც სამართალწარმოებისას უზუნ-ველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის (სსსკ-ის მე-4-5 მუხლები) საფუძველზე დავის განხილვასა და გადაწყვეტას.

19. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დამსაქმებლის

## **პრეტენზიებს, რომ:**

19.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეთა ჩვენებები, რადგან არც ერთ მოწმეს არ დაუდასტურებია დასაქმებულთა მხრიდან სამუშაოზე დაგვიანებისა და სამუშაოს არაკეთილსინდისიერად შესრულების ფაქტი. აღნიშნულის დამტკიცება ვერც დამსაქმებელმა შეძლო მის მიერ ნარდგენილი მტკიცებულებებით;

19.2. დასაქმებულები შედარებით მარტივ სამუშაოზე იმ მიზეზით გადაიყვანეს, რომ ისინი თავიანთი არაკეთილსინდისიერი და ზერულებული მუშაობით სამუშაო პროცესს აფერხებდნენ, რაც ასევე, არც მოწმეთა ჩვენებებით და არც სხვა მტკიცებულებით არ დადასტურდა;

19.3. კასატორის პრეტენზიის თაობაზე, რომ თუ დასაქმებულები ობიექტის დასაცავად ღამით მორიგეობაზე უარს ამბობდნენ, მათ მთელი დღე არ უნდა დაესვენათ, საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელეთა განმარტების, მოწმეთა ჩვენებებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ დასაქმებულები 2015 წლის 19 სექტემბერს დღის განმავლობაში უფროსის – ვ. კ-ას ბრძანებით არ გამოცხადდნენ სამუშაოდ, ხოლო ღამით მორიგეობაზე უარი განაცხადეს იმ საფუძვლით, რომ დასაცავი ობიექტი დაუსახლებელ ადგილას მდებარეობდა და მათ ცალ-ცალკე უნდა ემორიგევათ. მსგავს პირობებში არსებულ ობიექტებს დაცვის პოლიციის ორ-ორი შეიარაღებული თანამშრომელი იცავდა. დასაქმებულები კი ცალ-ცალკე და შეუიარაღებლად დაუსახლებელ ტერიტორიაზე მდებარე ობიექტის დაცვას ვერ შეძლებდნენ, რაც ისედაც არ შედიოდა მათ სამსახურებრივ მოვალეობებში (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი). დამსაქმებელმა ვერ შეძლო დასაქმებულთა ამ განმარტების გაქარწყლება ვერც ერთი მის მიერ ნარდგენილი მტკიცებულებით, რამაც საკასაციო სასამართლოს გაუმყარა შინაგანი რწმენა სადაც ბრძანების არაკანონიერებასა და მისი გაუქმების დასაბუთებულობაზე;

19.4. კასატორის პრეტენზიას, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა დასაქმებულთა მიერ სამუშაოზე გამოუცხადებლობა დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნიეს და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს მას, არ იზიარებს საკასაციო სასამართლო და ამის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას მოიხმობს: „შრომით სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას აქვს პრიორიტეტი მის რღვევასთან შედარებით. შესაბამისად, მართალია, შრომის კოდექ-

სის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი მუშაკის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევაცაა, თუმცა, ნიშანდობლივია, დასაქმებულთა შრომის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ პრინციპი, რომლის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მისი ჩადენის სიხშირის, სომძიმის და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, შრომის სამართალში „Ultima Ratio“-ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაცდომას) და გათავისუფლებას, შორის ზომიერი ბალანსის დაცულობა. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოსახორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაქ უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშენონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის” (იხ. სუსკ №ას-416-399-2016, 29.06.2016.)

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა საქმისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა გარემოება და დადგენილ ფაქტებს მართებული იურიდიული კვალიფიკაცია მისცა. კასატორს არ წარუდგენია არც ერთი არგუმენტი, დასაბუთებული შედავება, თუ რა საფუძვლით უნდა იქნეს დასაშვებად ცნობილი წარმოდგენილი საკასაციო განაცხადი.

21. საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლობის მსჯელობასა და დასკვნებს დამსაქმებლის მიერ გამოცემული ბრძანების არამართლზომიერებისა და იურიდიული დაუსაბუთებულობის შესახებ. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის მართლზომიერებასთან დაკავშირებით (იხ. ამ განჩინების 11.4 ქვეპუნქტი).

22. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო

სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დაუსაბუთებულობა ყოველმხრივ და ობიექტიურად გამოიკვლია, შესაბამისად, გადაწყვეტილება გამოიტანა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში და შრომითსამართლებრივ დავებზე დადგინდილი მტკიცების ტყირთის განაწილების საფუძველზე, რაც გასაჩივრებული განჩინების კანონიერებაზე მიუთითებს.

23. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლებების დაცვა იყო, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შრომის სამართალი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ე.ნ. „favor prestatoris“ პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლის და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წინასწორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტში“ (იხ. სუსგ № ას-941-891-2015, 29.01.2016; შდრ. საქმე № 1124-1080-2016, 10.03.2017).

24. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სამართლიანობის, კანონიერებისა და მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპების, შრომითი დავის განხილვისას მხარეთა შორის თანაზომიერი ბალანსის დაცვის, გათვალისწინებით, დასაბუთებულია და კანონიერი.

25. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ვინაიდან, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და კასატორს გადავადებული ჰქონდა სახელმწიფო ბაჟის – 2 700 ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2 700 ლარის 30%-ის – 810 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. სს „ს-ას“ (ს/კ 2..) დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 6 მარტის განჩინებით (საქმე №ას-295-279-2017) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 2 700 ლარის 30%-ის 810 ლარის გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **შრომითი ხელშეკრულების შეცვალა შრომითი ხელშეკრულების ან შინაგანანერთის უხევად დარღვევის გამო**

### **განვითარება საქართველოს სახალით**

№ას-333-312-2017

30 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
პ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. ზ. ხ-ე (შემდეგში – დასაქმებული, მოსარჩევე ან პირველი აპელანტი), 2011 წლიდან 2016 წლის 12 იანვრამდე, შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის ბაგაბაღების გაერთიანების“ (შემდეგში – დამსაქმებელი, ბაგა-ბაღების გაერთიანება, მოპასუხე, მეორე აპელანტი ან კასატორი) დირექტორის წარმომადგენლის თანამდებობაზე №1 და №10

ბაგა-ბალებში მუშაობდა (იხ. შრომითი ხელშეკრულებები; საქართველოს ორგანული კანონის – საქართველოს შრომის კოდექსის, შემდეგში სპკ, მე-6 მუხლი).

2. შრომითი ხელშეკრულების მესამე მუხლის თანახმად, დირექტორის წარმომადგენელი ანგარიშვალდებული იყო გაერთიანების დირექტორის წინაშე. ამ უკანასკნელს წარმომადგენელი ანცდიდა ინფორმაციას ფილიალში არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ, ახორციელებდა ფილიალის თანამშრომელთა მხრიდან შინაგანაწესის შესრულების მონიტორინგს, უზრუნველყოფდა გაერთიანების ადმინისტრაციისა და ფილიალის კოორდინირებულ მუშაობას, აღმზრდელობით-საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობას და სხვა.

3. 2015 წლის 11 დეკემბერს ბაგა-ბალების თანამშრომლებმა, მათ შორის №1 ფილიალმაც, გამოაცხადეს გაფიცვა, არ მიიღეს აღსაზრდელები და ჩაშალეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

3.1. ბაგა-ბალების გაერთიანების დირექციამ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა გაფიცვის მონაწილე პირთა წინააღმდეგ და გაფიცვის უკანონოდ ცნობა და გაფიცვის შედეგად მოპასუხე ინგრანიზაციისთვის მიყენებული ზიანის (894,81ლარის) ანაზღაურება მოითხოვა.

3.2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 22 მარტის განჩინებით აღნიშნულ საქმეზე საქმისნარმოება შეწყდა მორიგების აქტის საფუძველზე. დადგინდა, რომ გაერთიანებამ გაფიცვაში მონაწილე პირებს დაუქვითა 1 დღის ხელფასი, რის შედეგადაც დაიფარა მის მიერ მოთხოვნილი ზიანის ნაწილი – 184,28 ლარი, ხოლო დარჩენილი ზიანის – 279,73 ლარის ანაზღაურებაზე დამსაქმებელმა უარი თქვა. მანვე უარი განაცხადა დასაქმებულთა წინააღმდეგ დისკიპლინური ღონისძიებების გატარებაზე.

4. ბაგა-ბალების გაერთიანების დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის №84 ბრძანებით, შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის გამო, ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებულ დასაქმებულს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და გათავისუფლდა №1 ფილიალში დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძვლად მოპასუხემ მიუთითა გაერთიანების წესდების მესამე მუხლის მეხუთე პუნქტის „ე“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, სპკ-ის 34-ე მუხლსა და 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე. კერძოდ, ბრძანებაში აღნიშნულია, რომ დასაქმებულმა უხეშად და-

არღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და არ შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობები, დროულად არ შეატყობინა გაერთიანების ხელმძღვანელობას ფილიალის თანამშრომელთა მხრიდან მოსალოდნელი ქმედებების (გაფიცვის ორგანიზება და მასში მონაწილეობა) შესახებ, რითაც ხელი შეუწყო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ჩაშლას (იხ. 2016 წლის 12 იანვრის №84 ბრძანება).

### **5. სარჩელის საფუძვლები:**

5.1. დასაქმებულმა 2016 წლის 1 თებერვალს სარჩელი აღდრა დამსაქმებლის წინააღმდეგ და მოითხოვა:

5.1.1. ბაგა-ბალების გაერთიანების დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის №84 ბრძანების ბათილად ცნობა;

5.1.2. თანამდებობაზე აღდგენა, ან მისი ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფა;

5.1.3. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება – 2016 წლის 12 იანვრიდან მისი თანამდებობაზე აღდგენის დღემდე, სრული ოდენობით, თვეში 384 (სამსა თოხმოცდაოთხი) ლარის (ხელზე ასაღები თანხა) ოდენობით.

5.1.4. გამოყენებული შვებულების ანაზღაურება 24 სამუშაო დღის ოდენობით;

5.1.5. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა.

5.2. მოსარჩელემ წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით განმარტა, რომ მას გავლილი აქვს დირექტორების კვალიფიკაციის შესამონებელი ყველა ტესტირება, 2011 წლიდან 2016 წლამდე მის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა. მიუხედავად ამისა, მოპასუხებ ის გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან სშე-ის 37.1-ე მუხლი „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც შრომითი ხელშეკრულების ან შინაგანაწესის უხეშ დარღვევას გულისხმობს, რაც დაუსაბუთებელია.

### **6. მოპასუხის შესაგებელი:**

6.1. მოპასუხებ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, მიუთითა წინამდებარე განჩინების მე-2 და მე-3 პუნქტებში აღწერილ გარემოებებზე და განმარტა, რომ მოსარჩელემ უხეშად დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და არ შეასრულა სამსახურეობრივი მოვალეობები; დროულად არ შეატყობინა გაერთიანების ხელმძღვანელობას მოსალოდნელი გაფიცვის შესახებ, რითაც ხელი შეუწყო უკანონო გაფიცვის მოწყობას, რამაც სასწავლო-სააღმზრდელო

პროცესის ჩაშლა გამოიწვია და ბაგა-ბალების გაერთიანებას ზიანი მიაყენა. ყოველივე აღნიშნული საფუძვლად დაედო დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულისათვის შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას.

### **7. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

7.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

7.1.1. ბათილად იქნა ცნობილი ბაგა-ბალების გაერთიანების დირექტორის 2016 წლის 12 იანვრის №84 ბრძანება მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;

7.1.2. მოსარჩელეს უარი ეთქვა თანამდებობაზე აღდგენის ან ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე;

7.1.3. მოპასუხეს დაეგალა მოსარჩელისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2016 წლის 12 იანვრიდან იმავე წლის 1 სექტემბრამდე – თვეში 384 ლარის ოდენბით; აგრეთვე – გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება 24 სამუშაო დღის ოდენბით;

7.2. სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიკვლია და დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განახინების 1-5 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებანი და დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და 30-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 54-ე, 115-ე, 408-ე, 411-ე, მუხლები, სშკ-ის მე-2, 21-ე, 22-ე, 26-ე, 32-ე, 37-ე, 38-ე, 44-ე მუხლები, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-8, 53-ე, 55-ე, 243-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე-367-ე, 369-ე მუხლები და განმარტა:

7.2.1. სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, საქმის განხილველმა სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა შესაძლებელია მხოლოდ დასაქმებულის გათავისუფლების თაობაზე გამოცემულ ბრძანებაში მითითებული საფუძვლების კვლევის შედეგად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მასზე დაკისრებული ვალდებულებები უხეშად არ დაურღვევია და არ არსებობდა მისი სამსახურიდან გათავისუფლებისათვის სშკ-ის 37-ე მუხლის „გ“

ქვეპუნქტით დადგენილი წინაპირობები. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბაგა-ბალების გაერთიანების დირექტორისათვის დილიდავე იყო ცნობილი, რომ ბალები გაიფიცებოდნენ, მაგრამ არაფერი მოიმოქმედა გაფიცული თანამშრომლების რეზერვში რიცხული თანამშრომლებით ჩასანაცვლებლად. შესაბამისად, გაერთიანების ხელმძღვანელობის უმოქმედობამ ხელი შეუწყო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ჩაშლას. ამდენად, მოსარჩელის მიერ სამსახურში მისვლისთანავე ბაგა-ბალების გაერთიანებისათვის ინფორმაციის მიწოდება არსებითად ვერაფერს შეცვლიდა, რადგან დამსაქმებელმა დილიდანვე იცოდა, რომ ბალები გაიფიცებოდნენ,

7.2.2. სასამართლომ განმარტა, რომ დამსაქმებელი კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას უფლებამოსილია, რომ შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა, აღნიშნული უფლება უნდა განხორციელდეს ჯეროვნად, კანონით გათვალისწინებული დანაწესის ზუსტი დაცვით და ისე, რომ არ მოხდეს უფლების ბოროტად გამოყენება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ Ultima Ratio-ს პრინციპის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათვალისწინებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, მის მიერ ჩადენილი გადაცდომის (დარღვევის) ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერი საფუძველი არა მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა „უბრალოდ დარღვევაა“, არამედ – მითითებულ ვალდებულებათა „უხეში დარღვევა“.

7.2.3. სშე-ის 32.1-ე მუხლის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს, დასაქმებულს შრომის ახაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სასა-

მართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელისათვის მოპასუხის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის – განაცდური ხელფასის სრულად ანაზღაურება და მოპასუხისათვის მისი გადახდის დაკისრება. სასამართლომ ასევე მიუთითა სშკ-ის 21-ე მუხლის მეოთხე ნაწილზე, რომლის მიხედვით, ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ-თ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შენყვეტისას, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად.

7.2.4. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის ან მისი ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფის შესახებ, სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან 2016 წლის 1 სექტემბერს გავიდა მოსარჩელესთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელი იყო და ამ ნაწილში მოთხოვნა უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

7.2.5. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებასთან დაკაშირებით სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო სამართალწარმოებაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ-ის 102-ე მუხლი). შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. მოსარჩელე (დასაქმებული), რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს დამსაქმებლის მხარეს, რომელსაც აკისრებს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს შემდეგი ძირეული პრინციპიდან, კერძოდ, დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა შრომითი მოვალეობები დაარღვია, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა, ვიდრე დასაქმებული, რომელიც

ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას იმაზე, რომ იგი ვალიდებულებას ჯეროვნად ასრულებდა (იხ. სუსგ №ას-415-395-2015, 10.06.2015წ.).

7.2.6. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ნაწილობრივ შეძლო დაემტკიცებინა სარჩელის საფუძვლიანობა. ხოლო, თავის მხრივ, მოპასუხებ სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა მოსარჩელის მიერ ამ უკანასაკულისათვის დაკისრებული ვალიდებულებების უხეშად დარღვევის ფაქტი, შესაბამისად, ვერ შეძლო დაესაბუთებინა და დაემტკიცებინა სარჩელის უსაფუძვლობა და დაუსაბუთებლობა.

#### **8. მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები**

8.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მოსარჩელემ, ასევე – მოპასუხემ.

8.2. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუქმაყოფილებულ ნაწილში და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

8.2.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე ვადიან შრომით ურთიერთობაში იყო მოპასუხესთან, ამ უკანასკნელთან მოსარჩელე უწყვეტად – 2011 წლიდან იმყოფებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შორის უვადო შრომითი ურთიერთობა არსებობდა. ფაქტობრივი გარემოების არასწორა შეფასებამ კი არსანორი სამართლებრივი შედეგი გამოიწვია;

8.3. მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და დასაქმებულის სარჩელის მთლიანად უარყოფა შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

8.3.1. მოწმე მ. ნ-ის განმარტება, რომელსაც სასამართლო არ-სებითად დაყრდნო, არასწორია. ეს მოწმე მუშაობდა ბაგა-ბალების გაერთიანების დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობაზე და გათავისუფლდა სამსახურიდან, რის გამოც განაწყენებული იყო გაერთიანების დირექციაზე და მისი განმარტება ვერ მიიჩნეოდა ობიექტური და ნეიტრალური მოწმის ჩვენებად, მით უმეტეს, რომ მისი განმარტება არსებითად ეწინააღმდეგებოდა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს;

8.3.2. დასაქმებულმა, როგორც ბაგა-ბალების გაერთიანების დირექტორის ნარმომადგენელმა, ნინასწარ იცოდა მოსალოდნელი გაფიცვის შესახებ, და თავად მონაწილეობდა კიდეც გაფიცვაში. ამას ადასტურებს საქმეში არსებული ვიდეოჩანანე-

რი, სადაც ჩანს, რომ გაფიცვის წინა დღეს – 10 დეკემბერს მოსარჩელე იმყოფებოდა მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ აქციაზე, რომელზედაც გაერთიანების თანამშრომლები ითხოვდნენ ხელფასების გაზრდას და ამ მიზნით – მერთან შეხვედრას. სწორედ ამ აქციაზე დაგევმა მოსარჩელემ გაფიცვის მოწყობა და სასწავლო პროცესის ჩაშლა №1 ფილიალში. ამას ადასტურებს დასაქმებულის სატელეფონო ამონაზერი – შემავალი და გამავალი ზარები კონკრეტულ პირებთან – გაერთიანების №15 და №17 ფილიალების დირექტორებთან;

8.3.3. ბაგა-ბალის თანამშრომელთა უკანონო გაფიცვამ გაერთიანებას მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა, რაც გამოიხატა 2015 წლის 11 დეკემბერს გაერთიანების №1 ფილიალის აღსაზრდელებისათვის განკუთვნილი საკვები პროდუქტების შეძენაში, რომლის ლირებულებაც გაერთიანებამ იზარდა, ვინაიდან გაფიცვის დღეს აღსაზრდელთათვის განკუთვნილი საკვები ვერ გამოიყენა, ხოლო მისი მალფუჭებადობის გამო, საკვების გამოყენება მეორე დღეს არ დაიშვებოდა;

8.3.4. დაუსაბუთებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითება მოსარჩელის დისციპლინურ გადაცდომაზე, ვინაიდან ეს უკანასკნელ სამსახურიდან გათავისუფლდა არა დისციპლინური გადაცდომისათვის, რომელიც შინაგანანესით განმარტებულია, როგორც სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, არამედ-ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით დასაქმებულისათვის დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევისათვის.

### 9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და დასკვნები:

9.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით, პირველი აპელანტის (მოსარჩელის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მეორე აპელანტის (მოპასუხის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

9.2. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

9.3. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები და განმარტა:

9.3.1. დასაბუთებულია მოსარჩელის მტკიცება, რომ საქალა-

ქო სასამართლომ შეცდომით მიიჩნია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ვადიან ხელშეკრულებად. სშკ-ის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული შრომითი ხელშეკრულება გაგრძელდა მისი ვადის გასვლისთანავე ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო პირველი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში. უდავო იყო, რომ მოსარჩელე მოპასუხესთან შრომით ურთიერთობებში უწყვეტად იმყოფებოდა 2011 წლის 6 იანვრიდან და ბოლო ხელშეკრულება მასთან დაიდო 2015 წლის 10 სექტემბერს 2016 წლის 1 სექტემბრამდე. ყველა შრომითი ხელშეკრულება დადებული იყო მიმდევრობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სშკ-ის ზემოხსენებულ ნორმათა თანახმად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მიიჩნევა უვადო ხელშეკრულებად, ამასთან, გაერთიანებას არ მიუთითებია არც ერთ ფაქტობრივ გარემოებაზე, რაც გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცხობის შემთხვევაში მოსარჩელის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენას გამორიცხავდა. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე უნდა აღდგენილიყო თანამდებობაზე;

9.3.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მსჯელობა გაფიცვაზე, როგორც ადამიანისათვის კონსტიტუციით გარანტირებულ ბუნებით უფლებაზე, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულს არ ავალებდა ფილიალის თანამშრომელთა ყველა ქმედების თაობაზე გაერთიანების დირექტორისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდებას. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, დასაქმებული ვალდებული იყო, ხელი შეეწყო თანამშრომელთა გაფიცვის უფლების რეალიზებისათვის (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 4.14.3 ქვეპუნქტი), შესაბამისად, დასაქმებულს შრომითი ხელშეკრულება არ დაურღვევია, თუმცა, ეს ასეც რომ ყოფილიყო, სასამართლოს შეფასებით დამსაქმებელს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება არ უნდა შეეწყვიტა.

9.3.3. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მარტოოდენ გაფიცვის თაობაზე ხელმძღვანელობისათვის ინფორმაციის შეუტყობინებლობა, შრომითი ხელშეკრულების მოშლას ვერ გაა-

**მართლებდა.**

9.4. მეორე პელანტის (დამსაქმებლის) სააპელაციო პრეტენზიებთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა:

9.4.1. სშკ დასაქმების ადგილას გაფიცვას არ კრძალავს. პირიქით, ჩვეულებრივ, გაფიცვა სწორედ ამგვარად იმართება. დაუსაბუთებელი იყო ბაგა-ბალების გაერთიანების განმარტება იმის თაობაზე, რომ გაფიცვის შედეგად საბავშო ბალის აღსაზრდელი დაზარალდნენ, რადგან საქმეში წარდგენილი არ ყოფილა საბავშვო ბალის აღსაზრდელთა მშობლების არც ერთი პრეტენზია. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ გაფიცვის თაობაზე ინფორმაციის დროულად შეუტყობინებლობით მოსარჩევემ შრომითი ხელშეკრულება დაარღვია და განმარტა, რომ მოსარჩევეს შრომითი ხელშეკრულება ფილიალის თანამშრომელთა ყველა ქმედების თაობაზე ინფორმაციის მოპოვებასა და გაერთიანების დირექტორისათვის დაუყოვნებლივ მიწოდებას არ ავალებდა. პირიქით, ხელშეკრულების 3.1. პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, იყი ვალდებული იყო განეხორციელებინა „კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების დაცვის კონტროლი“, რაშიც, ცხადია, გაფიცვის უფლების რეალიზაციაც შედიოდა. გაფიცვა ადამიანის ძირითადი, ბუნებითი უფლებაა. ამიტომ, ამ უფლების შეზღუდვა, მხოლოდ გამონაკლის, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება და მხოლოდ იმგვარად, რომ შეზღუდვით გაფიცვის უფლების არსი არ დაირღვეს. სშკ-ის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გაფიცვაში დასაქმებულის მონაწილეობა არ შეიძლებოდა განხილულიყო შრომის დისციპლინის დარღვევად და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გამხდარიყო, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვევისა. სშკ-ის 51-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, გაფიცვის უკანონოდ ცნობის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, რომელსაც გაფიცვა უკანონოდ არ უცვნია. სადაც ბრძანების გამოცემის მომენტისათვის აღნიშნული თაობაზე სარჩელი აღძრულიც კი არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრძანება მოსარჩევესთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის თაობაზე კანონსაწინააღმდეგო იყო (სსკ-ის 54-ე მუხლი). ამრიგად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ბრძანების ბათილად ცნობისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დასაბუთებული იყო და მისი გაუქმების საფუძვლები არ არსებობდა (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

## 10. მოპასუხის საკასაციო საჩივარი

10.1. დამსაქმებელმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპე-

ლაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, აგრეთვე – სასამართლოს 09.12.2016 წ. და 16.12.2016 წ. საქმი განჩინებები, რომლებითაც მოპასუხეს უარი ეთქვა შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და განჩინებების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საჩივლის დაკმაყოფილება ან საქმის დაპრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად შესაგებელში აღნიშნული ფაქტებისა და სააპელაციო პრეტენზიების იდენტურ გარემოებებზე დაყრდნობით (იხ. ამ განჩინების 6.1. და 8.1-8.3. ქვეპუნქტები);

10.2. კასატორმა იშუამდგომლა მის მიერ სააპელაციო საჩივარში საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე მითითებული შუამდგომლობის განხილვა საკასაციო სამართლნარმოების ეტაპზე, რადგან ქვემდგომ სასამართლოს არ უმსჯელია მასზე.

### **11. საკასაციო სამართალნარმოების ეტაპი**

11.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის განჩინებით საკასაციო განაცხადი წარმოებისა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ დამსაქმებლის საკასაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია შემდეგი არგუმენტაციით:

12. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პროცედურას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე)

სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ენინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

13. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს, არსებითად განსახილველად დაეშვა საკასაციო განაცხადი.

14. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81)

15. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოხსენებული საფუძვლით.

16. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სა-

სამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტანდური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან.

17. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტკირთი მხარეებს შორის გადაანაწილა სწორედ იმ სპეციფიკურობის გათვალისწინებით, რაც ახასიათებს შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას და იცავს კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. აღნიშნული უზრუნველყოფს სამართალწარმოებისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე დავის განხილვასა და გადაწყვეტას (სსსკ-ის მე-4-მე-5 მუხლები).

18. მოპასუხის ერთ-ერთ საკასაციო პრეტენზიას წარმოადგენს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა გაფიცვის კანონიერების თაობაზე. კასატორის მტკიცებით, გაფიცვის კანონიერება დავის საგანს არ წარმოადგენდა და სასამართლოს არ უნდა ემსჯელა მასზე. კასატორი ვრცლად განმარტავს, თუ მისი შეფასებით, რატომ იყო გაფიცვა უკანონ.

18.1. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ გაფიცვის უკანონოდ ცნობა სასამართლოს პრეროგატივა (სსკ-ის 51.6-ე მუხლი), თუმცა, არ ეთანხმება მის პოზიციას, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის განმხილველმა სასამართლომ შეაფასა გაფიცვის კანონიერება, რაც საფუძვლად დაედო გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებას. მოპასუხის აღნიშნული მტკიცების საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთა მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსსკ-ის 4.1-ე მუხლი). თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ-ის 102.1-ე მუხლი). საპროცესო კანონის მიზანს წარმოადგენს არა მარტო მოსაზრების დავალდებულება, წარმოუდგინოს სასამართლოს ის მტკიცებულებები, რომლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მის სასარგებლოდ გამოყენების წინაპირო-

ბეჭს ქმნიან, არამედ მოიაზრებს მოპასუხის დავალდებულება-საც, შესაგებლის ფარგლებში უზრუნველყოს (სსსკ-ის 201.2-ე მუხლი) მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გა-ქარნებება. გარდა სსსკ-ით დადგენილი ზოგადი პრინციპები-სა, როგორც წინამდებარე განჩინების მე-17 პუნქტში აღინიშ-ნა, მტკიცების ტვირთის განაწილებას სპეციფიკური ხსიათი გააჩინა შრომითსამართლებრივ დავაძი. ამ სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მოპასუხე ვალდებული იყო, გაექარნებულე-ბინა მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი შემდეგი ფაქტობ-რიცი გარემოებები: იყო თუ არა მოსარჩელის ქმედება (მისი მო-ნაწილეობა გაფიცვაში ან მის მიერ ბაგა-ბალების გაერთიანე-ბისთვის მოსალოდნებლი გაფიცვის შეუტყობინებლობა) იმდე-ნად სერიოზული დარღვევა, რომ იგი მოსარჩელის სამსახური-დან გათავისუფლებისთვის ერთადერთ და გონივრულ ღონის-ძიებას წარმოადგენდა, რაში გამოიხატებოდა ზიანი, რომელიც ამ ქმედების შედეგად დამსაქმებელს მიადგა.

18.1.2. სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ გაფიცვა არ იყო უკანონო, ეფუძნება მსჯელობას, რომ არ გამოიკვეთა სშკ-ის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობა: „გაფიც-ვაში დასაქმებულის მონაწილეობა არ შეიძლება განხილულ იქ-ნეს, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელ-შეკრულების შეწყვეტის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიც-ვის შემთხვევის“. სასამართლომ, სწორედ იმაზე დაყდნობით, რომ არ არსებობდა გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ, გამორიცხა ამ საფუძვლით დასაქმებულის სამ-სახურიდან გათავისუფლების მართლზომიერება, ანუ სასამარ-თლოს განხილვის საგანს არა გაფიცვის კანონიერების დადგენა და/ან მისი შესწავლა წარმოადგენდა, არამედ მან, სხვა გარე-მოებებთან ერთობლიობაში, დამატებით მიუთითა, რომ არ არ-სებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ მიჩნევის შესახებ. საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმას აღ-ნიშნავს, რომ არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯე-ლობას, რომ მოსარჩელეს ევალებოდა გაფიცვის ხელშეწყობა (იხ. ამ განჩინების 9.3.2. ქვეპუნქტი), რადგან კონსტიტუციით გარანტირებული აღნიშნული უფლების გამოყენება დამოკიდე-ბულია თითოეული კონკრეტული პირის ნების გამოვლენაზე, რაც თავისუფალია და ამ კონტექსტში მხოლოდ ის უნდა აღი-ნიშნოს, რომ დამსაქმებელს არ ევალებოდა ამ უფლების რეა-ლიზებაში სხვა პირების არც ხელშეწყობა და არც გაფიცვაში მონაწილეობის ხელშემლის ვალდებულება ეკისრებოდა, ხოლო უშუალოდ გაფიცვაში მონაწილეობის საკითხი თავად დასაქმე-

ბულის გადასაწყვეტი იყო, მსგავსად მოპასუხის სხვა თანამ-შრომლებისა.

18.2. კასატორი პრეტენზის წარმოადგენს სააპელაციო სა-სამართლოს 09.12.2016ნ. და 16.12.2016ნ. საოქმო განჩინებებ-თან დაკავშირებით, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობები (იხ. საოქმო განჩინებები. მო-პასუხის მტკიცებით, ამ უკანასკნელისათვის მიყენებული ზია-ნის არსებობაში სასამართლო დარწმუნდებოდა, რომ დაეკმა-ყოფილებინა აპელანტის შუამდგომლობა და წარმოებაში მიე-ლო შემდეგი მტკიცებულებები: სატელეფონო ზარების ამსახ-ველი დოკუმენტაცია (საიდანაც დგინდება, რომ მოსარჩელეს მოწმე ნ-სთან გაფიცვის დღეს არ ჰქონია კომუნიკაცია და რომ მოწმემ იცრუა, როდესაც თქვა, რომ იმ დღეს ესაუბრა მოსარ-ჩელეს), მტკიცებულება (ახსნა-განმარტება), სადაც მოსარჩე-ლე სხვა სამოქალაქო დავაში, როგორც მოწმე, გაფიცვის დღეს განვითარებულ მოვლენებს განსხვავებულად აღწერს, მოპასუ-ხის მიერ გაფიცულთა და მათ შერის მოსარჩელის ხელფასიდან დაჭვითვის დოკუმენტი (რომელსაც კასატორი მოსარჩელის მი-ერ ბაგა-ბალების გაერთიანებისთვის მიყენებული ზიანის აღია-რების უკაშირებს) და 2016 წლის 7 დეკემბრის მორიგების აქ-ტის საფუძველზე მიღებული განჩინება (იხ. წინამდებარე გან-ჩინების 3.2. ქვეპუნქტი). დამსაქმებლის განმარტებით, იგი საა-პელაციო სასამართლამოების ეტაპზე შუამდგომლობები, რომ სასამართლოს საქმის განხილვა შეეჩერებინა მანამ, სანამ არ გადაწყვეტოდა კასატორის მიერ მოსარჩელისა და სხვა დასაქ-მებულების წინააღმდეგ აღძრული დავა გაფიცვის უკანონოდ ცნობის თაობაზე. აპელანტის აღნიშნული შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა სასამართლომ სსსკ-ის 380-ე მუხლზე მითითე-ბით. კასატორის ანალოგიური შინაარსის შუამდგომლობებს არც საკასაციო სამართლამოების ეტაპზე გააჩნია პროცესუალუ-რად ვარგისი საფუძვლები და ვერ ჩაითვლება სათანადო მტკი-ცებულებებად შემდეგი დასაბუთების გამო:

18.2.1. საკასაციო სასამართლო იზიარებს მტკიცებულება-თა მიუღებლობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს შეფასე-ბას სსსკ-ის 380-ე მუხლიდან გამომდინარე და შინაარსობრი-ვად განიხილავს ამ მტკიცებულებათა კავშირს სასარჩელო და-ვის საგანთან და შესაგებლის ფარგლებში წარდგენილ მსჯელო-ბასთან; დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს 09.12.2016ნ. და 16.12.2016ნ. საოქმო განჩინებებით, მოპასუხეს, სსსკ-ის 380-ე მუხლის შესაბამისად, უარი ეთქვა წინამდებარე განჩინების 18.2 ქვეპუნქტში მოხსენიებული მტკიცებულებე-

ბის საქმისათვის დართვაზე.

18.2.2. სააპელაციო სასამართლომ შეისწავლა მოპასუხის მიერ ნარდგენილი მტკიცებულებების როგორც შინაარსი, ასევე შედგენის (წარმოშობის) თარიღი და მიუთითა მხარეს, რომ მათი უმეტესობა ან უკვე არსებობდა საქმეში, ან შედგენილი იყო სასამართლო ნარმოების დაწყებამდე ან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების ეტაპზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოპასუხეს ჰქონდა საშუალება, რომ შესაგებელში მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადის დაცვით (სსკ-ის 201-ე მუხლი) ნარედგინა სასამართლოსთვის, ხოლო მათი ნარუდგენლობის დამაბრკოლებელი მიზეზები არ არსებობდა და ამაზე არც აპელანტს მიუთითებია სასამართლოსთვის (იხ. სააპელაციო სასამართლოს 09.12.2016.წ. სხდომის ოქმი – 11.48.00-დან და 12.14.00-დან). სააპელაციო სასამართლომ ასევე არ მიიღო მტკიცებულებად სასამართლოს ნარმოებაში არსებული გადაწყვეტილება, რომელიც წინამდებარე განჩინების 3.2. ქვეპუნქტშია მითითებული და შესაბამისად, არ მისცა მას სამართლებრივი შეფასება თავისი თანმდევი შედეგებით (სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი), რადგან აღნიშნულ დავას კავშირი არ ჰქონდა განსახილველ დავასთან. პირველ შემთხვევაში სადავო იყო გაფიცვის კანონიერება, ხოლო განსახილველ შემთხვევაში დასაქმებულის გათავისუფლების საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა იყო.

18.3. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ ნარდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ: ხელფასის დაქვითვის შესახებ ბრძანება და ქუთასისის საქალაქო სასამართლოს 22.03.1016 წლის განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, განსახილველ სამართალნარმოებაში დაშვების შემთხვევაშიც კი, დასაქმებულის ბრალეულობის აღიარების, ან დამსაქმებლისათვის მიყენებული ზინანის დასადასტურებლად განკუთვნად და დასაშვებ მტკიცებულებად ვერ იქნებოდა მიჩნეული, რადგან მორიგების შესახებ განჩინებაში არ მონანილეობდა მოსარჩელე, როგორც პროცესუალური მხარე, ხოლო ბალის თანამშრომლებისათვის (მათ შორის მოსარჩელისთვისაც) ერთი დღის ხელფასის დაქვითვის ფაქტი, დასაქმებულის მხრიდან ვალდებულების აღიარებად ვერ იქნებოდა მიჩნეული, რადგან ამ უკანასკნელმა დარღვეული შრომითი უფლებების აღდგენის მიზნით მოპასუხის წინააღმდეგ სასამართლოს მეშვეობით აღძრა დავა, აღნიშნული გარემოება კი გამორიცხავს მოსარჩელის მიერ ბრალეულობის აღიარებას ან

მის მიერ მოპასუხისათვის ზიანის მიუენების დადასტურებას. რაც შეეხება სატელეფონო ამონანერების წუსხას, საიდანაც, კასატორის მტკიცებით, დგინდებოდა მოსარჩელესა და გაერთიანების ადმინისტრაციას შორის განხორციელებული საუბარი, ამ მტკიცებულების წარდგენა მოპასუხის მიერ შესაგებლის ფარგლებში შესასრულებელ საპროცესო ვალდებულებას (სსსკ-ის 201-ე მუხლი) წარმოადგენდა, რაც ამ უკანასკნელმა არ შეასრულა და იმავდროულად, არც ის მიუთითებია, თუ რატომ ვერ უზრუნველყო მისი დროულად წარდგენა. ასეც რომ ყოფილიყო, ზოგადად სატელეფონო ზარების ამონანერი ერთმნიშვნელოვნად და სარწმუნოდ ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის ქმედებას გარკვეული ზიანი მოჰყვა. განსახილველ საქმეზე კი დადგენილია, რომ ბაგა-ბალების გაერთიანების ხელმძღვანელობამ ისედაც იცოდა გაფიცვის თაობაზე, მაშასადამე, პროცესუალურად დასაშვები მტკიცებულებების საფუძვლზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მართებულად არის დადგენილი, რომ მოპასუხეს ზიანი არ მისდგომია, ხოლო იმ მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც არ იქნა დაშვებული საქმეში, მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოსაგან დასაბუთებული განმარტება (სსსკ-ის 380-ე მუხლი) მიიღო გასაჩივრებული განჩინებების სახით (იხ. სხდომის ოქმი).

18.4. ნინამდებარე განჩინების 3.2. ქვეპუნქტში მითითებულ განჩინებას კასატორი, მატერიალურის გარდა, პროცესუალურ შედეგსაც უკავშირებს, რაც მისი აზრით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეჩერებინა საქმისწარმოება მოსარჩელის მიმართ, რადგან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში იმყოფება კასატორის (ამ დავაში მოპასუხის, ანუ დამსაქმებლის) სარჩელი ზემოხსენებული გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ. საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაშიც სავსებით იზიარებს საპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აღნიშნულ საქმეებს შორის არ არსებობს სამართლებრივად მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი, შესაბამისად, მოპასუხის მოთხოვნა არ გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან. სსსკ-ის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ „სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში: საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან აღმინისტრაციული წესით“. სსსკ-ის 272-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარ-

ტა: „აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლით საქმის წარმოების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა საქმეთა შორის ისეთი აუცილებელი კავშირი, რაც შეჩერების ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში ობიექტურად შეუძლებელს გახდის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. ამრიგად, საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლოს განხილვაში არსებული საქმის გადაწყვეტისას. აქედან გამომდინარე, საქმის წარმოების შეჩერებამდე სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განიხილება“ (იხ. სუსგ №ას-266-253-2016, 14.06.2016წ.). მაშასადამე, მოხმობილი ნორმის შინაარსი და განმარტება ცხადყოფს, რომ აღნიშნული პროცესუალური შედეგი განპირობებულია რა კანონის ძალით, ამავდროულად, სასამართლომ, მოთხოვნის ფარგლების, დავის მონაწილე სუბიექტების, დავის არსის, დავათა შორის სამართლებრივი ურთიერთკავშირისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს, მიზანშეწონილია თუ არა საქმისწარმოების შეჩერება.

18.5. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ვერ ასაბუთებს აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საქმისწარმოების შეჩერებისთვის აუცილებელი და დამაჯერებელი წინაპირობების არსებობას, ვერ მიუთითებს, მითითებული საქმის გადაწყვეტამდე, რატომაა შეუძლებელი ან მიზანშეუწონელი დავის განხილვა, ან თუ განხილება, მისი შედეგით რა შეუქცევადი ზიანი მიადგება მას.

18.6. მოცემულ შემთხვევაში განხილება დასაქმებულის სასარჩელო მოთხოვნა მისი არამართლზომიერად გათავისუფლების შესახებ, ხოლო დავა, რომელზეც კასატორი (მოპასუხე) მიუთითებს, გაფიცვის კანონიერებას და მისგან გამომდინარე იურიდიული ინტერესის დაქმაყოფილებას – ზიანის ანაზღაურებას შეეხება და არა უკანონო გაფიცვის გამო დასაქმებულ(ებ)ის სამსახურიდან გათავისუფლებას. სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ გაფიცვის უკანონოდ ცნობის შემთხვევაშიც კი, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან და თავისებურებიდან გამომდინარე, შრომითსამართლებრივ დავაში სასამართლოს შეფასების საგნად შეიძლება მაინც დარჩეს (ბუნებრივია, დასაქმებულის მოთხოვნის საფუძველზე) დასაქმებულის მიერ ვალდებულების უხეშად დარღვევის და ზიანის მიყენების

ფაქტის კვლევა. გაფიცვის უკანონოდ ცნობის მიუხედვად, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასებით არ არის დადგენილი დასაქმებულის მიერ საკუთარი ველდებულებების შეუსრულებლობა უხეში დარღვევის სახით. დასაქმებულის გათავისუფლებას კი მართლზომიერებას მხოლოდ „უხეში დარღვევის“ ფაქტი ანიჭებს, ხოლო უმნიშვნელო დარღვევა გათავისუფლების მართლზომიერებას საფუძველს აცლის, რაც დამსაქმებლის (კასატორის) მტკიცებას აქარწყლებს.

18.7. საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს შსჯელობას (იხ. ამ განჩინების 7.2.2. ქვეპუნქტი), რომელსაც დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოც და შეესატყვისება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას, რომ დასაქმებულის გათავისუფლების მართლზომიერების კვლევისას სშე-ის 37.1-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შესაფასებელია „უხეში დარღვევის“ არსი. საკასაციო სასამართლო განმარტავს: „შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას აქვს პრიორიტეტი მის რღვევასთან შედარებით. შესაბამისად, მართალია, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი მუშავის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევაცაა, თუმცა, ნიშანდობლივია, დასაქმებულთა შრომის უფლებების დაცვის კონსტიტუციური პრინციპი, რომლის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, შრომის სამართალში „Ultima Ratio“-ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაცდომას) და გათავისუფლებას, შორის ზომიერი ბალანსის დაცულობა. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასხორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშავს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშენილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის“

(იხ. სუსგ №ას-416-399-2016, 29.06.2016წ; შდრ, სუსგ №ას-295-279-2017, 19.05.2017წ.)

18.8. განსახილველ შემთხვევაში დასაქმებული გათავისუფლდა იმის გამო, რომ მან ხელმძღვანელობას არ აცნობა თანამშრომელთა მიერ გაფიცვის მოწყობისა და მასში მონაწილეობის შესახებ, რაც მოსარჩელეს უხეშ დარღვევად შეერაცხა. საკასაციო სასამართლო გაიზიარებს სააპელაციო სასამართლს მსჯელობის იმ ნაწილს, რომ გაფიცვა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, რომელიც დაკავშირებულია ასევე შრომის კონსტიტუციურ უფლებასთან, ამასთან, განმარტავს, რომ ეს უფლება უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დადგენილ უფლებას (შეერებისა და გაერთიანების თავისუფლება). განსახილველ შემთხვევაში, დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის იმ ინფორმაციის მიუწოდებლობა, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ისედაც ცნობილი იყო ან იმ დაშვებითაც, რომ არ იყო ცნობილი, არ შეიძლება, ამ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, „უხეშ დარღვევად“ შეფასდეს და დარღვევის პროცესიულ და მართლზომიერ სახდელად იქნეს მიჩნევული დასაქმებულის გათავისუფლება.

18.9. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სშკ-ის 52-ე მუხლის პირველ ნაწილზე (ნორმის დეფინიცია იხ. 18.1.2. ქვეპუნქტში), რომელიც უკანონო გაფიცვაში მონაწილეობას ორ სამართლებრივ შედეგს უკავშირებს: გათავისუფლებას და დისკიპლინური ღონისძიების გამოყენებას. რომელი ღონისძიება იქნება უფრო ადეკვატური და პროპორციული ყოველ კონკრეტულ ვითარებაში, ამას დამსაქმებელი ფაქტობრივი გარემოებების შეწონადობისა და უფლების მართლზომიერად გამოყენების კონტექსტში გადაწყვეტს. ე.ი. უკანონო გაფიცვაში მონაწილეობა, შესაძლოა, გახდეს დამსაქმებლის მიერ სშკ-ის 52-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა, თუმცა არა უპირობოდ, არამედ – იმგვარად, რომ არ გამოიკვეთოს უფლების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 115-ე მუხლი). გაფიცვა უკანონოა თუ კანონიერი, ეს ფაქტი გავლენას ვერ მოახდენს დამსაქმებლის მიერ უფლების მართლზომიერად გამოყენების ვალდებულებაზე, ნებისმიერ შემთხვევაში, დისკიპლინური გადაცდომის სიმძიმე ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს და არა მარტო მითითებით, რომ გაფიცვა უკანონო იყო. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შრომით ურთიერთობებში დამსაქმებლის მიერ უფლების მართლზომიერად გამოყენების აუცილებლობას შეეხებოდა, საკასაციო სასამართლომ განმარტა.

„საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სასამართლოს უპირველესი ფუნქციაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაა. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამონშებს უფლების გამოყენების მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთ მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი, აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელი გარემოებების მართლზომიერების საკითხის შესწავლა. სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად“ (იხ. სუსგ №ას-1391-1312-2012, 10.01.2014წ.).

18.10. შრომით ურთიერთობებში უფლების მართლზომიერად გამოყენების თაობაზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც ამ უფლებას იცავს და დასაქმებულის გათავისუფლების კანონიერების შემოწმებისას სასამართლოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს (იხ. სუსგ-ები №ას-1391-1312-2012; №ას-733-701-2016; №ას-570-545-2016; №ას-98-94-2016).

19. კასატორი შედავვებას წარმოადგენს იმ მტკიცებულებათა შეფასების თვალსაზრისითაც, რომლებიც დაშვებულია საქმეში და მისი განმარტებით, ადასტურებენ დამსაქმებლისთვის და ბალის აღსაზრდელთათვის მიყენებულ ზიანს. კერძოდ, მოსარჩელე მიუთითებს მოწმის ჩვენებაზე, რომელმაც განმარტა, რომ გაფიცვის მეორე დღესვე გადაყარა მალთუჭებადი საკვები პროდუქტები; გაფიცვის დღეს გაფიცულებმა არ შეასრულეს დავალებული სამუშაო, მათ უკანონოდ მოიხმარეს ელექტროენერგია და წყალი; იზარალეს მშობლებმა, რომლებმაც ბავშვები სახლებში წაიყვანეს, საფრთხე შეექმნა სოციალურად დაუცველი 60 ოჯახის ბავშვის სიცოცხლეს და ჯანრთელობას, რადგან ვერ მიიღეს ბაგა-ბალების გაერთიანებისგან მომსახურება.

19.1. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი

მტკიცებულებები, ობიექტურად და დამაჯერებლად ვერ ადასტურებენ გარემოებას მოპასუხისათვის მიყენებული ზიანისა და სხვა პირთათვის შესაძლო საფრთხის შესახებ. უფრო კონკრეტულად, წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც გარდა იმისა, რომ მწირია, არ დგინდება, რომ გაფიცვის დღეს, ზამთრის პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი ბაგა-ბალების გაერთიანებისათვის უჩვეულო ხარჯს წარმოადგენდა; არ დგინდება ბავშვებისათვის და მათი მშობლებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, ვინაიდან არც ერთი პრეტენზია ამგვარი ზიანის შესახებ მშობლებს არ წარუდგენიათ დამსაქმებლისათვის. მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი ძირითადად ეფუძნება მხოლოდ მხარის ახსნა-განმრტებას და არაა გამყარებული უფრო მაღალი სამართლებრივი ღირებულების მქონე მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტსაც, რომ ზიანი, რომელიც კასატორის მოსააზრებით, ბაგა-ბალების გაერთიანებას წარმოეშვა, გაფიცულებმა ნაწილობრივ აანაზღაურეს საკუთარი ხელფასიდან, ხოლო ზიანის დარჩენილ ნაწილზე მორიგების ფარგლებში მოპასუხემ უარი თქვა.

20. ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ დასაქმებული არამართლზომიერად გათავისუფლდა, რაც გასაჩივრებული ბრძანების ბათილობის საფუძველია. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩევები მტკიცების კუთხით ტვირთის ფარგლებში მიუთითა და წარადგინა მტკიცებულებები მისი გათავისუფლების არამართლზომიერებისა და მასსა და დამსაქმებელს შორის უწყვეტი შრომითი ურთიერთობის (უვადო ხელშეკრულების) არსებობის შესახებ, ხოლო მოპასუხემ ამის საწინააღმდეგო, სამართლებრივად წონადი და ვარგისი მტკიცებულები ვერ წარუდგინა სასამართლოს, გამოიკვეთა სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, რაც დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენაში გამოიხატა.

21. სააპელაციო სასამართლომ, დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დაუსაბუთებულობა ყოველმხრივ და ობიექტიურად გამოიკვლია, შესაბამისად, გადაწყვეტილება გამოიტანა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში და შრომითსამართლებრივ დავებზე დადგენილი მტკიცების ტყირთის განაწილების საფუძველზე, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე მიუთითებს. კასატორს არ წარუდგენია არც ერთი არგუმენტი, დასაბუთებული შედა-

ვება, თუ რა საფუძვლით უნდა იქნეს დასაშვებად ცნობილი წარმოდგენილი საკასაციო განაცხადი.

22. საკასაციო სასამართლო დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ „საქართველოში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლებებისა დაცვა იყო, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შრომის სამართლი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ე.ნ. „favor prestatoris“ პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლის და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასანორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტში“ (იხ. სუსგ №ას-941-891-2015, 29.01.2016; შდრ. საქმე №1124-1080-2016, 10.03.2017).).

23. საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სამართლიანობის, კანონიერებისა და მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპების, შრომითი დაცვის განხილვისას მხარეთა შორის თანაზომიერი ბალანსის დაცვის გათვალისწინებით, დასაბუთებულია და კანონიერი, შესაბამისად, არ არსებობს დამსაქმებლის საკასაციო განაცხადის არსებითად განსახილველად დასაშვებად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

24. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბალების გაერთიანების“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბალების გაერთიანებას“ (ს/კ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზი-

ნა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის (საგადახდო მოთხოვნა №07980, გადახდის თარიღი 2017 წლის 24 აპრილი), 70% – 210 ლარი;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შრომითი ხელშეკრულების შეცვებულების დისციპლინური  
კასუებისგანმდებრივის დაკისრებილან 1 წლის  
განვითარებაში მშრომითი ხელშეკრულების ან  
შიდაგანაცხადის დარღვევის გამო**

**განხილვა  
საქართველოს სახალით**

№ას-783-750-2016

15 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-  
დგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. მ. ხ-მა (შემდგომში – „მოსარჩევე“, „კასატორი“ ან „საკა-  
საციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ  
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ-  
ში – „მოპასუხე“ ან „სააგენტო“) მიმართ და მოითხოვა მოსარ-  
ჩელის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ საა-  
გენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2015  
წლის 20 მაისის №... ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობა-  
ზე აღდგენა, ყოველთვიური სახელფასო სარგოს – 870 ლარის ანაზღაურება.

2. სარჩელი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: მოსარჩევე  
2012 წლის 16 ივნისიდან მუშაობდა სააგენტოს ა-ს სამოქალა-  
ქო რეესტრის სამსახურის მთავარ სპეციალისტად განუსაზ-

ღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძვლზე და მისი თანამდებობრივი სარგო სამსახურიდან გათავისუფლების დროს შეადგენდა 870 ლარს (დარიცხული).

3. მოსარჩელის განმარტებით, მისი საქმიანობა იყო ძალიან შრომატევადი, რადგან მხოლოდ იგი მუშაობდა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მიმართულებით და ემსახურებოდა ა-ს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

4. მოსარჩელეს პირველი დისციპლინური სახდელი – შენიშვნა დაეკისრა 2014 წლის 11 ივნისს სამსახურში 20 წუთით დაგვიანების საფუძვლით, ხოლო 2014 წლის 22 აგვისტოს გამოყენებადეს სასტკიკი საყვედური იმ საფუძვლით, რომ მან ახალშობილის დედის გრაფაში, ნაცვლად დედის გვარის – გ-ა, მიუთითა ყოფილი მეუღლის გვარი – ჯ-ე.

5. 2015 წლის 6 მარტს ა-ს სამოქალაქო რეესტრის სამსახურში გამოვლინდა მოსარჩელის მიერ დაშვებული შეცდომები. მოსარჩელის განმარტებით, ეს შეცდომები გამოწვეული იყო მისი სამსახურებრივი გადატვირთულობით, რამე სახის მძიმე შედეგი არ გამოუწვევია, შესაბამისად, არ შეიძლება გამხდარიყო მის მიმართ ისეთი მეაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძველი, როგორიცაა სამსახურიდან გათავისუფლება.

6. მოსარჩელის განმარტებით, უვადო შრომით ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ დისციპლინური სახდელის დადებისა და შრომითი ხელშეკრულების შენებვეტის გამოყენების საფუძველია სააგნტოს თავმჯდომარის 2008 წლის 3 დეკემბრის №... ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო რეესტრის სააგნტოს ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს“ წესების შეუსრულებლობა, რომელიც ძალადაკარგულად არის გამოცხადებული 2013 წლის 31 ოქტომბერს დამტკიცებული შინაგანაწესის ამოქმედების შემდეგ, ხოლო აღნიშნული შინაგანაწესიც ძალადაკარგულად არის გამოცხადებული 2015 წლის 28 იანვრის შინაგანაწესის ამოქმედების შემდეგ. შინაგანაწესი, რომლის ნორმების დარღვევასაც ედავება მოპასუხე, მოსარჩელის შრომის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული და, შესაბამისად, არ არის შრომის ხელშეკრულების ნაწილი. ამდენად, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსარჩელის გათავისუფლების საფუძვლად.

7. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მან ზედიზედ სამჯერ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა ისე, რომ წინა მათგანი არ იყო

გაქარწყლებული, კერძოდ, 2014 წლის 16 ივნისს მას გამოეცხადა შენიშვნა, მეორე სახდელი – სასტიკი საყვედური შეეფარდა 2014 წლის 22 აგვისტოს – 3 თვის გასვლამდე, ხოლო ბოლო დარღვევა, რომელიც გახდა სამსახურიდან მოსარჩელის გათავისუფლების საფუძველი, გამოვლინდა სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის 2014 წლის 5 მაისის №... დასკვნით – სასტიკი საყვედურის გამოცხადებიდან 1 წლის გასვლამდე. ამასთან, ეს უკანასკნელი დასკვნა შეიცავდა მოსარჩელის მიერ ჩადენილი დარღვევების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს.

8. მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ 2014 წლის 16 ივნისის №... ბრძანებით გამოცხადებული შენიშვნისა და იმავე წლის 22 აგვისტოს №... ბრძანებით გამოცხადებული სასტიკი საყვედურის კანონშესაბამისობის საკითხის განხილვა არ წარმოადგენს წინამდებარე სასარჩელო დავის საგანს და არც მოსარჩელეს გაუსაჩივრებია აღნიშნული აქტები, რაც იმას ნიშნავს, რომ დისციპლინური წარმოების შედეგებისადმი მას იმ მომენტისათვის პრეტენზია არ გააჩნდა.

9. მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელესთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, მოსამსახურის ვალდებულებებს განეკუთვნება – დაიცვას და განუხრელად შეასრულოს დამსაქმებლის ბრძანებები და მითითებები. შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, 2013 წლის 31 ოქტომბრის №... და 2015 წლის 28 იანვრის №... სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებების შესრულება და დაცვა მოსარჩელის პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენდა, ამასთან, მოსარჩელე იცნობდა აღნიშნულ ბრძანებებს.

10. თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაქმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელეები.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაქმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება.

12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტორივი გარემოებები:

13. 2012 წლის 16 ივნისს მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის განუსაზღვრელი ვადით დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელე დაინიშნა სააგენტოს ა-ს სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მთავარ სპეციალისტად.

14. შრომითი ხელშეკრულების II თავის (მხარეთა უფლებები და მოვალეობები) მე-3 პუნქტის თანახმად, დასაქმებულის ვალ-დებულებას წარმოადგენდა უზრუნველეყო დამსაქმებლის საქ-მიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების დადგენილი ფორმით წარმოქადა, პასუხი ეგო მათ სისწორესა და საჭიროების შემთხვევაში, შენახვაზე.

15. შრომითი ხელშეკრულების V თავის (შრომითი ხელშეკ-რულების შეწყვეტა/მოშლა) თანახმად, დასაქმებულთან ხელ-შეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის მიერ ხელ-შეკრულების პირობების სისტემატურად დარღვევა ან/და შრო-მითი ხელშეკრულების ან სააგენტოს თავმჯდომარის 2008 წლის 3 დეკემბრის №... ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო რე-ესტრის სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სახელ-მძღვანელოს“ შეუსრულებლობა, თუ დასაქმებულის მიმართ უკვე იყო გატარებული დისციპლინური ზომა.

16. სააგენტოს 2015 წლის 20 მაისის №... ბრძანებით ა-ს სა-მოქალაქო რეესტრის სამსახურის მთავარ სპეციალისტს – მო-სარჩელეს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და გათავისუფ-ლდა დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს შრომის კო-დექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძ-ველზე.

17. მოსარჩელე იცნობდა, როგორც 2013 წელს დამტკიცე-ბულ, ისე – 2015 წელს დამტკიცებულ შინაგანანესს.

18. დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკ-ვე გამოყენებული იყო ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრუ-ლებით და შრომის შინაგანანესით გათვალისწინებული დისციპ-ლინური პასუხისმგებლობის ზომა, კერძოდ: სააგენტოს 2014 წლის 16 ივნისის ბრძანებით მოსარჩელეს გამოეცხადა შენიშ-ვნა. მოსარჩელისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების საფუძველს წარმოადგენდა სააგენტოს შიდა აუდიტის 2014 წლის 12 ივნისის №... დასკვნა. სააგენტოს 2014 წლის 22 აგვის-ტოს ბრძანებით მოსარჩელეს გამოეცხადა სასტიკი საყვედუ-რი. მოსარჩელისთვის დისციპლინური სახდელის შეფარდების საფუძველს წარმოადგენდა სააგენტოს შიდა აუდიტის 2014 წლის 20 აგვისტოს №... დასკვნა.

19. სააგენტოს 2014 წლის 16 ივნისისა და 22 აგვისტოს ბრძა-ნებით მოსარჩელისათვის სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ მოსარჩელის მიერ სადავოდ არ გამხდარა.

20. თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ 2015 წლის 20 მაისის ბრძანების გამოცემის საფუძველს წარმოადგენს სა-ხელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდი-

ტის სამსახურის 2015 წლის 5 მაისის ... დასკვნა. აუდიტის დასკვნის თანახმად, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სააგენტოს ა-ს სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ განეული სამსახურებრივი საქმიანობის შერჩევითი წესით შემოწმება. კერძოდ, სამსახურში შემოწმდა სავარაუდო გაყალბების შემთხვევაში მასალების საგამოძიებო ორგანოში გადაგზავნის, მექანიკური ხასიათის შეცდომების საქმის წარმოების კანონიერება, ასევე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით წარდგენილ განცხადებათა განხილვისა და განცხადების გარეშე დაწყებული საქმისწარმოების კანონიერება. 2015 წლის 5 მაისის დასკვნით დასტურდება 2014 წლის 22 აგვისტოს შემდგომ (ანუ სასტიკი საყვედურის გამოცხადების შემდგომ) ერთი წლის გასვლამდე დასაქმებულის მხრიდან მისთვის შრომითი ხელშეკრულებით სამსახურებრივად დაკისრებული ვალდებულებების დარღვევა – ადმინისტრაციული წარმოების საქმის მასალების „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული „ამნისტიის მოთხოვნით განცხადების წარდგენისა და განხილვის, აგრეთვე საგამოძიებო ორგანოსთვის საქმის განსახილველად გადაგზავნის წესის“ შესაბამისად შემდგომი რეაგირებისათვის საგამოძიებო ორგანოებში გადაგზავნის ვალდებულების შეუსრულებლობა.

21. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, გათვალისწინებით იმისა, რომ 2015 წლის 5 მაისის დასკვნაში მოყვანილი დარღვევები წარმოადგენდა აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმების პერიოდში გამოვლენილ დარღვევებს, რომლებზეც რეაგირება ობიექტურად მანამდე ვერ მოხდებოდა, ფიქსირდებოდა არაერთი ერთგვაროვანი დარღვევა. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაუგზავნელ საქმეთა რაოდენობა არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს. კერძოდ, იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც ორჯერ იქნა გამოყენებული დისციპლინური სახდელი და ბოლო სახდელის დადებიდან (სასტიკი საყვედურის გამოცხადებიდან) გასული არ იყო ერთი წელი, თუნდაც ერთი ადმინისტრაციული საქმის წარმოების მასალების საგამოძიებო ორგანოებისათვის გადაგზავნის ვალდებულების შეუსრულებლობა საკმარისი იყო მისი დისციპლინური პასუხისმგებლობისათვის, რადგან ერთობლიობაში სახეზე იყო შრომითი მოგალეობების არაერთგზისი დარღვევა.

22. სააპელაციო პალატამ მოსარჩელის მხრიდან შრომითი მოვალეობების შესრულების ხარისხის ზოგადი დახასიათებისთვის

მიუთითა დასკვნაში ასახულ ისეთ დარღვევებზე, რომლებიც ჩადენილ იქნა სასტიკი საყვედურის გამოცხადებამდე, მაგრამ გამოვლინდა მისი გამოცხადების შემდეგ, კერძოდ: а) 2014 წლის მაისი – 2014 წლის ივლისის პერიოდში შეცდომით მოხდა საქართველოს მოქალაქეს სტატუსის განსაზღვრა ი. ქ-ე, მ. ხ-ე და ქ. მ-ზე, რის გამოც გაუქმდა ბავშვებისთვის არასწორად მინიჭებული პირადი ნომრები და შესაბამისი შესწორება შევიდა მათი დაბადების აქტების ჩანაწერებში; ბ) 2014 წლის 14 აპრილს სააგენტოს ა-ს სამოქალაქო რეესტრის სამსახურს მიმართა მოქალაქემ და ითხოვა მისივე ქორწინების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში საცოლის სახელის შესწორება. მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება ცვლილების თაობაზე მიღებულია „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლით დადგენილი 15-დღიანი ვადის დარღვევით, კერძოდ, ნაცვლად 28 აპრილისა, 30 აპრილს; გ) ამავე დასკვნის თანახმად, 2014 წლის მარტიდან 2014 წლის 22 აგვისტომდე პერიოდში ფიქსირდება ისეთი დარღვევა, როგორიც არის ადმინისტრაციული წარმოების საქმის მასალების „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული „ამნისტიის მოთხოვნით განცხადების წარდგენისა და განხილვის, აგრეთვე საგამოძიებო ორგანოსთვის საქმის განსახილველად გადაგზავნის წესის“ შესაბამისად შემდგომი რეაგირებისათვის საგამოძიებო ორგანოებში გადაგზავნის ვალდებულების შეუსრულებლობა.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის სამსახურმა მიიჩნია, რომ სააგენტოს ა-ს სამოქალაქო რეესტრის სამსახურის თანამშრომელმა – მოსარჩელემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოიჩინა უყურადღებობა და დაარღვია კანონმდებლობის მოთხოვნები, რითაც ჩაიდინა სააგენტოს შრომის შინაგანანერებით გათვალისწინებული გადაცდომები, რომლის თანახმადაც დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება დასაქმებულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა, არაჯეროვანი შესრულება ან მათდამი დაუდევარი დამოკიდებულება და სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის ან სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევა. დასაქმებულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა, არაჯეროვანი შესრულება ან მათდამი დაუდევარი დამოკიდებულება და სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის ან სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევა დისციპლინურ გადაცდომად დაკვ-

ვალიფიცირებულია 2015 წელს დამტკიცებული შინაგანაწესის 52-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო 2013 წელს დამტკიცებული შინაგანაწესის 53-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

24. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე (აპელანტი) სააპელაციო საჩივრით სადაცოდ არ ხდიდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვევების არსებობის ფაქტებს.

25. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ დარღვევები გამოიწვია გადამეტებულმა დატვირთულობამ და აღნიშნული დარღვევები არ არის ისეთი სიმძიმის, რომლის თანაზომიერ სახდელსაც შეიძლება წარმოადგენდეს სამუშაოდან გათავისუფლება.

26. სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით და დამსაქმებლის შინაგანაწესის გაცნობით მოსარჩელე შებოჭილი იყო მათში გათვალისწინებული ვალდებულებებით. შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო მისი შრომითი უფლება-მოვალეობები და მათი დარღვევის სამართლებრივი შედეგები. ამასთან, არც პირველი ორი დისციპლინური სახდელის დადებამდე და არც მათი დადების შემდეგ, მას არ მიუმართავს დამსაქმებლისათვის დატვირთვის შემცირების მოთხოვნით. უფრო მეტიც, სხდომაზე მოსარჩელის (აპელანტის) განმარტებით, მას დატვირთვა მიაჩნდა ადეკვატურად, მიჩვეული იყო ასეთ დატვირთვას და ეგონა, რომ არსებულ დატვირთვას გაართმევდა თავს, თუმცა შემდგომ აღმოჩნდა დარღვევები.

27. სახდელის თანაზომიერებასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობებთან და პროცედურასთან მიმართებაში გასათვალისწინებელი იყო ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლისათვის გათვალისწინებული წესი და პირობები. სააპელაციო სასამართლის მსჯელობით, სახელშეკრულებო ურთიერთობაში ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების დარღვევისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული წესი. მხარეს, რომელმაც დაარღვია ვალდებულება, მეორე მხარის მიერ განესაზღვრება დამატებითი ვადა ნაკლის გამოსასწორებლად ან, ვალდებულების დარღვევის სპეციფიკის მიხედვით, მიეცემა გაფრთხილება. შრომითი ურთიერთობის თავისებურება სწორედ გაფრთხილების გამოყენებას გულისხმობდა. გაფრთხილების უშედეგოდ ანუ შესაბამისი დარ-

ლვევის გამეორების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილი იყო შენყვიტა ხელშეკრულება. გაფრთხილების დანიშნულება, სა-აპელაციო პალატის მტკიცებით, არის დასაქმებულის მიერ აღ-ნიშნული გარემოებების არსებობის, მისი აღკვეთის აუცილებ-ლობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების გაცნობიერე-ბა. იმ შემთხვევაში, თუკი გაფრთხილებას სასურველი შედეგი არ მოჰყება, დამსაქმებელი უფლებამოსილია, შენყვიტოს შრო-მითი ხელშეკრულება.

28. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო დასაქმებულის მხრიდან შრომი-თი ვალდებულებების არაერთგზის დარღვევა და შესაბამისი სანქციების (შენიშვნა, სასტიკი საყვედური) დაკისრება, ასევე შრომითი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი ბოლო დისციპ-ლინური სახდელის დაკისრების შემდგომაც, რაც საკმარის სა-ფუძველს წარმოადგენდა დასაქმებულთან შრომითი ხელშეკ-რულების შეწყვეტისათვის.

29. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის დამსაქ-მებელმა მიიღო ყველა ზომა, რომელიც დასაქმებულ მუშავს უფრო გულისხმირად მოქცევას აიძულებდა, რაც მიუთითებ-და იმ ფაქტზე, რომ უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზ-რი ჰქონდა დაკარგული. შესაბამისად, 2015 წლის 20 მაისის მდგომარეობით აღარ არსებობდა უფრო მსუბუქი სანქციის გა-მოყენების საფუძველი და ისეთი უკიდურესი ფორმა, როგორიც არის სამსახურიდან განთავისუფლება, ადეკვატური იყო დარ-ლვევების ხასიათიდან და არაერთგზისობიდან გამომდინარე.

30. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონ-სტიტუციის 30-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებზე, საქარ-თველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, მე-2 მუხლის მე-2 ნაწილზე, აღნიშნა, რომ მოსარ-ჩელესთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნ-ქტის საფუძველზე და მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩე-ლესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ 2015 წლის 20 მაისის ბრძანების ბათილად ცნობის, მოსარჩელის სამ-სახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების საფუძვე-ლი, შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმა-ყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ნაბამდევრები.

31. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელებ შეიტანა საკასაციო საჩივრი და მოითხოვა თბილისის სააპელა-

ციონ სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

32. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სა-თანადო შეფასება არ მისცა დამსაქმებლის შრომის შინაგანა-ნების იმ ნორმებს, რომელიც ადგენს დისციპლინური სახდე-ლის შერჩევისას გასათვალისწინებელ გარემოებებს. კერძოდ, დამსაქმებელმა არ გაითვალისწინა შინაგანანების 51-ე მუხლი – დისციპლინური პასუხისმგებლობის პრინციპები, რაც გულის-ხმობს იმას, რომ სახდელის შერჩევისას უნდა იქნას გათვალის-წინებული დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, მიზანი, მო-ტივი და გარემოებები, შედეგი, რომელიც გამოიწვია ან შეიძ-ლება გამოეწვია დისციპლინურ გადაცდომას. სააპელაციო სა-სამართლომ ვერ დაასაბუთა, რა უარყოფითი შედეგის გათვა-ლისწინებით იყო განპირობებული 2015 წლის 20 მაისის შრომი-თი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების მიღება.

33. კასატორმა მიუთითა შინაგანანების 57-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, „სასტიკი საყვე-დური გაქარწყლდება, თუ ერთი წლის განმავლობაში მუშავის მიმართ არ იქნა გამოყენებული იგივე ან სხვა დისციპლინური სახდელი“. სახდელის მოქმედების ვადის არსებობა გულისხმობს მისი მოქმედების პერიოდში ანუ შემდგომ პერიოდში ერთი წლის განმავლობაში რაიმე დარღვევის არდაშვებას, რის შემდეგაც იგი ავტომატურად გაქარწყლდება. სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ გაფრთხილება დასაქ-მებულისათვის მომავალში ახალი დარღვევის აღკვეთის საშუ-ალებაა და, თუ გაფრთხილებას შედეგი არ მოჰყვება, დამსაქ-მებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულე-ბა.

34. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მიუთი-თა, რომ სასტიკი საყვედურის გამოცხადებამდე ჩადენილი დარ-ღვევების გამო მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ ახალი სახდე-ლი – სამსახურიდან გათავისუფლება არ უნდა გამოეყენებინა, მით უფრო, რომ სასტიკი საყვედურის გამოცხადების შემდეგ მოპასუხეს შეეძლო გამოეყენებინა უფრო მძიმე შემდეგი სახ-დელები – არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაქვითვა და უფრო დაბალ სახელფასო საფეხურზე გადაყვანა. საკასა-ციონ საჩივრის ავტორის განმარტებით, ახალი სახდელი პირს უნ-და დაედოს სახდელის დადგების შემდეგ ახალი დარღვევის ჩა-დენისას.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29

სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მი-  
ლებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის  
391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

36. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო  
საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად, მიიჩნევს, რომ  
მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩ-  
ნეულ უნდა იქნას დაუშვებლად.

37. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5  
ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქო-  
ნებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:  
ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწ-  
ყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვა-  
როვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართვე-  
ლოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ  
საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის  
განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სა-  
მართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვე-  
ტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტი-  
ლება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქარ-  
თველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტი-  
კისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატე-  
რიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელო-  
ვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის  
განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვე-  
ტილება ენინაალმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადა-  
მიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონ-  
ვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს  
პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო  
სასამართლის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან გან-  
ჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვე-  
ბის თაობაზე.

38. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი  
საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცე-  
სო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზე-  
მოთ მითითებული საფუძვლით.

39. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრით სადაცოდ  
არის გამხდარი დაკავებული თანამდებობიდან დასაქმებულის

გათავისუფლების შესახებ ბრძანების მართლზომიერება. კასატორის ძირითადი პრეტენზია ეფუძნება იმას, რომ მის მიმართ დამსაქმებელს არ უნდა გამოეყენებინა ყველაზე მკაცრი სახედელი – სამუშაოდან დათხოვნა. მას შეეძლო გამოეყენებინა უფრო მსუბუქი ხასიათის ღონისძიებები – არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაქვითვა ან უფრო დაბალ სახელფასო საფეხურზე გადაყვანა.

40. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანების კანონიერება უნდა შემონმდევ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, რომელის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა.

41. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

42. განსახილველ ძემთხვევები, საქმის მასალებით დადგენილია, რომ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდა მოსარჩელის მიერ შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულებების არაერთგზის დარღვევა, რაც დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებების – დამსაქმებლის მიერ გამოცემული ბრძანებებისა და შიდა აუდიტის დასკვნების შესაბამისად. კერძოდ, მოპასუხის 2014 წლის 16 ივნისის ბრძანებით მოსარჩელეს დისციპლინური გადაცდომისთვის გა-

მოეცხადა შენიშვნა (დისციპლინური სახდელის შეფარდების საფუძველს წარმოადგენდა სააგენტოს შიდა აუდიტის 2014 წლის 12 ივნისის №... დასკვნა), სააგენტოს 2014 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით მოსარჩელეს დისციპლინური გადაცდომისთვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური (დისციპლინური სახდელის შეფარდების საფუძველს წარმოადგენდა სააგენტოს შიდა აუდიტის 2014 წლის 20 აგვისტოს №... დასკვნა), ხოლო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ 2015 წლის 20 მაისის ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის 2015 წლის 5 მაისის ... დასკვნა, რომლის შესაბამისად ირკვევა, რომ 2014 წლის 22 აგვისტოს შემდგომ (ანუ სასტიკი საყვედურის გამოცხადების შემდგომ) ერთი წლის გასვლამდე დასაქმებულმა დაარღვია მისთვის შრომითი ხელშეკრულებით სამსახურებრივად დაკისრებული არაერთი ვალდებულება, მათ შორის: а) 2014 წლის მაისი – 2014 წლის ივლისის პერიოდში შეცდომით მოხდა საქართველოს მოქალაქის სტატუსის განსაზღვრა ი. ქ-ე, მ. ხ-ე და ქ. მ-ზე, რის გამოც გაუქმდა ბავშვებისთვის არასწორად მინიჭებული პირადი ნომრები და შესაბამისი შესწორება შევიდა მათი დაბადების აქტის ჩანაწერებში; ბ) 2014 წლის 14 აპრილს სააგენტოს ა-ს სამოქალაქო რეესტრის სამსახურს მიმართა მოქალაქემ და ითხოვა მისივე ქორწინების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში საცოლის სახელის შესწორება. მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება ცვლილების თაობაზე მიღებულია „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლით დადგენილი 15-დღიანი ვადის დარღვევით, კერძოდ, ნაცვლად 28 აპრილისა, 30 აპრილს; გ) 2014 წლის მარტიდან 2014 წლის 22 აგვისტომდე პერიოდში ფიქსირდება ისეთი დარღვევა, როგორიც არის ადმინისტრაციული წარმოების საქმის მასალების „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული „ამნისტიის მოთხოვნით განცხადების წარდგენისა და განხილვის, აგრეთვე საგამოძიებო ორგანისათვის საქმის განსახილველად გადაგზავნის წესის“ შესაბამისად შემდგომი რეაგირებისათვის საგამოძიებო ორგანოებში გადაგზავნის ვალდებულების შეუსრულებლობა.

43. დადგენილია ასევე და არც საკასაციო საჩივრის ავტორი ხდის სადაცოდ იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნულ დასკვნებში ასახული გადაცდომები ჩადენილია მის მიერ. მოსარჩელეს სადაცოდ არ გაუხდია ასევე სააგენტოს ბრძანებები მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თა-

## ობაზე.

44. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობები, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ გარემოებების დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

45. საკასაციო პალატა აღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, განმარტავს, რომ სარჩელსა და შესაგებელში ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მათი მტკიცების ვალდებულება მხარეებს აკისრიათ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს აფუძნებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი.

46. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დაადგინა სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, და სწორი იურიდიული კვალიფიკაცია მიანიჭა მათ. მოსარჩელემ კი ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საპირისპიროდ, სასამართლოს ვერ წარუდგინა დასაშვები და სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა მის მიერ ჩადენილი გადაცდომების ფაქტს და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს გააბათილებდა.

47. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას დამსაქმებლის მიერ მის მიმართ უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნულ

ვერ გაიზიარებს და მიუთითებს შემდეგს:

48. საქართველოს სასამართლოების მიერ შრომით დავებთან დაკავშირებულ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტებული იქნა, რომ სამსახურიდან პირის გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების მართლზომიერების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ Ultima Ratio-ს პრინციპის დაცვას, რომელიც გულისხმობს, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, მის მიერ ჩადენილი გადაცდომის (დარღვევის) ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული. შესაბამისად, დასაქმებულის მიერ დარღვევის ჩადენისას დამსაქმებლის მიერ გამოყენებული უნდა იქნას ისეთი ზომები, რომლებიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს.

49. ამრიგად, მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლების კვლევისას, სასამართლო ამონმებს დამსაქმებლის უფლების გამოყენებას მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. ამისათვის კი აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელი გარემოებების მართლზომიერების საკითხის შესწავლა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერების შეფასების მიზნით, დადგინდეს დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის ფაქტი, რაც შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის განთავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად (იხ. სუსგ №ას-812-779-2016, 19 ოქტომბერი, 2016 წ.; №ას-1276-1216-2014, 18 მარტი, 2015 წ.; სუსგ №ას-483-457-2015, 7 ოქტომბერი, 2015წ.). ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია დასაქმებულის მიერ შრომის შინაგანაწესის არაერთგზის დარღვევის, ასევე ჩადენილი გადაცდომების გამო ერთი წლის განმავლობაში მის მიმართ დისკიპლინური პასუხისმგებლობის ონონისძიების ორჯერ გამოყენების ფაქტი (შენიშვნისა და სასტკი საყვედურის სახით), საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის ქმედებები მარ-

თებულად შეაფასა იმგვარი ხასიათის დაღვევებად, რომელთა მიმართ არ იყო რეკომენდირებული დამსაქმებლის მიერ დამატებით გამაფრთხილებელი ღონისძიებების გამოყენება დასაქმებულის გამოსწორების მიზნით. სასამართლომ მართებულად დასკვნა, რომ მოსარჩელის ქმედებები წარმოადგენდა დარღვევის იმ სახეს, რომელიც დამსაქმებელს ნდობას უკარგავს მუმაკის მიმართ. აღნიშნული კი გამორიცხავდა დასაქმებულის მიმართ ნაკლებად მყაცრი დისციპლინური ღონისძიების გამოყენებას და, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქმნიდა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისა და მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს.

50. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

51. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ-ები №ას-602-577-2016, 2 სექტემბერი, 2016 წელი; №ას-1052-1013-2016, 28 თებერვალი, 2017 წელი), არც დასაბუთებული პოზიციაა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

52. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უკარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

- მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარ-

ჩეს განუხილველი;

2. კასატორს მ. ხ-ს (პ/ნ: ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2016 წლის 21 სექტემბერს №0 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 (სამასი) ლარის 70% – 210 (ორას ათი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**შრომითი ხელშეკრულების შეცვებაში ღისციალის  
პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 1 წლის  
განვითარებაში შრომითი ხელშეკრულების ან  
შინაგანანესის დარღვევის გამო**

**განერიება  
საქართველოს სახელით**

№ას-654-610-2017

29 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანებების ბათილად ცნობა, სამსახურში  
აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2015 წლის 14 აგვისტოს სს „ს-სა“ და შპს „ს-ს“ (შემდეგში: მოპასუხე, დამსაქმებელი, კომპანია ან კასატორი) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სს „ს-მა“ მისი საქმიანობის ნაწილი ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში მოპასუხეს გადასცა. დამსაქმებლის ვალდებულებას წარმოადგენდა – სს „ს-ის“ მიერ გადაცემული ქონების მხოლოდ ხელშეკრულების მიზნებისათვის გამოყენება და მისი რაიმე ფორმით ექსპლუატაციის არდაშვება მესამე პირთა სასარგებლოდ; მათი მოვლა და ყოველგვარი ხელყოფისგან დაცვა; სს „ს-ის“

დავალებით აბონენტებისათვის მომსახურების გაწევა (იხ. ხელ-შეკრულება 15-615).

2. 2015 წლის 17 აგვისტოს კომპანიასა და ო. კ-ს (შემდეგში: მოსარჩელე, დასაქმებული ან აპელანტი) შორის, განუსაზღვრე-ლი ვადით დაიდო შრომითი ხელშეკრულება (შემდეგში: ხელ-შეკრულება). მოსარჩელე გაფორმდა ქართლის რეგიონალური მომსახურების ცენტრის უბნის უფროსის თანამდებობაზე. შრო-მის ანაზღაურება თვეში 800 (რვაასი) ლარით (საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასა-ხადების ჩათვლით) განისაზღვრა. დასაქმებულის საერთო მო-ვალეობები განისაზღვრა ხელშეკრულებით, შიდა ინსტრუქცი-ებითა და დამსაქმებლის შინაგანესით (იხ. ხელშეკრულება).

3. დასაქმებულს უნდა შეესრულებინა სანიტარული მოთხოვ-ნები, როგორიცაა სამუშაო ადგილის მოწესრიგება; კომპანიის ქონებისა და მოწყობილობების სათანადო მოპყრობა და დაცვა, რაც მოიცავდა ამ უკანასკნელის მიერ დასაქმებულისათვის გა-დაცემულ ქონებაზე მატერიალურ/ფინანსურ პასუხისმგებლო-ბას, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით იყო დადებული, დამ-საქმებელს შეეძლო დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ხელშეკრულე-ბა თუ დასაქმებული დაარღვევდა მის პირობებს.

4. დასაქმებულის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევისათ-ვის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის, მისი ჩადენის გარემოე-ბების გათვალისწინებით, დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო დასაქმებულის მიმართ გამოეყენებინა დისციპლინური პასუ-ხისმგებლობის ერთი ან რამდენიმე ფორმა – ა) სიტყვიერი გაფ-რთხილება; ბ) შენიშვნის გამოცხადება; გ) საყვედურის გამოც-ხადება; დ) სასტიკი საყვედურის გამოცხადება; ე) ადმინისტრა-ციულო ჯარიმის დაწესება/ხელფასის დაკავება; ვ) სამუშაოდან დათხოვნა/ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა (იხ. კომპანიის შინაგანესი).

5. ა. ხ-ის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, მოსარჩე-ლეს გამოეცხადა საყვედური იმ საფუძვლით, რომ ამ უკანას-კნელმა არ მოაწესრიგა გორის უბნის ეზო და მეორადი ტპპ კა-ბელები საწყობში არ ჩააბარა. დისციპლინური გადაცდომის თა-რილია 2016 წლის 15 აპრილი, ხოლო დისციპლინური გადაცდო-მის საფუძველი შინაგანესის 17.8.21 მუხლი – დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრუ-ლება (იხ. კომპანიის გენერალური დირექტორის 2016 წლის 30 მაისის ბრძანება).

6. მ. ფ-ის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, დასაქმე-

ბულს გამოცხადა სასტიკი საყვედური. დისციპლინური გადაც-დომის თარიღია 2016 წლის 17 მაისი, ხოლო დისციპლინური გა-დაცდომის საფუძველი შინაგანანესის 17.8.21 მუხლი – დაკის-რებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება (იხ. კომპანიის გენერალური დირექტორის 2016 წლის 3 ივნისის ბრძანება).

7. დამსაქმებლის გენერალური დირექტორის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანებით, კომპანიის წესებისა და რეგულაციების დარღვევის გამო, დასაქმებული, საქართველოს შრომის კოდექ-სის (შემდეგში: სშკ) 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვე-პუნქტისა და კომპანიის შინაგანანესის 17.8.14 ქვეპუნქტების საფუძველზე, 2016 წლის 14 ივნისიდან დაკავებული თანამდე-ბობიდან გათავისუფლდა (იხ. ბრძანება).

#### **8. სარჩელის საფუძვლები**

8.1. 2016 წლის 4 ივნისს, დასაქმებულმა სარჩელი აღძრა კომ-პანიის წინააღმდეგ, საყვედურისა და სასტიკი საყვედურის გა-მოცხადების, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძა-ნებების ბათოლად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულე-ბითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

8.2. მოსარჩელემ ამ განჩინების 1-7 პუნქტებში დასახელე-ბულ გარემოებზე მითითებით აღნიშნა, რომ კომპანია მიზან-მიმართულად ახორციელებდა მის დისციპლინურ დევნას, რა-თა დისციპლინური სახდელების დაკისრებით, მისი სამსახური-დან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები შეექმნა.

#### **9. მოპასუხის შესაგებელი**

9.1. მოპასუხებ მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება გამოწვეული იყო დასაქმებულისათვის დაკისრებული ძირითა-დი მოვალეობების უხეში დარღვევით.

9.2. მოპასუხებ 2016 წლის 20 მაისის ახსნა-განმარტებით ბა-რათზე მიუთითა, რომლითაც დასაქმებული აღიარებდა მის მი-ერ შეუსრულებელ და არაჯეროვნად შესრულებულ სამუშაო-ებს.

#### **10. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

10.1. გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომ-ბრის გადაწყვეტილებით დასაქმებულის სარჩელი არ დაკმაყ-ფილდა.

10.2. სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-3, მე-4, 102-ე, 105-ე მუხლებით, სშკ-ის პირველი, მეორე, 37-ე, 38-ე მუხლე-

ბით და დადგენილად მიიჩნია, რომ დასაქმებულმა შრომითი ხელშეკრულებითა და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულება დაარღვია, იგი არ ასრულებდა თანამდებობრივი ინსტრუქციით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რასაც მისივე ახსნა-განმარტებითი ბარათები ადასტურებდა.

10.3. სასამართლომ, ასევე გამოიყენა ევროპის სოციალური ქარტის 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც მხარეებს ავალდებულებს ალიარონ ყველა მუშაკის უფლება, უარი თქვან დასაქმების შენეცვეტაზე საპატიო მიზეზის გარეშე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე, საწარმოს შინაგანაწესიდან.

10.4. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, მოსარჩელს მტკიცება, რომ მისი მოპასუხეს სამსახურიდან გათავისუფლების ინტერესი გააჩნდა მოპასუხეს, ვინაიდან ალინშნული არ დასტურდებოდა. მოპასუხეს სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ანალოგიური დარღვევებისათვის სხვა უბნის უფროსებიც გაათავისუფლა.

### **11. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები**

11.1. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და სარჩელის სრულად დაკამაყოფილება მოთხოვა შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

11.2. აპელანტის განმარტებით, მოპასუხემ ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რაც დასაქმებულის მიერ ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას დაადასტურებდა და შესაბამისად, მის მიმართ სახდელების გამოყენებას გაამართლებდა.

11.3. აპელანტის მითითებით, მას წესები და რეგულაციები არასდროს დაურღვევია და თანამდებობრივ ინსტრუქციას ყოველთვის პირნათლად ასრულებდა. პირიქით, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, თავად კომპანია არ ქმნიდა შესაბამის სამუშაო პირობებს და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას დიდი ძალისხმევის შედეგად ახერხებდა.

11.4. აპელანტის მოსაზრებით, მოკლე პერიოდში მის მიმართ სახდელის დადების თაობაზე ბრძანების გამოტანა და ამის შემდეგ დასაქმებულის გათავისუფლება იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ დამსაქმებლის მიზანს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენდა. ამასთან, მოპასუხემ თავისი უფლება არამართლზომიერად გამოიყენა, რადგან ერთი გადაცდომისათვის დასაქმებულს ჯერ საყვედური გამოუცხადა და შემდეგ იმავე დარღვევისათვის იგი სამსახურიდან გაათავისუფლა.

## **12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაემაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, იგი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე და კომპანიას დასაქმებულის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, სამუშაოდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, ყოველთვიურად 800 ლარის გადახდა დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების 1-7 პუნქტებში აღნიშნული გარემოებები და განმარტა, რომ სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელი იყო მხოლოდ ადმინისტრაციის ბრძანებაში შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად.

12.3. სასამართლომ დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტი დადასტურებულად მიიჩნია, თუმცა აღნიშნა, რომ კომპანიის გენერალური დირექტორის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება, დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ დაუსაბუთებელი იყო.

12.4. სასამართლომ ყურადღება გაამსხვილა იმ გარემოებაზე, რომ დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველს კომპანიის წესების და რეგულაციების დარღვევა წარმოადგენდა, მხარეები სადაცოდ არ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებული დარღვევებისათვის, მოსარჩელეს სადაცო ბრძანების გამოცემამდე, კომპანიის გენერალური დირექტორის 2016 წლის 3 ივნისის ბრძანებით საყვედური გამოეცხადა.

12.5. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულების და შინაგანანესის ის დებულება, რომელსაც დამსაქმებელი დაეყრდნო, ბათილი იყო, რადგან ეწინააღმდეგბოდა სშვ-ის პირველი მუხლის მესამე ნაწილს და მე-13 მუხლის მეოთხე ნაწილს. კერძოდ დადგენილი იყო, რომ დასაქმებულმა არ შეასრულა შრომის ხელშეკრულებით გათვალის-

წინებული ვალდებულება და ამისთვის მას დისციპლინარულ სახდელად სასტიკი საყვედური შეეფარდა, დამსაქმებელმა კი, იმავე დარღვევის ჩადენისათვის კიდევ დასაჯა დასაქმებული და ათი დღის შემდეგ სამსახურიდან დაითხოვა.

12.6. სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია ერთი გა-დაცდომისათვის ერთდროულად ორი დისციპლინარული სახდე-ლის გამოყენება. მისი გამოყენების მიზანია ხელახალი დარღვე-ვის პრევენცია, რომლის მიღწევაც თავდაპირველად შესაძლე-ბელია შედარებით მსუბუქი სახდელის გამოყენებით, ხოლო ერ-თდროულად ორი სახდელის გამოყენება დაუშვებელია, რად-გან ამ დროს დასაქმებულს არ ეძლევა საშუალება გამოასწო-როს დაშვებული გადაცდომა.

12.7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 54-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ ბათილად ცნო მოსარ-ჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, ხო-ლო სშკ-ის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის, 44-ე მუხლის, სსკ-ის 408-ე, 411-ე მუხლების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრუ-ლების არამართლზომიერად მოშლის მომენტიდან დასაქმებუ-ლის სამუშაოზე აღდგენამდე დრო დამსაქმებლის ბრალით გა-მოწვეულ მოცდენად მიიჩნია და მისი ანაზღაურება დაკისრა მოპასუხეს.

12.8. სასამართლომ სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილზე მითი-თებით განმარტა, რომ შრომის სამართლის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულების შეწ-ყვეტის ბათილად ცნობა იმ სოციალური სამართლიანობის აღ-დგენის წინაპირობაა, რომელიც იარსებებდა, რომ არა დამსაქ-მებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვე-ტა. შესაბამისად, როდესაც უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტი ხელშეკრულების შეწყვეტის ბათილად ცნობასა და პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენას ითხოვს, აღნიშნული მოთხოვნა დასაქმებულის უპირატესი უფლებაა, რადგან მისი დათხოვნა, მისივე უკანონო გათავისუფლების თანმდევი შედეგია, შესაბა-მისად, დათხოვნის უკანონოდ ცნობის პირობებში, უკანონოდ დათხოვნილის მოთხოვნა, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღ-დგენის თაობაზე, დაცვის ლირის ლეგიტიმური ინტერესის შემ-ცველია.

12.9. სასამართლომ მიუთითა, რომ პირველ რიგში მხედვე-ლობაში უნდა ყოფილიყო მიღებული პირვანდელ სამუშაო ად-გილზე აღდგენის ობიექტური შესაძლებლობა, კერძოდ, იგივე სამუშაო ადგილის არსებობა. მითითებული გარემოების თაობა-ზე მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრებოდა, კერძოდ,

მას უნდა დაედასტურებინა რომ პირვანდელი სამუშაო ადგილი აღარ არსებობს ან დაკავებულია (ისეთი პირის მიერ, ვინც ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია). მოპასუხეს არ წარუდგენია სასამართლოსათვის იმის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება, რომ დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა შეუძლებელია იყო.

### **13. საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

13.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხები მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

13.2. კასატორმა აღნიშნა, რომ დასაქმებულის გათავისუფლებას წინ უძლოდა მის მიერ ვალდებულების დარღვევა, რაც საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით ნათლად დასტურდება და რასაც თავად დასაქმებულიც აღიარებდა.

13.3. კასატორის განმარტებით, მოსარჩელის პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენა შეუძლებელია, რადგან კომპანიაში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად აღნიშნული შტატი აღარ არსებობს.

### **14. საკასაციო სამართალნარმოების ეტაპი**

14.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებულია სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია შემდეგი არგუმენტაციით:

15. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე საგარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არ-

სებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ენინაალმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონტებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს, არსებითად განსახილველად დაეშვა საკასაციო განაცხადი.

17. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოხსენებული საფუძვლით.

18. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არ-

სებული პრაქტიკისაგან.

19. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ მტკიცების ტვირთი სწორად გადანაწილდა მხარე-ებს შორის (იხ. წინამდებარე განჩინების 12.2-12.9 ქვეპუნქტები) სწორედ იმ სპეციფიკურობის გათვალისწინებით, რაც წინაშინდობლივია შრომითსამართლებრივი ურთიერთობისათვის. „შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (იხ. სტუ-ის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი). შრომითი ურთიერთობებისადმი წმინდა სახელშეკრულები მიდგომის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, რადგან კლასიკურად ასეთი ურთიერთობა მოიცავს მის მონაწილეთა შეთანხმებას თანაბარ საწყისებზე, მაშინ, როდესაც შრომით ურთიერთობაში ერთი პირი ნებაყოფლობით თანხმდება მეორის დაქვემდებარებაში ყოფნას“ (იხ. სუსგ №ას-98-94-2016, 26.07.2016წ). „საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სასამართლოს უპირველესი ფუნქციაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაა. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამონებს უფლების გამოყენების მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი, აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელი გარემოებების მართლზომიერების საკითხის შესწავლა. სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად“ (იხ. სუსგ №1391-1312-2012, 10.01.2014წ; შდრ. სუსგ №ას-570-545-2016, 03.02.2017წ.). მოცემულ შემთხვევაში დაცულია კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი, რაც სამართალწარმოებისას უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის (სსსკ-ის მე-4-5 მუხლები) საფუძველზე დავის განხილვასა და გადაწყვეტას.

20. **საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დამსაქმებლის**

## **პრეტენზიებს, რომ:**

20.1. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლება უკანონოდ, რადგან საქმეში წარდგენილი მთელი რიგი მტკიცებულებებით დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის ფაქტები;

20.2. დასაქმებულის პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენა შეუძლებელია, რადგან კომპანიაში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად უბნის უფროსის შტატი აღარ არსებობს.

21. კასატორის პრეტენზიებთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დასაქმებულისათვის სასტიკი საყვედურის გამოცხადებიდან 10 დღეში, იმავე დარღვევისათვის, მისი სამსახურიდან გათავისუფლება არაგონივრული და მიზანშეუწონელია. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას მოიხმობს: „შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას აქვს პრიორიტეტი მის რღვევასთან შედარებით. შესაბამისად, მართალია, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი მუშაკის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევაცაა, თუმცა, ნიშანდობლივია, დასაქმებულთა შრომის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ პრინციპი, რომლის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მისი ჩადენის სიხმირის, სიმძიმის და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, შრომის სამართალში „Ultima Ratio“-ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაცდომას) და გათავისუფლებას შორის ზომიერი ბალანსის დაცულობას. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასხორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთეს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის“

(იხ. სუსგ №ას-416-399-2016, 29.06.2016წ.)

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა საქმისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა გარემოება და დადგენილ ფაქტებს მართებული იურიდიული კვალიფიკაცია მისცა. კასატორს არ წარმოუდგენია არც ერთი არგუმენტი, დასაბუთებული შედაგება, თუ რა საფუძვლით უნდა იქნეს დასაშვებად ცნობილი ნარმოდგენილი საკასაციო განაცხადი.

23. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს დამსაქმებლის მიერ გამოცემული ბრძანების არამართლზომიერებისა და იურიდიული დაუსაბუთებულობის შესახებ. ასევე, დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, სსკ-ის 38.8-ე მუხლის თაობაზე (იხ. 12.8-12.9 ქვეპუნქტები). მოპასუხე კომპანიას არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება, რომ დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა ობიექტურად შეუძლებელია, რაც მისი კუთვნილი მტკიცების ტვირთი იყო, რომლის ჯეროვნად შესრულება მხარემ ვერ უზრუნველყო. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ თვალსაზრისითაც შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას (იხ. სუსგ-ები: №ას-705-659-2017, 12.09.2017წ; №ას-416-399-16, 29.06.2016წ; №ას-812-779-2016, 19.10.2016წ; №ას-1276-1216-2014, 18.03.2015წ; №ას-483-457-2015, 07.10.2015წ.). საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში დაადგინა, რომ დამსაქმებლისთვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონით მინიჭებული უფლება (ხელშეკრულებიდან გასვლა) უნდა განხორციელდეს მართლზომიერად (სსკ-ის 115-ე მუხლი; იხ. სუსგ-ები №ას-1155-1086-2015, 02.02.2016წ; №ას-545-513-2012, 05.10.2012წ; №ას-549-517-2010, 19.10.2010 წ; №ას-545-513-2012, 05.10.2012წ).

24. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დაუსაბუთებულობა ყოველმხრივ და ობიექტიურად გამოიკვლია, შესაბამისად, გადაწყვეტილება გამოიტანა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში და შრომითსამართლებრივ დაცებზე დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძვლზე, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე მიუთითებს.

25. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლიანო-

ბის, კანონიერებისა და მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპების, შრომითი დავის განხილვისას მხარეთა შორის თანაზომიერი ბალანსის დაცვის გათვალისწინებით, დასაბუთებული და კანონიერია.

26. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დამსაქმებლის საკასაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს საპროცესო კოდექსით დადგენილ წინაპირობებს, რათა არსებითად განსახილველად იქნეს დაშვებული.

27. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქადაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3 მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ს-ას“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. შპს „ს-ას“ (ს/ნ 4-) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 1440 ლარის (საგადახდო დავალება №125, გადახდის თარიღი 2017 წლის 8 ივნისი), 70% – 1008 ლარი;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლოს მიერ შრომითი ხელშეკრულების  
შეცვალების შესახებ გადაცვალითი ხელშეკრულების პათილად  
ცნობის შედეგები**

**განხილვა  
სასამართლოს სახელით**

№ას-1122-1042-2017

4 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღ-  
დგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. ზ. გ-ასა (შემდეგში: დასაქმებული ან მოსარჩელე) და შპს „დ-ს“ (შემდეგში: დამსაქმებელი ან მოპასუხე) შორის 2012 წლის 03 დეკემბერს დაიდო შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულე-  
ბის მიხედვით, დასაქმებული დაინიშნა ამცრელი ექთნის პოზი-  
ციაზე.

2. დამსაქმებლის 2013 წლის 3 იანვრის №01/03 ბრძანებით  
თანამშრომლებისათვის 2012 წლის 03 დეკემბერს გაფორმებუ-  
ლი ხელშეკრულებები გაგრძელდა 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათ-  
ვლით.

3. 2014 წლის 3 იანვარს (12/2014წ. კონტრაქტი) დასაქმებულ-  
სა და დამსაქმებელს შორის დაიდო შრომის ხელშეკრულება,  
რომლითაც დასაქმებული ამცრელი ექთნის პოზიციაზე დაინიშ-  
ნა.

4. დამსაქმებლის 2014 წლის 2 ივლისის №01/25 ბრძანებით  
საზოგადოებაში 2014 წლის 3 იანვრის შრომითი ხელშეკრულე-  
ბები ექვსი თვით გაგრძელდა.

5. 2015 წლის 05 იანვრიდან დასაქმებულსა და დამსაქმე-  
ბელს შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება №12/2015წ.,  
რომლითაც მოსარჩელე დაინიშნა ამცრელი ექთნის პოზიცია-  
ზე.

6. დამსაქმებლის 2015 წლის 8 ივნისის №02/01 ბრძანებით  
საზოგადოების თანამშრომლებს 2015 წლის 5 იანვრის შრომითი

ხელშეკრულებები 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაუგრძელდათ.

7. დამსაქმებლის 2016 წლის მარტის №01/12 ბრძანების საფუძველზე, დასაქმებულს დადგენილი დისციპლინური ნორმების, ეთიკისა და დაწესებულების ხელმძღვანელის მიმართ გაკეთებული ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო საყვედური მიეცა.

8. 2016 წლის 16 ივნისის №02/03 ბრძანებით დასაქმებული გათავისუფლდა სამსახურიდან. გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სშკ-ის) 37-ე მუხლის „ზ“ და „თ“ პუნქტები.

9. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა: დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, მოპასუხის 2016 წლის 16 მარტის №01/12 ბრძანების ბათილად ცნობა, ამცრელი ექთნის თანამდებობაზე მოსარჩელისათვის შრომით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მოპასუხის დირექტორის 2016 წლის 16 ივნისის №02/03 ბრძანების ბათილად ცნობა და მოსარჩელის ამცრელი ექთნის პოზიციაზე სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსპ-ის) 54-ე, 409-ე, 411-ე; სშკ-ის 44-ე, 32-ე მუხლები].

10. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხის 2016 წლის 16 ივნისის №02/03 ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი; მოსარჩელე აღდგენილ იქნა ამცრელი ექთნის თანამდებობაზე; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის – თვეში 150 ლარი, (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით) ანაზღაურება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

11. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხებ.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-4 და მე-5 პუნქტები და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 4000 ლარის ოდენობით. სახელმწიფო ბაჟის სანაცვლო ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

13. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ გან-

ჩინების პპ: 1-8 დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

14. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომის ხელშეკრულების დარღვევის საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერების მტკიცების ტვირთის რეალიზების ოვალსაზრისით, წარმოდგენილ უნდა იქნეს არამხოლოდ დასაქმებულის მიმართ დისციპლინური ზომის გამოყენებისა და მისი გათავისუფლების ამსახველი მტკიცებულებები, არამედ თავად დისციპლინური ზომის გამოყენებისა და, შემდეგომ, დასაქმებულის გათავისუფლების ფაქტობრივი საფუძვლები, რამეთუ, დასაქმებულის მიმართ დისციპლინური ზომის გამოყენება და მისი გათავისუფლება შედეგია, რომლის მართლზომიერების შემოწმება იმ პროცესის შეფასებით ხორციელდება, რომლის საფუძველზეც დამსაქმებელი აღნიშნულ შედეგამდე მივიდა.

15. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის (დამსაქმებლის) ახსნა-განმარტებით, მოსარჩევესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი ის გარემოება გახდა, რომ მოსარჩელე შრომის შინაგანანესს უხემად არღვევდა და სამსახურში ქცევის ელემენტარულ წესრიგს არ იცავდა, არაერთხელ შევიდა კონფლიქტში თანამშრომლებთან, როგორც სამსახურში, ისე მის გარეთ. კონფლიქტური სიტუაციების გამო, მოსარჩელე სამსახურის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა და თანამშრომლებს არასახარიბიელო მდგომარეობაში აყენებდა. შესაბამისად, იგი სამსახურში არაჯანსაღ სამუშაო გარემოს ქმნიდა.

16. ზემოაღნიშნული გარემოებების დასადასტურებლად, დამსაქმებელმა გ. გ-ას ჩვენებაზე მიუთითა, რომელი ჩვენებაც ასახულია დეტექტივის თანამემნე/გამომძიებელთან ზეპირი გა-საუბრების ოქმში და რომლითაც დასტურდება, რომ დასაქმებულმა გ. გ-ას მის საცხოვრებელ სახლთან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. გ-ა მოპასუხე პოლიკლინიკის ერთ-ერთი თანამშრომლის – 6. ე-ს მეუღლეა. სააპელაციო პალატის მითითებით თანაშემნე/გამომძიებელთან ზეპირი გასაუბრების ოქმიდან არ ჩანს შელაპარაკების მიზეზი, გამომწვევი ფაქტორები, მაპროვოცირებელი გარემოებები და ა. შ. უფრო მეტიც, დასაქმებულის მხრიდან ხელმძღვანელის მეუღლესთან ქუჩაში შელაპარაკება, დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული.

17. სააპელაციო პალატამ აგრეთვე შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ოჯახის ექიმის, შ. ა-ს 2013 წლის 18 იანვრის განცხადე-

ბა, სადაც იგი განმარტავდა, რომ მოსარჩელე მას ხშირად შეურაცხყოფას აყენებდა, რის გამოც, იგი შესაბამისი ზომების მიღებას ითხოვდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული განცხადების საფუძველზე მოსარჩელეს 2013 წლის 22 იანვარს, დისციპლინური ღონისძიების სახით, მკაფიო საყვეფური გამოეცხადა. საქმის მასალებით არ დასტურდება აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით მოკვლევის ჩატარება, გარემოებები, რამაც შ. ა-სა და მოსარჩელეს შორის ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია. უფრო მეტიც, საქმის მასალებით არ მტკიცდება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით მოსარჩელის გამოკითხვის ფაქტი. საქმის მასალებით არც მოსარჩელისათვის მითითებული დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე ბრძანების გაცნობა დასტურდება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ 2013 წლის 22 იანვრის ბრძანებაზე დაყრდნობით არ დასტურდებოდა მოსარჩელის მხრიდან შ. ა-სათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. მით უფრო, რომ თავად შ. ა. სასამართლო სხდომაზე მოწმედ დაკითხული არ ყოფილა.

18. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა მოწმის ქ. ლ-ს ჩვენების შინაარსიც. (იხ. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის 2016 წლის 28 სექტემბრის სხდომის ოქმი). მოწმის განმარტებით, მას მოსარჩელესთან კონფლიქტი არ ჰქონია. მოსარჩელემ ბოლო დროს საამსახურზე გული აიყარა. იგი რასაც საჭიროდ თვლიდა, იმას აკეთებდა. პაციენტებს ნაწილობრივ თავად იღებდა, ნაწილობრივ მოსარჩელე. იგი მის მითითებებს არ ასრულებდა, თუმცა, პედიატრიულ კაბინეტში წინააღმდეგობის თავიდან აცილების მიზნით პრობლემებს არ ქმნიდა. მოწმის განმარტებით, მოსარჩელემ თავისი საქმე იცის. მას თანამშრომლებთან კონფლიქტის შესახებ სმენია, თუმცა, დეტალები არ იცის. არც სურვილი აქვს დეტალებზე საუბრის. მისი მხრიდან კი ვალდებულების დარღვევა იმაში მდგომარეობდა, რომ ასაცრელი მასალა მას (ექიმს) თავად მოჰქონდა, რაც ექთნის ვალდებულებას წარმოადგენდა. უურნალს მითითებისამებრ არ ავსებდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უშუალო ექიმთან კონფლიქტური ურთიერთობა არ ჰქონდა, თუმცა, იგი, როგორც ექთანი, მასზე დაკისრებულ ყველა მოვალეობას არ ასრულებდა.

19. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია სადაცო არ იყო, თუმცა, მოპასუხე (აპელანტი, დამსაქმებელი) შესაგებელსა და მის მიერ წარმოდგენილ მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით ამ-

ტკიცებდა, რომ მოსარჩელე მასზე დაკისრებულ რიგ ვალდებულებებს არ ასრულებდა. მის მოვალეობათა შორის ჟურნალის სათანადო და ჯეროვანი წარმოება შედიოდა.

20. დამსაქმებელმა დასაქმებულის ვალდებულების წარმოშობის წყაროდ შინაგანანესზე მიუთითა, რასთან დაკავშირებითაც სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ როდესაც დამსაქმებელი დასაქმებულს შრომითი ვალდებულებების დარღვევას ედავება, ასეთ ვითარებაში, დამსაქმებელი ვალდებულია, დაადასტუროს შრომითი მოვალეობის დარღვევის ფაქტი. ალნიშნული მიზნით დამსაქმებელმა უნდა დაამტკიცოს დასაქმებულის ვალდებულების არსებობა – შესრულებინა ესა თუ ის სამუხა.

21. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ სსკ-ის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე მიუთითა, რომლითაც ვალდებულების წარმომშობ ერთ-ერთ საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს და განმარტა, რომ როდესაც დამსაქმებელი დასაქმებულს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას ედავება, დამსაქმებელმა დასაქმებულის მიერ ხელმოწერილი შრომითი ხელშეკრულება უნდა წარმოადგინოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მხრიდან შინაგანანესის დარღვევაზე აპელირებს, ასეთ შემთხვევაში, დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს, თუ რის საფუძველზეა დასაქმებული შინაგანანესის შესრულებაზე ვალდებული სუბიექტი. გარდა ამისა, შინაგანანესის დებულებები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. შინაგანანესის ტექსტი და მასში შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება დასაქმებულისათვის ცნობილი უნდა იყოს. შინაგანანესის ხელმისაწვდომობას დამსაქმებელი უნდა უზრუნველყოფდეს. დამსაქმებლის მითითებული ვალდებულება გამომდინარეობს დასაქმებულის უფლება-მოვალეობების „განჭვრეტადობის“ პრინციპიდან, სხვაგვარი დაშვების პირობებში, დასაქმებული მის ხელთ არსებულ შინაგანანესში, თავისი ინიციატივით, ისეთ პირობებს (ცვლილებებს) შეიტანს, რომელიც დასაქმებულისათვის ცნობილი არ იქნება და ყოველთვის შეიქმნება დასაქმებულის მხრიდან ალნიშნული შინაგანანესის დარღვევის წინაპირობა. უფრო მეტიც, დასაქმებულის უფლება-მოვალეობა შეიძლება ისეთი სპეციფიური ღონისძიებების გატარებასა, თუ უფლებამოსილების განხორციელებას მოითხოვდეს, რაც დასაქმებულის სამუშაო აღნერილობიდან პირდაპირ არ დგინდება. ასეთ შემთხვევაშიც ინფორმაციის მიწოდება დამსაქმებლის ვალდებულებაა და ალნიშნული ვალდებულების განხორციელების დამადასტუ-

რებელი მტკიცებულებაც მისი წარმოსადგენია [სშე-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 318-ე მუხლი]. ამდენად, დამსაქმებელს უნდა წარმოედგინა მტკიცებულება მასზედ, თუ რა სამუშაო აღნერილობა შედიოდა მოსარჩელის, როგორც ამცრელი ექთნის მოვალეობაში, ასევე უნდა წარმოედგინა მტკიცებულება, რომ აღნიშნული მოვალეობის თაობაზე მოსარჩელე ინფორმირებული იყო. მასვე უნდა უზრუნველეყო მტკიცებულებების წარმოდგენა იმის დასამტკიცებლად, რომ მოსარჩელე მასზე დაკისრებულ შრომით მოვალეობას არ ასრულებდა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოებების დადასტურება მხოლოდ მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით შეუძლებელია. მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც მონმებ სრულყოფილად ვერ განმარტავს, თუ რა შედიოდა მოსარჩელის ვალდებულებაში, რის საფუძველზე ამტკიცებდა, რომ აღნიშნული სწორედ ამცრელი ექთნის მოვალეობას წარმოადგენდა და ა.შ. მხოლოდ დამკვიდრებული შეხედულება, რომ „ყველა ექთანი ასე იქცევა..“, მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ გამოდგებოდა.

22. საბოლოოდ, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევა ვერ დაადასტურა, რაც მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერი საფუძველი შეიძლება გამზღვიული რიცხვი, რის გამოც, მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

23. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის პირვენდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, შემდეგ გარემოებათა გამო:

24. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უვადო ხელშეკრულების შეწყვეტის ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან ხელშეკრულების გაგრძელებულად მიჩნევაა, თუმცა, ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელებულად მიჩნევას სშე-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი გამორიცხავს და ხელშეკრულების შეწყვეტის ბათილობის პირობებში, უფლებრივი რესტიტუციის სამ მექანიზმს ითვალისწინებს: პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას, ტოლფასს თანამდებობაზე დასაქმებას, ან კომპენსაციას.

25. ზემოაღნიშნული შესაძლებლობები, რიგითობის მიხედვით უნდა იქნეს განხილული, კერძოდ, შრომითი ხელშეკრულე-

ბის ბათილობის პირობებში, შედეგობრივი თვალსაზრისით მი-იჩნევა, რომ დასაქმებულთან დადებული ხელშეკრულება არც შეწყვეტილა. შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის ბათი-ლობის უპირველესი და ყველაზე მართებული სამართლებრივი შედეგი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაა.

26. თუმცა, ვინაიდან სშ-ი დასაქმებულის უფლებებში რეს-ტიტუციის სხვა შესაძლებლობებსაც იძლევა, აღნიშნული ნიშ-ნავს იმას, რომ როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგე-ნა შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია, გამოკვლეულ უნდა იქ-ნეს სშ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სხვა შესაძლებლობები, კერძოდ, დასაქმებულის ტოლფას თანამდე-ბობაზე აღდგენისა და კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობა.

27. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაე-სი სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის №ას-588-556-2014 გან-ჩინებაზე და აღნიშნა, რომ დასახელებულ განჩინებაში სასა-მართლო განმარტავს, რომ: „სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოიყვლია არსებობდა, თუ არა, ის თანამდებობა, რომელზე აღდგენასაც მოსარჩევე ითხოვს. იმ შემთხვევაში, თუ ხსენე-ბული თანამდებობა გაუქმდებულია და, შესაბამისად, პირვანდელ სამუშაო ადგილზე მოსარჩელის აღდგენა შეუძლებელია, სასა-მართლომ, შესაძლებელია, მოსარჩელის ტოლფას თანამდებო-ბაზე აღდგენის თაობაზე იმჯელოს, ხოლო, თუ ასეთი თანამ-დებობაც არ არსებობს, მაშინ უნდა გაირკვეს, არსებობს, თუ არა, მოსარჩელისათვის კომპენსაციის გადახდის ნინაპირობე-ბი“.

28. სააპელაციო პალატამ აღნიშნა ისიც, რომ შრომის სამარ-თლის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე, შრომი-თი ხელშეკრულების შეწყვეტის ბათილად ცნობა იმ სოციალუ-რი სამართლიანობის აღდგენის ნინაპირობაა, რომელიც იარსე-ბებდა, რომ არა დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრუ-ლების უკანონოდ შეწყვეტა. შესაბამისად, როდესაც უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტი ხელშეკრულების შეწყვეტის ბათილად ცნობასა და პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენას ითხოვს, აღნიშნული მოთხოვნა დასაქმებულის უპირატესი უფლებაა, რადგან მისი დათხოვნა, მისივე უკანონო გათავისუფლების თან-მდევი შედეგი. შესაბამისად, დათხოვნის უკანონოდ ცნობის პირობებში, უკანონოდ დათხოვნილის მოთხოვნა, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის თაობაზე, დაცვის ღირსი ლეგი-ტიმური ინტერესის შემცველია. თუმცა, აღნიშნული უფლება აბსოლუტური კატეგორია არ არის და მისი დაკმაყოფილება გარ-კვეულ ნინაპირობებზეა დამოკიდებული. სწორედ ამგვარი

მსჯელობის განვითარების შედეგია სშპ-ის 38-ე მუხლით გათვალისწინებული შრომის უფლებებში აღდგენის სამი ალტერნატივა. ამ მიმართებით, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის ობიექტური შესაძლებლობა, კერძოდ, იგივე სამუშაო ადგილის არსებობა. მითითებული გარემოების თაობაზე მტკიცების ტვირთი დამსაქმებლის მხარეზეა. მან უნდა ადასტუროს ფაქტი მასზედ, რომ პირვანდელი სამუშაო ადგილი აღარ არსებობს, ან არსებობს, თუმცა, დაკავებულია. მისივე მტკიცების საგანში შედის იმის დადასტურება, რომ მესამე პირი სადაცო პოზიციას იკავებს და იგი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია, და რომ საადავო პოზიციის მესამე პირის მხრიდან დაკავება ფორმალურ ხასიათს არ ატარებს და მხოლოდ რეალური საჭიროებიდან გამომდინარეობს. ამავდროულად, დამსაქმებლის პატივსადები ინტერესი გათავისუფლებულ დასაქმებულთან სამსახურებრივი ურთიერთობის გაგრძელების შეუძლებლობაშიც შეიძლება მდგომარეობდეს.

29. განსახილვები შემთხვევაში, მოპასუხე კლინიკაში ყველა ექთნის პოზიცია დაკავებულია. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხედველობაში იყო მისაღები ის გართულებული ურთიერთობები, რაც დამსაქმებელსა და დასაქმებულ შორის არსებობდა. სააპელაციო პალატის მითითებით აღნიშნულ გარემოებას ადასტურებდა თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოსარჩელის განმარტება მასზედ, რომ „...ხოლო რაც შეეხება, 04.04.2012 წლის მოხსენებით ბარათს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის სახელზე, მოგახსენებთ, რომ პოლიკლინიკის დირექტორის თანამდებობაზე მისი დანიშვნის წინააღმდეგი იყო მთელი კოლექტივი და ყველა გამოთქვამდა პროტესტს და არა მხოლოდ მე და ქ-ნი ქ. ლ-ა, როგორც მოხსენებით ბარათშია აღნიშნული. ამის დასადასტურებლად გამოდგება ის ფაქტი, რომ 04.04.2012 წ. როცა ქ-ნ ე-ს თანამშრომლები არ უშვებდნენ დაწესებულებაში, თანამშრომელთა დასაწყისა არ აღმოჩნდა წ-ში მოქმედი პოლიციის განყოფილების თანამშრომლები და ქ. თბილისიდან გამოძახებული იქნა დამხმარე ძალა, რომლებიც შემდგომში მთელი კვირის განმავლობაში პატრულირებდნენ პოლიკლინიკის შენობას“.

30. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დამსაქმებელ-სა და დასაქმებულს შორის გართულებულ შრომით ურთიერთობაზე მეტყველებდა ასევე ის არაერთი განცხადება, რომლითაც მოსარჩელე ადმინისტრაციულ ორგანოებს მიმართავდა.

31. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულება გამძაფრებული კონფლიქტის ნიადაგზე არასწორად შეწყდა, თუმცა, შეწყვეტის მართებული სამართლებრივი შედეგი მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენა კი არა, მისი გონივრული კომპენსირებაა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, უკანონოდ გათავისუფლებული მუშაյის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა მიზანშენონილი არ არის, მაშინ, როდესაც გართულებული შრომითი ურთიერთობა სამუშაოს შესრულების შემაფერხებელ გარემოებად განიხილება, რაც, განსახილველ შემთხვევაში, ცხადად სახეზეა. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებდა, რომ დღეის მდგომარეობით ექტნის ვაკანტური პოზიცია არ არსებობდა, მოპასუხე პოლიკლინიკა კი, სახელმწიფოს დაფუძნებული საზოგადოებაა, შესაბამისად, შტატების გაზრდის თაობაზე სახელმწიფოს სათანადო ორგანოს ნებაა საჭირო.

32. კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სშე-ი არ აწესებს კომპენსაციის მინიმალურ, ან მაქსიმალურ ოდენობას. არ განსაზღვრავს კომპენსაციის გამოანგარიშების ნესსა და კრიტერიუმებს. შესაბამისად, სასამართლომ იმ შრომის სამართლებრივი „კარგი პრაქტიკით“ უნდა იხელმძღვანელოს, რასაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს. შრომითსამართლებრივი კომპენსაცია ერთდროულად ფარავს იმ მატერიალურ დანაკარგს, რაც მხარემ უკანონოდ დათხოვნით განიცადა და რასაც იგი, საშუალოდ, შესატყვისი სამსახურის მოქებამდე განიცილის, ასევე იმ მორალურ ზიანს, რაც მას უკანონოდ დათხოვნით მიადგა. ამავდროულად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტის ასაკი, კომპეტენცია, სამსახურის შოვნის პერსპექტივა, ოჯახური მდგომარეობა, სოციალური მდგომარეობა, ასევე დამსაქმებლის ფინანსური მდგომარეობა და ა. შ.

33. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში შიიღო მოსარჩელესთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი (2016 წლის 16 ივნისი), ის ანაზღაურება, რასაც ის ყოველთვიურად იღებდა (150 ლარი), ასევე ხელშეკრულების შეწყვეტიდან გასული დროის პერიოდი (12-13 თვე) და მივიდა დასკვნამდე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, 4 000 ლარი (ხელზე ასაღები) უკანონოდ დათხოვნილი თანამშრომლისათვის ჯეროვანი კომპენსაცია იქნებოდა.

34. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე იმსჯელა მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოყვითალი დაუდასტურებლობაზე და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 3633-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, სარჩელის აღმკრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც, მოპასუხეს იმის მტკიცების ტვირთი ეკისრება, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. იგივე წესს ადგენს არასასამართლო წარმოების დროს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც საგარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. ამდენად, კანონი ადგენს, რომ დისკრიმინაციის ფაქტები სასამართლოს მხარემ (დისკრიმინაციის საგარაუდო მსხვერპლმა) უნდა დაუსახლოს, რათა პრიმა ფაციი დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის პრეზუმაცია შეიქმნას. რაც შეეხება აღნიშნული ფაქტების მტკიცებას, მოსარჩელემ მის ხელთ არსებული და მისთვის მოპოვებადი მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს, ხოლო მოსარჩელის შესაძლებლობის მიღმა მტკიცებულებების წარმოდგენა მოპასუხეს ევალება. უფრო მეტიც, დისკრიმინაციის ფაქტი, სასამართლოს მხრიდან ეს ოფფიციონ, საკუთარი ინიციატივით საკვლევი კატეგორია არ არის. დისკრიმინაციული საფუძვლით გათავისუფლების ამსახველი ფაქტების წარდგენაზე ვალდებული სუბიექტი მოსარჩელეა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ არა მხოლოდ უნდა განსაზღვროს შესადარებელ პირთა წრე, არამედ ასევე დაასაბუთოს აღნიშნულ პირებს შორის არსებითად თანასწორობა. კომპარატორის განსაზღვრაც და კომპარატორის სათანადონბის დასაბუთებაც მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა. უფრო მეტიც, სასამართლო მიიჩნევს, რომ შრომით ურთიერთობაში შესაძლებელია ადგილი ჰერნდეს განსხვავებულ მოპყრობას, თუმცა, აღნიშნული გამოწვეული იყოს სამუშაოს სპეციფიკით, დასაქმებულის უნარ-ჩვევებით, კვალიფიკით, შესრულებული სამუშაოს ხარისხით და ა.შ. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში დასაქმებულმა უნდა მიუთითოს ფაქტები, თუ რაში მდგომარეობდა მის მიმართ (ფისთან შედარებით) არათანაბარი მოპყრობა და რატომ იყო აღნიშნული მოპყრობა მისთვის მისთვის დისკრიმინაციული (დაცული ნიშანი).

35. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

36. პირველმა კასატორმა მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება კომპენსაციის (4000 ლარი) დაკისრების ნაწილში და სადაცოდ მიიჩნია კომპენსაციის გონივრულობა. იმავდროულად, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება კომპენსაციის განსაზღვრის ნაწილში დაუსაბუთებელია.

37. მეორე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში. მეორე კასატორის მოსაზრებით, ვინაიდან დამსაქმებლის 2016 წლის 16 ივნისის №02/03 ბრძანება ცნობილია ბათილად, რაც სააპელაციო ინსტანციაშიც უცვლელად დარჩა, იგი აღდგენილი უნდა იქნას განთავისუფლებამდე დაკავებულ პოზიციაზე, ან უნდა დაკმაყოფილდეს ტოლფასი სამსახურით. მხოლოდ ამ ორი ვარიანტის არ არსებობს შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს მიაკუთხნოს კომპენსაცია. სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის ექთნის პოზიციაზე აღდგენის შეუძლებლობის თაობაზე, მაშინ როდესაც მას არ ეკავა ეს თანამდებობა და არც ითხოვდა ამ პოზიციაზე აღდგენას, დაუსაბუთებელია. მოსარჩელე ითხოვდა აღდგენას ამცრევლი ექთნის პოზიციაზე. მეორე კასატორის განმარტებით, ამცრევლი ექთნის პოზიცია არ წარმოადგენს სრულ საშტატო ერთეულს, ვინაიდან აღნიშნული პოზიცია ითვალისწინებს სამსახურეობრივი ვალდებულების შესრულებას შეთავსებით. მოსარჩელე არის დევნილი, ცხოვრობს იმავე ტერიტორიაზე, სადაც დაარსებიდან განლაგებულია ზემოაღნიშნული სამედიცინო დაწესებულება და 23 წლის განმავლობაში მუშაობდა აღნიშნულ ცენტრში. მისი უკანონოდ განთავისუფლების შემდგომ, აღნიშნულ პოზიციაზე შეთავსებით იქნა მოწვეული თანამშრომელი, რომლის სთვისაც მოსარჩელისაგან განსხვავებით აღნიშნული სამსახური არ არის ერთადერთი. მოსარჩელეს და მის სამსულიან იჯახს სამსახურის დაკარგვის შედეგად მიენიჭა სოციალურად დაუცველის სტატუსი და დაენიშნა ყოველთვიური შემწეობა 50.00 ლარის ოდენობით. მიუხედავად წარმოდგენილი მტკიცებულებისა, სააპელაციო ინსტანციამ არ გაითვალისწინა მისი სოციალური მდგომარეობა და უგულვებელყო ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს აღნიშნული დაწესებულების გარდა სხვა სამუშაო არ ჰქონია არც წ-ის დასაბლებაში და არც თბილისში და მისი დასაქმების პერსპექტივაც არ არსებობს. ამასთან, გაუგებარია კომპენსაციის ოდენობაც, რაც სოციალურად დაუცველი დევნილი იჯახის მატერიალურ

მდგომარეობას ვერ შეამსუბუქებს.

38. მეორე კასატორი სადაცოდ ხდის აგრეთვე დისკრიმინაციის განხორციელების ფაქტის არარსებობასაც და მიაჩნია, რომ სარჩელში დაწვრილებით ჩამოყალიბებულია დისკრიმინაციის ფაქტები: მოსარჩელის გადაყვანა უბნის ექთნის პოზიციიდან ამცრელი ექთნის პოზიციაზე არ გამომდინარეობდა დაწესებულების საჭიროებიდან. უფრო მეტიც, პოზიციების ასეთი ცვლილებით ირღვეოდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 19 ივნისის №01-25/ნ ბრძანება, რომლის თანახმად, პირველადი ჯანმრთელობის მიწოდებას აწარმოებს გუნდ(ებ)ი, რომელიც შედგება ექიმი სპეციალისტისაგან და ექთნისაგან (მუხლი 1. პუნქტი 2). დამსაქმებელმა მოსარჩელეს უბნის ექთნის მოვალეობის მხოლოდ ერთი ნაწილი – ბავშვთა მოსახლეობის აცრა დაუტოვა. ექთნის დანარჩენი სამუშაო კი ექიმს დააკისრა, რაც მოწმის სტატუსით მოწვეულმა ექიმმა ქ. ლ-მ დაადასტურა სააპელაციო სასამართლოში, სადაც აღნიშნა, რომ ექთნის მოვალეობას თავად ასრულებდა, რაც მინისტრის ბრძანებასთან წინააღმდეგობაშია. ასევე, ქ. ლ-ს, ჩვენებით და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს აკისრებდნენ და ის ასრულებდა უბნის ექთნის მოვალეობას სრული მოცულობით 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით. უფრო მეტიც, მას აკისრებდნენ ექიმის მოვალეობასაც – კერძოდ, ვაქცინაციის რეგისტრაციის ფორმების შევსებას. მრავალი წლის განმავლობაში ამცრელი ექთნის პოზიციაზე დასაქმებულს ევალებოდა 2 სამუშაო დღის ნაცვლად ემუშავა 5 სამუშაო დღე ანუ, ევალებოდა სამუშაოს შესრულება სრული საშტატო ერთეულის ექთნის პოზიციის, მაშინ როდესაც გაფორმებული იყო ამცრელი ექთნის პოზიციაზე და იღებდა ხელფასს აღნიშნული პოზიციის გათვალისწინებით. ამასთან, მხოლოდ მოსარჩელე არ იღებდა პრემიას და დანამატს (იხ. სარჩელი სამოქალაქო საქმეზე). აღნიშნულთან დაკავშირებით დირექტორს არცერთ ინსტაციაში არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომელიც გააბათილებდა და დასახელებულ ფაქტებს.

39. სააპელაციო სასამართლომ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის გართულებული შრომით ურთიერთიერთობა ჩათვალა მოსარჩელის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის მიზანშეწონილობის შემაფერხებელ გარემოებად და არ გაითვალისწინა ის, რომ მოსარჩელე იბრძოდა თავისი უფლებების დასაცავად და ამიტომ ამხელდა დირექტორს უკანონო ქმედებებში და მიმართავდა მაკონტროლებელ ორგანოებს კანონიერი

გზით, რაც მისი კონსტიტუციით მინიჭებული უფლებაა. ამ გარემოების სამუშაოს შესრულების შემაფერხებლად მიჩნევა, ზოგადად და ამ კერძო შემთხვევაში, ხელს შეუწყობს დამსაქმებლის უფლებების შეუზღუდაობას და დასაქმებულის უფლებების შელახვას.

40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ორივე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სამართლებრივი საფუძვლით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

41. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრების იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

42. მოცემულ შემთხვევაში, განსახილველი ორი საკასაციო საჩივრიდან პირველი საკასაციო შედაგება წარმოდგენილია სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის სამართლებრივი საფუძვლით სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი მუშაკისათვის კომპენსაციის სახით მისაცემი თანხის შეუსაბამოდ განსაზღვრის კუთხით, ხოლო მეორე საკასაციო შედაგება შეეხება სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის არასწორ სამართლებრივ განმარტებას.

43. მეორე კასატორს მიაჩნია, რომ სამსახურიდან დათხოვნის უკანონოდ ცნობის თანმდევ სამართლებრივ შედეგად უმართებულოდ იქნა მიჩნეული მუშაკის მხოლოდ კომპენსირება თანხის გადახდით, მაშინ როდესაც სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი გათავისუფლებამდე არსებულ თანამდებობასა ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ვალდებულებას ადგენდა. გარდა აღნიშნულისა, მეორე კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული იურიდიული შედეგის განმაპირობებელ საფუძვლად ექთნის ვაკანტური თანამდებობის არარასებობის შესახებ, მაშინ როდესაც უკანონოდ დათხოვნილი მუშაკი არც ექთნის თანამდებობაზე

მუშაობდა, არც ამ თანამდებობიდან გათავისუფლებულა და შესაბამისად, ალარც მასზე აღდგენას ითხოვდა. უკანონოდ დათხოვნილი მუშაკი იკავებდა ამცრელი ექთნის თანამდებობას. შესაბამისად, სწორედ ამ თანამდებობაზე აღდგენა იყო სასარჩელო მოთხოვნა, რაზედაც უკანონოდ ეთქვა უარი.

44. წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზიების შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად დაადგინა, რომ მეორე კასატორთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა არამართლზომიერად, არაკანონიერად. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მსჯელობა უნდა იქმნიოს მეორე კასატორის პრეტენზიაზე, რომელიც უკანონოდ დათხოვნილი მუშაკის გათავისუფლებულ თანამდებობაზე აღდგენის იურიდიული შედეგის დადგომისკენაა მიმართული სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის საფუძველზე, რომელიც დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელს ავალდებულებს პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს იგი ტოლიასი სამუშაოთი. გამომდინარე იქიდან, რომ თუკი იარსებებს მეორე საკასაციო საჩივრის გაზიარების საფუძველი, შედეგობრივი თვალსაზრისით გამოირიცხება შედავების მართებულობის კვლევა კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში.

45. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერდამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

46. მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის 2012 წლის 03 დეკემბერს დაიდო შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, დასაქმებული დაინიშნა ამცრელი ექთნის პოზიციაზე.

47. დამსაქმებლის 2013 წლის 3 იანვრის №01/03 ბრძანებით თანამშრომლებისათვის 2012 წლის 3 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებები გაგრძელდა 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. 2014 წლის 03 იანვარს (№ 12/2014წ. კონტრაქტი) დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის დაიდო შრომის ხელშეკრულება, რომლითაც დასაქმებული ამცრელი ექთნის პოზიციაზე და-

ინიშნა.

49. დამსაქმებლის 2014 წლის 2 ივლისის №01/25 ბრძანებით საზოგადოებაში 2014 წლის 3 იანვრის შრომითი ხელშეკრულებები ექვსი თვით გაგრძელდა.

50. 2015 წლის 5 იანვრიდან დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება №12/2015წ., რომლითაც მოსარჩელე დაინიშნა ამცრელი ექტნის პოზიციაზე.

51. დამსაქმებლის 2015 წლის 8 ივნისის №02/01 ბრძანებით საზოგადოების თანამშრომლებს 2015 წლის 5 იანვრის შრომითი ხელშეკრულებები 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაუგრძელდათ.

52. დამსაქმებლის 2016 წლის მარტის №01/12 ბრძანების საფუძველზე, დასაქმებულს დადგენილი დისციპლინური ნორმების, ეთიკისა და დანესებულების ხელმძღვანელის მიმართ გაკეთებული ცილისმნამებლური და შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო, მიეცა საყვედური.

53. 2016 წლის 16 ივნისის №02/03 ბრძანებით დასაქმებული გათავისუფლდა სამსახურიდან. გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სპკ-ის) 37-ე მუხლის „ზ“ და „თ“ პუნქტები [დისპოზიცია: (ზ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა; (თ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უავე გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა].

54. დასაქმებულის მიერ აღმრული სარჩელის საფუძველზე დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, მოპასუხის 2017 წლის 16 მარტის №01/12 ბრძანება და ამცრელი ექტნის თანამდებობაზე მოსარჩელისათვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მოპასუხის დირექტორის 2016 წლის 16 ივნისის №02/03 ბრძანება პათოლადაა ცნობილი პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით. ამ ნაწილში, გადაწყვეტილება უცვლელადაა დატოვებული.

55. თბილისის სააპელაციო სასამართლო 2016 წლის 6 ივლი-

სის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმგვარად ჩამოაყალიბა რომ მოსარჩელეს მიაკუთვნა კომპენსაცია სტკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის სამართლებივი საფუძვლით, ხოლო სამსახურში აღდგენის შესახებ მოთხოვნა უარყო.

56. სააპელაციო პალატის დასაბუთება სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში დასაბუთებულია იმ გარემოებებსა და მოსაზრებებზე მითითებით, რომ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული გართულებული შრომით ურთიერთობის ფონზე მართებული იქნებოდა არა მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენა, არამედ მისი გონივრული კომპენსირება. სააპელაციო პალატის ამგვარი დასკვნა გამომდინარებს მისი იმ მოსაზრებიდან, რომ უკანონოდ გათავისუფლებული მუშაკის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა მიზანშენონდი არ არის, მაშინ, როდესაც გართულებული შრომითი ურთიერთობა სამუშაოს შესრულების შემაფერხებელ გარემოებად განიხილება. სამსახურში აღგვინის შესახებ აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად სააპელაციო პალატამ აგრეთვე იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ ექთნის ვაკანტური პოზიცია მოპასუხე პოლიკლინიკაში არ არსებობდა.

57. საგულისხმოა, რომ მეორე კასატორის პრეტენზია სწორედ იმ გარემოებას ემყარება, რომ სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის ექთნის პოზიციაზე აღდგენის შეუძლებლობის თაობაზე გაუმართლებელია, მაშინ, როდესაც მოსარჩელეს საერთოდ არ ეყავა ეს თანამდებობა და არც ითხოვდა ამ პოზიციაზე აღდგენას. მოსარჩელე ითხოვდა აღდგენას ამცრელი ექთნის პოზიციაზე.

58. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა)საქმის გარემოების საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევებითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ)არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევებით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია. მოცემული ნორმე-

ბის ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლე-ბულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გა-დაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარე-მოება.

59. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ პირ-ველ რიგში, ჯეროვნად უნდა გამოიკვლიოს რა თანამდებობა ეკავა მოსარჩელეს გათავისუფლებამდე და ამის შესაბამისად, იმსჯელოს სკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიზნიდან გამომ-დინარე, სამსახურში აღდგენის შესახებ მოსარჩელის მოთხოვ-ნაზე.

60. გარდა ამისა, ორივე კასატორის პრეტენზია კომპენსა-ციის ოდენობას შეეხება.

61. კომპენსაციის ოდენობის 4000 ლარით განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სქ-ი არ აწესებს კომპენსაციის მინიმალურ, ან მაქსიმალურ ოდენობას. არ გან-საზღვრავს კომპენსაციის გამოაზგარიშების წესსა და კრიტე-რიუმებს. შესაბამისად, სასამართლომ იმ შრომის სამართლებ-რივი „კარგი პრაქტიკით“ უნდა იხელმძღვანელოს, რასაც შრო-მის საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს (ამ განჩინების პ-32). ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა შემდეგი შინაარსის საკასაციო პრეტენზია: მოსარჩელეს და მის სამსულიან ოჯახს სამსახურის დაკარგვის შედეგად მიენიჭა სოციალურად დაუც-ველის სტატუსი და დაენიშნა ყოველთვიური შემწეობა 50.00 ლარის ოდენობით. მიუხედავად წარმოდგენილი მტკიცებულე-ბისა, სააპელაციო ინსტანციამ არ გაითვალისწინა მისი სოცია-ლური მდგომარეობა და უგულვებელყო ის ფაქტი, რომ მოსარ-ჩელეს აღნიშნული დაწესებულების გარდა სხვა სამუშაო არ ჰქონია არც წყნეთის დასახლებაში და არც თბილისში და მისი დასაქმების პერსპექტივაც არ არსებობს.

62. ხოლო რაც შეეხება პირველ საკასაციო საჩივარს, აღნიშ-ნულით მოთხოვნილი იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-უქმება კომპენსაციის განსაზღვრის ნაწილში.

63. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან და მითითებებიდან გა-მომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილ-ველად დაბრუნების სამართლებრივი შედეგით მეორე საკასა-ციო საჩივარიც ნაწილობრივ დასაგმაყოფილებელია. რადგან კომპენსაციის განსაზღვრის ნაწილში, სააპელაციო სასამარ-თლოს გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის და-

საბუთებული. აღნიშნული კი, კომპენსაციის განსაზღვრის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

64. დავის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ ჯერ უნდა გამოარკვიოს მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესაძლებლობა, ხოლო შემდგომ, საჭიროების მიხედვით, იმსჯელოს კომპენსაციის სამართლიან და გონივრულ ოდენობაზე. რა დროსაც, მხედველობაშია მისაღები საქმის კონკრეტული ფაქტორივი გარემოებები: ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ობიექტური საფუძველი, სამომავლოდ დასაქმების პერსპექტივა, მუშაკის მატერიალური მდგომარეობა და ა.შ.

65. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააპრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვეტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ც-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. ზ. გ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

# შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე საცდაზმულოება

## განხილვა საქართველოს სახელით

№ას-1343-1263-2017

20 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
6. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღ-  
დგენა, განაცდურის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. კ-ესა (შემდეგში: მოსარჩელე ან დასაქმებული) და შპს „ს. წ-იას“ (შემდეგში: მოპასუხე კომპანია ან დამსაქმებელი) შო-  
რის არსებობდა შრომითი ურთიერთობა.
2. მხარეთა შორის წარმოშობილი შრომითი ურთიერთობის ფარგლებში 2012 წლის 19 დეკემბრიდან დასაქმებული იკავებ-  
და მოპასუხე კომპანიაში საპროექტო დეპარტამენტის უფრო-  
სის პოზიციას.

3. ზემოაღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული დანიშნული იყო  
2012 წლის 19 დეკემბრიდან, 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. შრომითი ანაზღაურება შეადგენდა 2500 ლარს ყოველთვი-  
ურად.

5. 2013 წლის 13 მარტის ბრძანებით (შემდეგში: სადავო ბრძა-  
ნება) დასაქმებულთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა საქარ-  
თველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სტკ-ი) იმ პერიოდისათ-  
ვის მოქმედი რედაქციის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“  
ქვემუნდებულის საფუძველზე.

6. დასაქმებულმა სარჩელი აღძრა დამსაქმებლის მიმართ,  
რომლითაც მოითხოვა: სადავო ბრძნების ბათილად ცნობა, და-  
საქმებულის აღდგენა მოპასუხე კომპანიის საპროექტო დეპარ-  
ტამენტის უფროსის ან ტოლფას პოზიციაზე და იძულებითი გა-  
ნაცდურის ანაზღაურება 2013 წლის 13 აპრილიდან სამსახურში  
აღდგენამდე ყოველთვიურად 2500 ლარის ოდენობით (დარიც-  
ხული).

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სადაც ბრძანება. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – მიუღებელი შემოსავლის სახით 21500 (დარიცხული) ლარი. სარჩელი დანარჩენ ნაწილში უარყოფილი იქნა.

8. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 1-5-ით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. იმავდროულად, დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე კომპანიაში დავის განხილვის დროისათვისაც არსებობდა საპროექტო დეპარტამენტის უფროსის საშტატო ერთეული, თუმცა, ამ ერთეულის შრომის ანაზღაურება შეადგენდა არა 2500 ლარს, არამედ 3800 ლარს.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილი მოპასუხე კომპანიის სააპელაციო საჩივარი უარყოფილი იქნა.

10. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ამ განჩინების პპ: 1-5, 7-ში მითითებული და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

11. სააპელაციო სასამართლომ დამატებით, აღნიშნა, რომ სადაც ბრძანებით დადგენილი იქნა დასაქმებულისათვის ერთი თვის კომპენსაციის გადახდა.

12. უდავოა სადაც ბრძანების დასაქმებულისათვის გაცნობის ფაქტობრივი გარემოება. აღნიშნული დასტურდება დასაქმებულის მიერ ბრძანებაზე ხელმოწერითაც.

13. დადგენილი იქნა ისიც, რომ სარჩელი სასამართლოში აღძრული იქნა 2016 წლის 23 თებერვალს (იხ., ამ განჩინების პ-6).

14. უარყოფილი იქნა მოპასუხე კომპანიის შედავება მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ (სადაც ბრძნების გასაჩივრების ვადის გაშვება) შედავებაზე.

15. დავის მოსაწესრიგებლად სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სშვ-ის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, ეს კოდექსი არეგულირებს შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, საკითხები, რომლებიც არ წესრიგდება სპეციალური კანონით ან შრომის კოდექსით, უნდა დარეგულირდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. მოხმობილი ნორმის პირველი ნაწილით დადგენილია ქცევის წესი, რომლის მიხედვით შრომითი და მისი თანმდევი ურთიერთობები შესაძლებელია შრომის კოდექსისაგან განსხვავებულად დარეგულირდეს სპეციალური კანონით ან სა-

ქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ამ შემთხვევაში, სადაც მომიტაცია მართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება სწორებ ეს სპეციალური კანონი ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ის საკითხები, რომლებიც არ წესრიგდება სპეციალური კანონით ან მრომის კოდექსით, უნდა დარეგულირდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

16. სააპელაციო სასამართლომ უარყო აპელანტის ნარმომადგენლის მოსაზრება სადაც მომიტაცია მართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის შემდეგ ამოქმედებული (12.06.2013წ.) შრომის კოდექსის რედაქციის და მითუმეტეს, ისეთი კონვენციის (მრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1982 წლის № 158 კონვენციას „შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“) გამოყენების შესახებ, რომლის სავალდებულო აღიარებაზეც საქართველოს თანხმობა გაცემული არ აქვს.

17. განსახილველ შემთხვევაში, სადაც ბრძანება გამოცემული იქნა სპე-ში იმგვარი ცვლილების შეტანამდე, რომელიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების გასაჩივრებას გათავისუფლების საფუძვლის დასაბუთებას უკავშირებს და მისი გასაჩივრებისთვის 30 კალენდარული დღის ვადას განსაზღვრავს, ბრძანების გამოცემის მომენტში შრომის კოდექსის მოქმედი რედაქცია კი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის რაიმე სპეციალურ ვადას არ ადგენდა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სასაჩივრელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტილისას მართლზომიერად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 129-ე მუხლის პირველი ნაწილით.

18. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, სსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 პუნქტის დღეს მოქმედი რედაქცია ადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების 30-დღიან ვადას, მაგრამ ამ ნორმის მოქმედება ვერ გავრცელდება იმ შრომით ურთიერთობაზე, რომელიც შეწყდა შრომის კოდექსში შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე. ეს დასკვნა ეფუძნება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. განსახილველ შემთხვევაში, სსკ-ის

53-ე მუხლი ადგენს, რომ ეს კანონი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა. ამდენად, ეს კანონი არ ვრცელდება იმ შრომით ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა და დასრულდა მის ამოქმედებამდე.

19. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ/აპელანტმა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

20. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგი საფუძვლებს:

21. კასატორი აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაში უმართებულოდ არის განმარტებული მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი. საკასაციო საჩივრის ავტორის მითითებით სადათ არ არის ის ფაქტი, რომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა შეწყდა 2013 წლის 13 მარტს. სასარჩელო განცხადება კი სასამართლოში წარმოდგენილია 2016 წლის 23 თებერვალს, მას შემდეგ რაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან გავიდა 2 წელი და 11 თვე. პელანტის აზრით, მართალია, მოსარჩელის გათავისუფლება მოხდა საქართველოს შრომის კოდექსში იმ ცვლილებებსს განხორციელებამდე, რომლებიც დაანესტდნენ გარკვეულ ვადას გათავისუფლების შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვისათვის, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამგვარი ვადით, 30 კალენდარული დღით, გათავისუფლებული თანამშრომლის შეზღუდვა სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ სსკ-ით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება შრომითი დავების შემთხვევებზე კანონმდებლის მიერ არამიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სხვადასხვა გარემოებების გამო.

22. საკასაციო საჩივრის ავტორი არ იზიარებს სასამართლოს განმარტებას იმის შესახებ, რომ რადგან მოსარჩელის გათავისუფლებისას მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის რედაქცია არ შეიცავდა გათავისუფლების ბრძანების გასაჩივრების ვადებს და წესს, საკითხის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეგულაცია.

23. კასატორი აქვე სასამართლოს მიერ ხშირად მითითებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციასთან მიმართებით განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წინამდებარე კონვენციის მონაწილე არ არის, მაინც ვალდებული დანერგოს ამ კონვენციაში გარანტირებული საერთაშორისო სტანდარტები. მოპასუხე მხარის მსჯელობის თანახმად, მართალია, აღნიშნული კონვენცია ძირითადად და-

საქმებულის უკანონო საფუძვლით დათხოვნისგან დაცვაზეა ორიენტირებული, მაგრამ ამავე დროს მიზნად ისახავს წონას-ნორობის დამყარებას შრომითი ურთიერთობების მონაწილე მხარეებს შორის. კონვენციის მე-8 მუხლი შეიცავს დანაწესს, რომლის მიხედვითაც, თუ დასაქმებულმა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან გონივრულ ვადაში, ითვლება, რომ მან უარი თქვა გასაჩივრების უფლებაზე. კასატორის მიაჩნია, რომ აღნიშნული გონივრული ვადა უნდა ყის 6 თვე. საქართველოს შრომის კოდექსი 6-თვიანი ვადით ზღუდავს დამსაქმებელს, როდესაც იგი გამოსაცდელი ვადით იწყებს შრომით ურთიერთობას დასაქმებულთან. კასატორის მითითებით, ეს ის ვადაა, რომლის განმავლობაში დამსაქმებელი უნდა დააკვირდეს და შეაფასოს დასაქმებულის უნარები და პირიქით, დასაქმებულმა უნდა გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, კვალიფიკაცია, პროფესიული უნარები. შესაბამისად, კასატორის განმარტებით, აღნიშნული 6-თვიანი ვადა რელევანტური ვადაა შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლო წესით გასაჩივრებისთვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრი მიღებულ იქნა ნარმობაში, სსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად.

25. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრი არ აკმაყოფილებს სსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

26. კასატორი სადაცოდ ხდის სარჩელის აღძერის ხანდაზმულობის საკითხის არასწორ შეფასებას, რამაც მისი მოსაზრებით, მოცემულ საქმეზე განაპირობა უმართებულო გადაწყვეტილების გამოგანა. სახელდობრ, კასატორი მიიჩნევს, რომ სადაო არ არის ის ფაქტი, რომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა შეწყდა 2013 წლის 13 მარტს. სარჩელი კი, სადაცო ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოს წარედგინა 2016 წლის 23 თებერვალს, მას შემდეგ რაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან გავიდა 2 წელი და 11 თვე. იმავდროულად, საკასაციო შედავება წარმოდგენილია სადაცო ბრძანების გასაჩივრების ვადების სსკ-ის ნორმებით რეგულირების თვალსაზრისითაც.

27. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებოს კასატორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზის საფუძველზე, ვინაიდან არაერთ საქმეზე საკასაციო პალატა შეეხო სშკ-ის ახალი რედაქციის იმ დანაწესის მოწესრიგების სფეროს, რომელიც შეეხება სამსახურიდან მუშავის გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების ხანდაზმულობის საკითხს. ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც სარჩელი ხანდაზმულად იქნა მიჩნეული, სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „დასაქმებულს სშკ-ის 38-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 მუხლების მიხედვით ჩაბარდა შეტყობინება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე და მას უნდა მიემართა კომპანიისათვის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში და მოეთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების წერილობითი დასაბუთება. წერილობითი დასაბუთების მიღებიდან ან მიღებაზე უარის თქმიდან (ეს ვადა მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარულ დღეს შეადგენს) 30 კალენდარული დღის ვადაში დასაქმებული უფლებამოსილი იყო სასამართლოში გაესაჩივრებინა დამსაქმებლის გადაწყვეტილება. მას დამსაქმებლის შეტყობინება 2013 წლის 14 აგვისტოს ჩაბარდა. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნით მოსარჩელეს არ მიუმართავს კომპანიისათვის. დასაქმებულმა სარჩელი აღძრა 2015 წლის 18 სექტემბერს. შესაბამისად, სარჩელი ხანდაზმულად იქნა მიჩნეული (იხ., სუსგ №ას-747-715-2016, 20 იანვარი, 2017 წელი). სხვა საქმეშიც, რომელშიც სარჩელი უარყოფილი იქნა ხანდაზმულობის მოტივით დადგენილი იქნა შემდეგი: სარჩელი სასამართლოში მუშავმა შეიტანა 2014 წლის 15 სექტემბერს, ანუ სამსახურიდან გათავისუფლებიდან 3 წლისა და 9 თვის შემდეგ. დასაქმებულის გათავისუფლების დროისათვის მოქმედი შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელფასო განაცდურთან დაკავშირებულ სარჩელებზე ხანდაზმულობა უნდა შეფასდეს სსკ-ის 129-ე მუხლით განსაზღვრულ 3-წლიან ვადაში, დასახელებულ საქმეში კი, მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით 3 წლისა და 9 თვის გასვლის შემდეგ მიმართა (სუსგ №ას-1140-1072-2015, 15 იანვარი, 2016 წელი). მოცემულ შემთხვევაში კი, სახეზე არ არის სარჩელის ხანდაზმულობის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები. კასატორის მითითებას, რომ სადაცო ბრძანების ბათოლობა მუშაქს უნდა მოეთხოვა 30 დღის ვადაში, არ გააჩნია ვარგისი სამართლებრივი საფუძველი, გამომდინარე

იქიდან, რომ სშკ-ში განხორციელებულია ცვლილება 2013 წლის 12 ივნისიდან და სწორედ ამ დროიდანაა დადგენილი კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილით გასჩივრების 30 დღიანი ვადა (12.06.2013. №729).

28. რაც შეეხება შედავებას სშკ-ის ახალი რედაქციის ამოქმედებამდე სადაც პრძანების გასაჩივრების საკითხის სსკ-ით რეგულირების კუთხით, ამ თვალსაზრისითაც საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას და კანონის დროში მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ ქვემდგომა სასამართლომ, შრომის კოდექსის (მუშაյის გათავისუფლების დროს მოქმედი რედაქცია) პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის დებულებებით და სწორად განსაზღვრა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წლით (სსკ-ის 129.1 მუხლი) (იხ., სუსგ №ას-1140-1072-2015, 15 იანვარი, 2016 წელი)

29. რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოს მიერ არარატიფიცირებული ნორმატიული აქტების გამოყენების კუთხით წარმოდგენილ შედავებას, აღნიშნულს საკასაციო პალატა არ იზიარებს და მიუთითებს ამავე საკითხზე საკასაციო პალატის მიერ გაკეთებულ განმარტებას: „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. კანონის აღნიშნული მუხლის დანაწესი იმაზე მიუთითებს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება მხოლოდ მაშინ იქცევა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად თუ, საქართველოს გაცემული აქვს თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე, რაც შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ხელშეკრულებაზე მიერთება, ხელშეკრულების რატიფიცირება და სხვ. („საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი). ამდენად, საქართველოს თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე აუცილებელია, რომლის თაობაზეც გადაწყვე

ტილებას იღებენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით დადგენილი კომპეტენციის შესაბამისად. ამით კი, სახელმწიფო საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე იღებს პიზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებას უზრუნველყოს კანონით დაცულ სფეროში ჩატარებულობა (ნეგატიური ვალდებულება) და უფლებათა დასაცავად შეიმუშაოს შესაბამისი ნორმატიული აქტები (პოზიტიური ვალდებულება). ვინაიდან კონვენციის სავალდებულოდ აღიარებაზე საქართველოს გაცემული არ აქვს თანხმობა. შესაბამისად, იგი ვერ იქნება მიჩნეული საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად და მასზე სასამართლოს მიერ მიღებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის – სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილების, დაფუძნება უმართებულო. თუმცა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის გამოყენებულ ძირითად ნორმატიულ აქტებს წარმოადგენდა საქართველოს შრომის კოდექსი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ამიტომ, მოცემული დავის გადაწყვეტის საბოლოო შედეგზე ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტის გამოყენებას ზე გავლენა ვერ ექნება (იხ., სუსგ №ას-483-457-2015, 7 ოქტომბერი, 2015 წელი; №ას-776-733-2015, 2 დეკემბერი, 2015 წელი).

30. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: а) საქმე მოიცავს სამართლებრივ პროცედურას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; б) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიღება; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქ-

მედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განხსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განხსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიცია წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

31. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პრძანების გასაჩივრების ხანდაზმულობის საკითხზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომელიც ასახულია წინამდებარე განჩინებაში.

32. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

33. სსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩი-

ვარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ს. წ-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ შპს „ს. წ-ას“ უკან დაუბრუნდეს 2017 წლის 20 ოქტომბერს საგადახდო დავალებით №25132971 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან გადახდილი (1075.00 ლარი) 752.50 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

....

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## საპირელო

<b>1. შრომითი ურთიერთობა</b>	
დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში .....	3
<b>2. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა</b>	
უვალო შრომითი ხელშეკრულება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო .....	19
<b>3. დისციპლინური პასუხისმგებლობა</b>	
დასაქმებულის დისციპლინური პასუხისმგებლობა .....	28
<b>4. შრომის ანაზღაურება</b>	
შრომის ანაზღაურება იძულებითი მოცდენის დროს .....	47
<b>5. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა</b>	
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა რეორგანიზაციისას სამუშაოზე აღდგენა .....	60
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა რეორგანიზაციისას.....	87
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაქმებულის კვალიფიკაციის ან უნარჩვევების შეუსაბამობის გამო .....	103
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა შრომითი ხელშეკრულების ან შინაგანანესით დადგენილი ვალდებულებების უხეში დარღვევის გამო .....	117
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა შრომითი ხელშეკრულების ან შინაგანანესის უხეშად დარღვევის გამო .....	130
შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში მშრომითი ხელშეკრულების ან შინაგანანესის დარღვევის გამო .....	153; 168
სასამართლოს მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შედეგები .....	180
შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხანდაზმულობა .....	198